ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან პარასკევი 4 დეკემბერი 1998 №222 (757) ფასი 50 თეთრი




1




1998 წელიც იწურება და ჟურნალი „ფრანს ფუტბოლი" 43-ედ ატარებს გამოკითხვას, ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად. საქართველოდან ამ პრესტიჟულ რეფერენდუმში მონაწილეობის პატივი ტრადიციულად „სარბიელს" ხვდა წილად.

„ოქროს ბურთის" მფლობელი მოგვიანებით გამოვლინდება დღეს კი ჩვენეულ ხუთეულს გაგაცნობთ:

1 ზინედინ ზიდანი (საფრანგეთი, იუვენტუსი)
2 რივალდო (ბრაზილია, ბარსელონა)
3 ლორან ბლანი (საფრანგეთი, მარსელი)
4 ფრენკ დე ბური (ჰოლანდია, აიაქსი)
5 რონალდო (ბრაზილია, ინტერი)

# ფრაიბურგი: ბაიერნი იაშვილს მკურკურებს

რაც უნდა იყოს, უსაფუძვლოდ არაფერი ითქმება კი, შესაძლოა ესა თუ ის ახალი ცნობა სინამდვილეს მთლად არ შეესაბამებოდეს, მაგრამ როცა ახალ ამბავს გაზეთი, ჟურნალი ან სხვა ნებისმიერი საინფორმაციო საშუალება ამცნობს საზოგადოებას, ეს უკვე ნაღდად ახლოა რეალობასთან. ჰოდა, თავად განსაჯეთ.



ალექსანდრე იაშვილის გადაბირება „ბაიერნის" თავკაც ოტმარ ჰიტცფელდს მოსურვებია

შაბათს, როცა ალექსანდრე იაშვილის ორი გოლით „ფრაიბურგმა" ბუნდესლიგის მორიგ ტურში „შტუტგარტს" 2:0 მოუგო, გერმანიაში ხმა დაირხა, იაშვილით ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბი დაინტერესდა და შესაძლოა ქართველი ფრაიბურგიდან გადაბარგდესო. ამას ხალხი ლაპარაკობდა. ორშაბათს კი, საფეხბურთო კლუბ „ფრაიბურგის" გამოცემაში შავით თეთრზე ცხადად წერია: „ჩვენი გუნდის საუკეთესო თავდამსხმელით, მძიმე ტრავმა გადატანილი და „შტუტგარტისთვის" ორი გოლის გამტანი, ქართველი ალექსანდრე იაშვილით ბუნდესლიგის ლიდერი მიუნხენის „ბაიერნი" სერიოზულად დაინტერესდა, ამ კლუბის მწვრთნელმა ოტმარ ჰიტცფელდმა კი განაცხადა, კარგი იქნება, იაშვილმა ჩვენთან ითამაშოსო. ვნახოთ, დაველოდოთ, როგორ განვითარდება მოვლენები".

ჩვენ კი, ამ ამბის გაგებისთანავე ალექსანდრე იაშვილის მობილური ტელეფონის ნომერი ავკრიფეთ და...

— ვერაფერს გეტყვით. პირადად ჩემთან არავინ მოსულა და არაფერი უთქვამს. კი, ასეთი რამ მართლაც დაიბეჭდა, უამრავი ხალხი მირეკავს და ვითარებაში გარკვევას მთხოვს. ჰგონიათ, რაიმეს ვუმალავ. არადა, მეც მხოლოდ ის ვიცი, რასაც თავად მეკითხებიან. ვერც იმაზე გიპასუხებთ, თუ ვინ მიაწოდა „ფრაიბურგის" პრეს-სამსახურს ამგვარი ინფორმაცია. „ბაიერნს" თუ რამ სურდა, მეც ხომ უნდა ჩავეყენებინე საქმის კურსში?

ალექსანდრე იაშვილმა ბოლოს ეს გვითხრა, ახლა სხვა არაფერზე ვფიქრობ, „ჰერტასთან" მნიშვნელოვანი მატჩი გველის და ვეცდები მათაც გავუტანოო...

კობა ინასარიძე



2



3



4



5

# იტალია — შვედეთი

## უფლოები ჩემპიონების წინააღმდეგ

DAVIS CUP by NEC

დღეს მილანში იწყება ჩოგბურთის გუნდური მსოფლიოს ჩემპიონატის — დევისის თასის ფინალი, რომელშიც მასპინძლები ბოლო ათწლეულების საუკეთესო გუნდს — შვედეთს ტიტულის ჩამოსართმევად შეებრძოლებიან. უპრობლემოდ არც ერთი მეტოქეა და არც მეორე — სკანდინავიელებმა ტრავმების გამო რამდენიმე წამყვანი მოთამაშე მოისაკლისეს, იტალიელებს კი ჩვენთვის მეტად ახლობელი — ფინანსური გასაჭირი ადგათ.

დღეს ითამაშებენ: ანდრეა გაუდენცი — მაგნუს ნორმანი, დავიდე სანგვინეტი — მაგნუს გუსტაფსონი. ხვალ, შაბათს წყვილთა დღეა: გაუდენცი / დიეგო ნარგიზო — იონას ბიორკმანი / ნიკლას კულტი. კვირას გაუდენცი შეხვდება გუსტაფსონს, სანგვინეტი კი ნორმანს.

## სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

დღეს 13 საათზე, „ცეკავშირის" შენობაში გაიმართება პრესკონფერენცია საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების წევრებთან, ხელმძღვანელებთან და ფედერაციის აღმასკომის წევრებთან.

საქართველოს ჩემპიონატი

# პირველი ჯგუფი. პირველი წრე:

# შეუძლებელი შესაძლებლობა

ასეთი სეზონი „დინამოს“ ჯერ არ ჰქონია.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, არაფერი ვთქვათ მათ ევროპულ ტურნირებში მონაწილეობაზე, ისინი პირველად გამოეთიშნენ საქართველოს თასისთვის ბრძოლას მერვედფინალიდან.

დღევანდელი „დინამო“ ის გუნდი აღარაა, როგორიც თუნდაც ორიოდ წლის წინ იყო. ველარც მეტოქეებს აფრთხობს ისე, როგორც ადრე.

მართალია, „დინამო“ ახლაც, ჩემპიონატის პირველი წრის დასრულების შემდეგაც, ინარჩუნებს ერთპიროვნული ლიდერის პოზიციას, მაგრამ მდევართაგან ქულებში სხვაობა იმდენად ცოტაა, რომ ერთი წაბორძიკების შემთხვევაში, სავსებით შესაძლებელია, თასის არ იყოს, ჩემპიონობაც დაკარგონ. თუმცა ჯერ ამაზე ლაპარაკი ნაადრევია. დინამოელთა მწვრთნელს მეორე წრის დაწყებამდე საკმაო დრო აქვს, გუნდი მოამზადოს და ჩემპიონის ტიტული ადრევე დაიბევოს, ისევე როგორც აქამდე ხდებოდა-ხოლმე.

„დინამომ“ კარგი შანსი მისცა მეტოქეებს, მისი დაუძლურებით ესარგებლათ, მაგრამ ჩვენი უბედურება სწორედ ისაა, რომ ეს ვერავინ გამოიყენა. ჩემპიონების დამარცხება თხუთმეტი გუნდიდან ერთმაც ვერ მოახერხა. მხოლოდ „გორდამ“, „ბათუმმა“ და „ლოკომოტივმა“ შეძლეს მათთვის ორ-ორი ქულის წართმევა. არადა, ხომ ვთქვით, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, დიდი შანსი ჰქონდათ მეტოქეებს, დინამოელები დაემარცხებინათ. ყოველივე ჩემპიონთა თამაშმა განაპირობა.

თბილისელების თავკაცი მურთაზ ხურცილავა, თავის წინამორბედ ყიფიანისგან განსხვავებით, იმას ნამდვილად ვერ იტყვის, სეზონის დაწყებამდე პრაქტიკულად ახალი გუნდის შექმნა მომიხდაო. დღევანდელ დინამოელთაგან უმეტესობა რამდენიმე წელია, ეროვნულ ჩემპიონატში თამაშობს, რამდენიმე წელია, ერთ გუნდში არიან და მწვრთნელისთვის დიდი პრობლემა არ უნდა ყოფილიყო მათი შეთამაშება, ახალ ტაქტიკურ სქემას მორგება, რომელიც ბევრად არც განსხვავდება ძველისგან.

შარშან და მანამდეც, სანამ „დინამოს“ ყიფიანი ხელმძღვანელობდა, გუნდი ეროვნულ ჩემპიონატში სამი მცველით თამაშობდა, ხუთი ნახევარმცველითა და ორი თავდამსხმელით. ხურცილავას სისტემა დიდად არ შეუცვლია. მან შუა ხაზს მოაკლო ერთი ფეხბურთელი და დაცვა გააძლიერა. ის ბირთვიც შეინარჩუნა, რომლისაც ყიფიანსაც ეიმედებოდა.

ჩემპიონატის მატჩების უმეტესობა უცვლელმა ჩემპიონმა დიდი ანგარიშით მოიგო, მხოლოდ „სამგურალთან“ წყალტუბოში გაიმარჯვა ამ შეხვედრებიდან წმინდა სამბურთიანი სხვაობით, თორემ დანარჩენებში ოთხი, ხუთი ბურთით მეტიც კი გაჰქონდათ „დინამოს“ თავდამსხმელებს, ვიდრე მეტოქეებს. თბილისელებს ასევე ყველაზე ბევრჯერ დაუმწუხრებიათ მეკარეები — 50 გოლი 15 თამაშში მრავალისმეტყველი ფაქტია. გაშვებული ბურთებით „დინამო“ მეორე ადგილზეა, „ლოკომოტივს“ ჩამორჩება. მათ რვაჯერ გაუტანეს. ყოველივე სიძლიერეზე კი მეტყველებს, „დინამოს“ უძლეველობაზე, მაგრამ...

ჩემპიონებს სტაბილური შემადგენლობაც ჰყავთ. სამივე რგოლში გამოცდილი, ეროვნულ ბატალიებში გამობრძმედილი ფეხბურთელები თამაშობენ. დაცვაში დიდავა-ჯელიძის მსგავს დუეტს ბევრი გუნდი ინატრებდა. ნახევარდაცვაში — კიკნაძე, ცქიტიშვილი, ალექსიძე, მუჯირი, ალბათ ყველას მოგეხსენებათ რა ძალაცაა. ამათგან ორი ეროვნულ ნაკრებშია, ორიც — ახალგაზრდულში, ალექსიძე კი პირველის კანდიდატიცაა.

თავდასხმაში აშვეთიასნაირი ფეხბურთელით კი ბევრი გუნდი ვერ დაიტრაბახებს. კარსაც ერთმანეთზე უკეთესი მეკარეები იცავენ, მაგრამ...

ჩემპიონატის დაწყების შემდეგ ხურცილავამ ორი საიმედო მცველიც დაიმატა — მიქაძე და არჩვაძე. დაცვა კიდევ უფრო გაძლიერდა, მწვრთნელს მათი გადაადგილების საშუალებაც მიეცა. ლიბერო დიდავას არჩვაძეს უნაცვლებდა, სტოპერ ჯელაძეს დროგამოშვებით ფლანგზე გაამწესებდა, მის ადგილს მიქაძეს უთმობდა, მეტოქის სიძლიერიდან გამომდინარე, ფეხბურთელებს სათანადო ადგილს ურჩევდა, მაგრამ...

ნახევარდაცვაში, უკანა ხაზისგან განსხვავებით, ხურცილავას ნაკლები საფიქრალი ჰქონდა. კიკნაძე საყრდენად შეუცვლელი იყო, მარცხნივ — რატი ალექსიძე, მარჯვენა ფლანგს ხან რომელიმე განაპირა მცველი აკონტროლებდა, ხანაც ცქიტიშვილი მუჯირიდან ერთ-ერთი, გააჩნია, გამთამაშებლობა ვის დაევალებოა. ხურცილავამ ცქიტიშვილსა და ალექსიძეს ერთხელ, მე-15 ტურში შეუცვალა ადგილი, რატი შუაში შეწია, ცქიტიშვილი ფლანგზე და რაც ამას მოჰყვა, ანგარიშიდანაც გამოჩნდა, „კოლხეთს“ ალექსიძემაც სამჯერ გაუტანა ბურთი, ცქიტიშვილმაც. ნახევარდაცვა ყველაზე გამორჩეული რგოლი იყო „დინამოში“ პირველი წრის მიმდინარეობისას, მაგრამ...

თავდასხმაში მიხეილ აშვეთიას თორმეტჯერ გიორგი შენგელიამ გაუწია პარტნიორობა, ხუთჯერ ხომერიკმა, შვიდჯერ მელქაძემ. აშვეთიამ ძალიან იყოჩაღა, იშვიათად მინდორი უგოლოდ დაეტოვებინა, გუნდის გატანილი ბურთების ლამის მესამედიც მის ანგარიშზეა. იგი თავდამსხმელებიდანაც უდავოდ ყველაზე მეტად გამოირჩეოდა და მთლიანად გუნდიდანაც. თუმცა მიხო პარტნიორებსაც უმადლოდეს, ძალიან ბევრჯერ მათი დაწყებულ-შექმნილი მომენტების ბოლოს მხოლოდ ფეხი რომ მიუყოლებია ბურთისთვის. ისე, ამასაც ხომ ცოდნა და გამჭრიახი გონება სჭირდება. აშვეთიას კი ორივე აქვს, მაგრამ...

„დინამოს“ ორი მეკარე ჰყავდა პირველ წრეში. ორივე საიმედო, ორივენი ნაკრებების წევრები არიან. მათ ბევრჯერ გადაურჩენიათ კარი, საქებარი სიტყვებიც არანაკლებ დაუმსახურებიათ, მაგრამ...

ჩემპიონების სათადარიგოთა სკამიც სხვებზე გრძელი იყო. ხურცილავას მუდამ ჰქონდა იმის საშუალება, რომ ნებისმიერ მომენტში, თითქმის ნებისმიერ პოზიციაზე ეთამაშებინა ფეხბურთელი. ხშირადაც იყენებდა მწვრთნელი მოთამაშეთა შეცვლის უფლებას, შეგირდები ხშირადაც უმართლებდნენ, მაგრამ...

„დინამო“, როგორც ყოველთვის, ახლაც ლიდერია, ახლაცაა ჩემპიონობის რეალური კანდიდატი, ახლაც საუკეთესოდ ითვლება შინაურ ჩემპიონატში, ახლაც ყველაზე მეტად ულხინს ფინანსურ-მატერიალურად, ბოლო დროს არა იმდენად. მათი პრეზიდენტი ფეხბურთის ფედერაციის მმართველი გახდა. პირველ წრეში „დინამოს“ თამაში არ წაუგია, ყველაზე ბევრი ბურთი გაუტანია, ეროვნული ნაკრების კანდიდატებიც მრავლად თამაშობენ ამ გუნდში, მაგრამ...

...მაგრამ მათ თამაშს ის აკლდა, რაც ფეხბურთს ალამაზებს, რაც თუნდაც ერთი, უკმაყოფილების გამომხატველი ფრაზის თქმის საბაბს არ მოგვცემდა. „დინამოს“ მთელი პირველი წრის განმავლობაში აკლდა ის, რითაც წესითა და რიგით მეტოქეებს უნდა ესარგებლათ.

მთავარი მიზეზი კი ერთობ სამწუხაროა — თითქმის ყველა დინამოელს თვალი უცხოეთისკენ უჭირავს. მათ აღარ სურთ შინაურ ჩემპიონატში თამაში. წასვლას ლამობენ. ნაწილობრივ მართლებიც არიან, ვერც ვერავინ შეედავება. „დინამოს“ ფეხბურთელების დონემ უკვე გადააჭარბა ეროვნული ჩემპიონატისას. მათი ოსტატობა კი დანარჩენ ფეხბურთელთა უმრავლესობისაზე გაცილებით თვალშისაცემია. ამიტომაც უნდათ აქაურობის დატოვება, ამიტომაც იყო, ზოგჯერ უგულოდ რომ თამაშობდნენ, მაგრამ მაინც, ყველაფრის მიუხედავად, მათ წინააღმდეგობას სამი-ოთხი გუნდი თუ უწევდა.

„დინამოს“ მწვრთნელებს ახლა უფრო მართებთ დაფიქრება. წამსვლელებს ღირსეული შემცვლელები უნდა მოუძებნონ, რომ წლევანდელი თასის მსგავსად ჩემპიონის ტიტულიც არ დაკარგონ. ეს კი შესაძლებელიცაა, თანაც ნაკლებმოსალოდნელი.

**ქობა ინასარიძე**



„დინამო“ უხომერიკოდ, უკიკნაძეოდ და უცქიტიშვილოდ დარჩა

## დინამოს შედეგები

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | არსენალი | 5:1 | შინ |
| 2 | მერანი | 5:1 | შინ |
| 3 | სიონი | 8:1 | შინ |
| 4 | თსუ | 3:1 | სტუმრად |
| 5 | ოდიში | 4:0 | სტუმრად |
| 6 | ბათუმი | 1:1 | შინ |
| 7 | ვიტ ჯორჯია | 2:0 | სტუმრად |
| 8 | იბერია | 7:2 | შინ |
| 9 | ლოკომოტივი | 0:0 | სტუმრად |
| 10 | გორდა | 0:0 | სტუმრად |
| 11 | ტორპედო | 1:0 | შინ |
| 12 | გურია | 1:0 | სტუმრად |
| 13 | დილა | 4:0 | შინ |
| 14 | სამგურალი | 3:0 | სტუმრად |
| 15 | კოლხეთი | 6:1 | შინ |

| | თ | გ | ყ | წ |
|---|---|---|---|---|
| ზვიად ჯელაძე | 15 | 0 | 1 | 0 |
| მიხეილ აშვეთია | 14 | 13 | 0 | 0 |
| გივი დიდავა | 14 | 0 | 3 | 0 |
| დავით მუჯირი | 14 | 4 | 0 | 0 |
| არჩილ სახვაძე | 13 | 0 | 1 | 0 |
| დავით გვარამაძე | 12 | (-7) | 0 | 0 |
| გიორგი კიკნაძე | 12 | 2 | 0 | 0 |
| ლევან მიქაძე | 12 | 0 | 1 | 0 |
| გიორგი შენგელია | 12 | 6 | 0 | 0 |
| ლევან ცქიტიშვილი | 12 | 8 | 3 | 0 |
| ვალტერ გურჩუა | 10 | 0 | 1 | 1 |
| გივი კვარაცხელია | 10 | 0 | 1 | 0 |
| რატი ალექსიძე | 9 | 6 | 1 | 0 |
| ზურაბ არჩვაძე | 9 | 0 | 0 | 0 |
| ივანე მახარაძე | 9 | 0 | 0 | 0 |
| ლევან მელქაძე | 7 | 2 | 0 | 0 |
| ლევან ხომერიკი | 5 | 8 | 0 | 0 |
| თორნიკე რუხაძე | 3 | 0 | 0 | 0 |
| რამაზ სოლოღაშვილი | 3 | (-1) | 0 | 0 |
| ლევან კობიაშვილი | 2 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი მიქაძე | 2 | 0 | 0 | 0 |
| რევაზ ქემოკლიძე | 2 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი საჯაია | 1 | 0 | 0 | 0 |
| ბესიკ შენგელია | 1 | 0 | 0 | 0 |

1 გოლი საკუთარ კარში იბერიელმა გელა ლურსმანაშვილმა გაიტანა

შ-შინ; ს-სტუმრად; თ-თამაში; გ-გოლი; ყ-ყვითელი, წ-წითელი ბარათი



ჰორიზონტალურად მოცემულია ტურის ნომერი, ვერტიკალურად — ადგილი გათამაშების ცხრილში

საქართველოს ჩემპიონატი

## 15 ტური

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 15 | 12 | 3 | 0 | 50:8 | 39 |
| ტორპედო | 15 | 11 | 2 | 2 | 42:14 | 35 |
| კოლხეთი | 15 | 8 | 3 | 4 | 34:25 | 27 |
| ლოკომოტივი | 15 | 6 | 9 | 0 | 18:6 | 27 |
| ბათუმი | 15 | 6 | 6 | 3 | 23:14 | 24 |
| დილა | 15 | 6 | 4 | 5 | 21:21 | 22 |
| იბერია | 15 | 5 | 3 | 7 | 26:31 | 18 |
| არსენალი | 15 | 4 | 6 | 5 | 19:25 | 18 |
| მერანი | 15 | 3 | 8 | 4 | 13:16 | 17 |
| ოდიში | 15 | 5 | 1 | 9 | 12:25 | 16 |
| გორდა | 15 | 3 | 7 | 5 | 12:18 | 16 |
| სიონი | 15 | 4 | 3 | 8 | 15:32 | 15 |
| ვიტ ჯორჯია | 15 | 5 | 2 | 8 | 15:17 | 14 |
| სამგურალი | 15 | 4 | 2 | 9 | 13:31 | 14 |
| თსუ | 15 | 3 | 4 | 8 | 14:22 | 13 |
| გურია | 15 | 3 | 1 | 11 | 17:39 | 10 |

„ვიტ ჯორჯიას“ დაკლებული აქვს 3 ქულა

## ქაიფია ამაღ ნათეი

*ტორპედო:* ჩემპიონს გაუმარჯოს!
*დინამო:* რომელი ხარ? ვერ გიცანი...
*ტორპედო:* აბა, გაიხსენე 80-იანი წლები, ჩემს იმედად რომ იყავი...
*დინამო:* ეჰ! ბუნდოვნად მახსოვს სსრკ ჩემპიონატი.
*ტორპედო:* რაც არ გინდა, არ გახსოვს, არა?
*დინამო:* მოდი მოვრიგდეთ, შენ თასი...
*ტორპედო:* თასს შენ აღარავინ გეკითხება.
*დინამო:* ნუ მემუქრები, თორემ ხომ გახსოვს — მცხეთა?..
*ტორპედო:* მე ყველაფერი მახსოვს და გაზაფხულზე შენს ქუთაისში ჩამობრძანებას ველი...
*კოლხეთი:* აი, მეორე ხმაც მოვედი.
*დინამო:* შენ მეორე ხმა კი არა, წლეულს ბანის თქმა მოგიწევს...
*კოლხეთი:* მაგაზე არ იდარდო, გაისადაც ჩემს ევროპაში ჩაფრენაზე იზრუნე...
*დინამო:* კიდევ 0:7 რომ წააგო?
*კოლხეთი:* არ მითხრა ახლა, „ტილბურგი“ „ცრვენა ზვეზდას“ სჯობსო.
*დინამო:* ვინც ლიგაში არაა, ყველა ერთნაირია.
*კოლხეთი:* სულ ლიგა რომ გელანდება, იმიტომ მიგდის საქმე კარგად.
*დინამო:* რას გულისხმობ?
*კოლხეთი:* რას და თასს...
*დინამო:* ეგ „გორდას“ რომ ეთქვა, კიდევ შეიძლებოდა, ხომ ნახე, რა ქნა ბოლნისში. შენ კი...
*კოლხეთი:* არა უშავს, მეორე წრეში დავიფურენ ყველას.
*დინამო:* ამ ზამთარს ზღვა თუ გაიყინა და პორტი გაჩერდა, მაშინ?
*კოლხეთი:* მაშინ რკინიგზაც მოგვეჭამს ჭირს და „ლოკომოტივიც“.
*დინამო:* ეგ რომელია, ცხრა ფრე რომ ითამაშა?
*ლოკომოტივი:* ვაა, „დინამო“!
*დინამო:* შენ ვისზე აწიე ხელი...
*ლოკომოტივი:* გცალია ამ საღამოს?
*დინამო:* სადაც გინდა, იქ შევხვდეთ.
*ლოკომოტივი:* კი, ბატონო, ვაკეში.
*დინამო:* ოღონდ იქ არა და თუ გსურს...
*ლოკომოტივი:* მაშინ გორში.
*დინამო:* გორელები რომ გვყავს გუნდში, მაგის იმედზე ხარ, არა?
*ლოკომოტივი:* მახარაძე მყავდეს კარგად და თუ გინდა მეხელეში გეთამაშები.
*დინამო:* მეხელენი რა შუაშია?
*ლოკომოტივი:* გავიგე, ფილიალი გაგიხსნია იქ...
*დინამო:* თემას ნუ გადაუხვიე, საქმეზე გელაპარაკები.
*ლოკომოტივი:* ასე რამ გაგაბრაზა, შარშანაც ხომ დაკარგე თასი.
*დინამო:* სად ფინალი და სად მერვედფინალი...
*ლოკომოტივი:* კარგი, დაწყნარდი, თბილისელები არა ვართ? მეოთხედფინალში „ბათუმზე“ ვიყრი შენს ჯავრს და ბარიბარში ვიქნებით...
*ბათუმი:* ხომ გაცეკვე განდაგანა?
*დინამო:* შენ მაინც გაჩუმდი, თორემ გავხსნი კარტებს, იცოდე...
*ბათუმი:* იმ თასს შენარჩუნება ხომ უნდა?
*დინამო:* ეგეც მე ვიდარდო?
*ბათუმი:* იმუქრებიან, გაისად თასს ახალი, მეოთხე მფლობელი იყოლებაო...
*დინამო:* რაღაც მესამესაც ვერ ვიხსენებ.
*ბათუმი:* აბა, კარგად დაფიქრდი.
*დინამო:* ჰო, გამახსენდა...
*გურია:* გამარჯობა შენი, ძამა!
*დინამო:* გურია! ცოცხალი ხარ, ტო!..
*გურია:* დამეხმარე, ძამა, მომეცი პაწა ფული.
*დინამო:* მოგცე კარგია, უნდა გერგებოდეს.
*გურია:* სად წავიდა პრეზიდენტის ნაჩუქარი ას-ასი ათასი ლარი.
*დინამო:* შენ კიდე გჯერა ზღაპრების?

# თბილისის «დინამო». I ადგილი

## ძნელია, იყო დინამო

*მეათე ეროვნული ჩემპიონატის ნახევარი მიილია. როგორც ადრე, ახლაც თბილისის „დინამო“ უდგას სათავეში სატურნირო ცხრილს, მარადი ჩემპიონი ძველებურად უპირველესი კანდიდატია საქართველოს პირველგუნდობისა, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ ეროვნული ჩემპიონატის დონე ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ქართული საკლუბო ფეხბურთი, შეიძლება ითქვას, კატასტროფულ მდგომარეობაშია. „დინამოს“ მთავარმა მწვრთნელმაც ამით დაიწყო:*



მურთაზ ხურცილავას გაზაფხულამდე დიდი ოფლისღვრა მოუწევს

— ასე შორს ნამდვილად ვერ წავალთ. რა ხანია, ამაზე ვლაპარაკობ — ქართული ფეხბურთი უმძიმეს მდგომარეობაშია. მოგვიმრავლდა შემთხვევითი ხალხი, ძირეულად შესაცვლელია ფეხბურთისადმი მიდგომა. მითქვამს და მეათასედ გავიმეორებ: საქმე პროფესიონალებმა უნდა აკეთონ. სხვანაირად არაფერი გამოვა. ამასთან ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ქართული ფეხბურთის გამოსწორება საბავშვო-საფეხბურთო სკოლებიდან უნდა დავიწყოთ. როდესაც ბავშვთა საფეხბურთო სკოლებზე ვსაუბრობთ სპეცსკოლები მაქვს მხედველობაში, სადაც დილით და საღამოთი ვარჯიშობენ ბავშვები, შუადღეზე კი წიგნს სწავლობენ.

საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში ფეხბურთელი ვერაფრით გაიზრდება. კი, ნიჭიერი ხალხი ვართ ქართველები, არც არასდროს დაგველევიან ნიჭიერი ბიჭები, მაგრამ საკითხავია — მიაღწევენ კი ასეთ პირობებში ისინი საშუალო ევროპულ დონეს? ავიღოთ ჩვენი ლეგიონერების, თუნდაც ალექსანდრე იაშვილის მაგალითი. როგორ გგონიათ, იაშვილს რომ ბუნდესლიგაში არ მოხვედროდა თამაში, იქნებოდა კი იგი ამ დონის ფეხბურთელი? მე დაგეთანხმებით, რომ იაშვილი ფეხბურთის ფანატიკოსია, ასაკის მიუხედავად, სათუთად პროფესიონალიც, არც მონაცემები და ნიჭი აკლია, მაგრამ მერწმუნეთ, ალექსანდრე იაშვილს რომ გერმანული „ფრაიბურგის“ სკოლა არ გაევლო, იგი დღეს სულ სხვა დონის ფეხბურთელი იქნებოდა. ნამდვილი ოსტატი ისევ ოსტატებთან ჭიდილმა უნდა წარმოშვას.

ჩვენში ფეხბურთელი ვერ მოუმატებს. ამიტომ გაგვირბიან ნიჭიერი მოთამაშეები. ამას ფეხბურთელებს ვერც დააბრალებ. თუ მიგრაციას გვინდა ვებრძოლოთ, სპორტსმენს ადგილზე უნდა შევუქმნათ პირობები. ფეხბურთელების მიგრაცია უცხოურ კლუბებში შეიძლება ნაკრებისთვის კი იყოს კარგი, ეროვნული ჩემპიონატისთვის დამღუპველია. გაიხსენეთ ის ჩემპიონატი, როცა მე „სამტრედიას“ ვწვრთნიდი და შეადარეთ იგი დღევანდელს. რომ დიდი განსხვავებაა? მაშინ სხვა იყო — შემსრულებლებიც გაცილებით მაღალი კლასის გვყავდნენ, ფეხბურთიც სხვა დონისა გვქონდა და ტრიბუნებიც თითქმის ყოველ მატჩზე ივსებოდა. ამჟამად სრულიად სხვა სურათია, მაყურებელი აღარ უყურებს ფეხბურთს, ფეხბურთელები გარბიან, გუნდები ნელ-ნელა ქრებიან — აბა, მითხარით, რა დონეზეა საუბარი? თუნდაც პირველი წრის შედეგებიდან გამომდინარე ვიმსჯელოთ: ცხრილის შუაგულში იმყოფება გუნდი, რომელსაც თითო შეხვედრაში საშუალოდ ერთი ბურთიც კი ვერ გააქვს. კომენტარი თქვენთვის მომინდვია.

**— საკლუბო ფეხბურთში რომ გვიჭირს, არახალია, მიუხედავად ამისა, ავად თუ კარგად, მეათე ეროვნული ჩემპიონატი გრძელდება, უკან დარჩა პირველი წრე. თქვენ, როგორც მთავარი მწვრთნელი, როგორ შეაფასებდით „დინამოს“ გამოსვლას? თუ შეიძლება ცალკეულ რგოლებზეც გვესაუბრეთ.**

— „დინამომ“ პირველი წრე პირველ ადგილზე ჩაამთავრა. არ წაუგია ჩემპიონატის არცერთი შეხვედრა, საკმაოდ უსწრებს მდევარს, გაიტანა 50 და მიიღო მხოლოდ 8 ბურთი — თუ ამ სტატისტიკის მიხედვით ვიმსჯელებთ, გუნდის გამოსვლა დადებითად უნდა შეფასდეს.

ამპლუებზე და რგოლებზე კი იმას გეტყვით, რომ მათს დაკომპლექტებაზე გუნდში მისვლის პირველივე დღიდან ვმუშაობ. ჩემს მისვლამდე ლიბეროდ ცქიტიშვილი თამაშობდა. მე ჩავთვალე, რომ ლევანს ნახევარდაცვაში გაცილებით მეტი სარგებლობის მოტანა შეეძლო და წინ გავამწევე. უკანა მცველის ადგილზე დიდავა დავაყენე. შევცვალე გუნდის განლაგების სქემაც. უფრო წინ გადავწიე ალექსიძე. ბოლო შეხვედრებმა ცხადყო, რომ მეტწილად სწორიც აღმოჩნდა ჩემი ჩანაფიქრი — ადგილმონაცვლებულმა ფეხბურთელებმა გამიმართლეს.

**— მსაჯობაზე რას იტყვით?**

— იცით, რომ მე საერთოდ ვერიდები მსაჯთა მოქმედების შეფასებას პრესაში, მაგრამ გიპასუხებთ. კვალიფიკაციის საერთო დონით ჩვენი მსაჯები არ ტოვებენ ცუდ შთაბეჭდილებას, მაგრამ მუშაობის საშუალებას რომ არ ვაძლევთ, ესეც ხომ მართალია? არ ულხინთ მსაჯებს ჩვენში და ამასაც უნდა მიხედვა.

**— სავარჯიშო და მოსამზადებელმა პროცესმა როგორ ჩაიარა გუნდში?**

— ვიტყოდი, რომ ნორმალურად. თავიდან ორჯერადი ვარჯიშებით დავიწყეთ, მაგრამ შემდეგ ერთჯერადზე გადავედით. ორჯერადი ვარჯიშები სრულფასოვნად რომ ჩატარდეს, აღდგენითი პროცესებია საჭირო — კვება, ვიტამინები... ნორმალური აღდგენითი პროცესების გარეშე მეორე ვარჯიშს აზრი არა აქვს.

**— პირველ წრეში „დინამოს“ ტაქტიკაზე რას გვეტყოდით? ცვლიდა თუ არა გუნდი სტრატეგიას შინ ან სტუმრად თამაშისას?**

— არა. „დინამო“ შინაც და გასვლაზეც მოგებაზე თამაშობდა. ჩვენ ერთი ტაქტიკა და მიზანი გვაქვს — გამარჯვება. სხვა საქმეა, როცა გუნდის საჭიროებისთვის რომელიმე ფეხბურთელი ადგილს შეიცვლიდა-ხოლმე. მაგალითად, უკვე გითხარით, რომ დიდავა მისვლისთანავე ლიბეროდ გავამწევე, მაგრამ ბოლო შეხვედრებში მარჯვენა მცველი დამჭირდა და გივიც იქ გაისარჯა. სხვამხრივ ძირეული ან ნიშანდობლივი არაფერი— ვუტევდით, ვიგებდით და ეს გახლდათ ჩვენი ტაქტიკა.

**— ქართულ ფეხბურთში ყოველთვის იყვნენ სტანდარტული მდგომარეობების ოსტატურად შემსრულებლები. დღევანდელ „დინამოს“ თუ ჰყავს ასეთი ფეხბურთელი?**

— „დინამოში“ არის ასეთი მოთამაშე — დავით მუჯირი. საერთოდ, სტანდარტული მდგომარეობებიდან ბურთის გატანა ისე ჰარზე არ მოდის. ვარჯიში უნდა ყველაფერს. კი, ვავარჯიშებ ბიჭებს, მაგრამ მარტო ჩემი ჩიჩინით არაფერი გამოვა. მე შეიძლება დავაძალო ფეხბურთელს და ვარჯიშის მერე ნახევარი საათით დავტოვო ზედმეტად. ამ დროს მცველი ართმევაზე მუშაობს, თავდამსხმელი — კაცის მოტყუებაზე, ჩაწოდებასა და თავით თამაშზე. საკუთარ თავზე მუშაობა — ეს უნდა გახდეს ამოსავალი პრინციპი ნებისმიერი ფეხბურთელისთვის. სხვანაირად ამას პროფესიონალიზმი ჰქვია და პროფესიონალი არამარტო სტანდარტულ სიტუაციებში, ნებისმიერ საფეხბურთო კომპონენტში პროფესიონალურად იქცევა.

**— თასზე რას იტყოდით?**

— ახლა აქტუალურია ჩვენში. „დინამო“ თასის გათამაშებას გამოეთიშა. ისიც ითქვა, „ლოკომოტივმა“ ჩემპიონს ტაქტიკით მოუგოო. რომელი ტაქტიკა,რაზეა საუბარი, როცა თამაში მოგვიწია ისეთ მინდორზე, სადაც თურმე რაგბისტების ვარჯიშიც კი სახიფათო ყოფილა. ვაკის სტადიონის მინდვრის ხარისხიდან გამომდინარე, „დინამო“ ფაქტობრივად კი არ თამაშობდა, წვალობდა და ასე იჯახირა 120 წუთი. არა მარტო „დინამო“, „ლოკომოტივიც“ ასეთ დღეში იყო. მერე ცნება „პენალტების ოსტატი მეკარე“ არ მესმის, რა არის. ყველამ იცის, რომ კარგად დარტყმულ პენალტს ვერავინ აიღებს. მეკარე პენალტს მხოლოდ მაშინ იღებს, თუ დამრტყმელმა რიგიანად ვერ შეასრულა თერთმეტმეტრიანი. და ერთიც მიკვირს, თუკი მეყოლება ისეთი მეკარე, ვისაც თერთმეტი მეტრიდან დარტყმულის აღება შეუძლია, იმას სკამზე როგორ დავსვამ? ასეთი კაცი 20 ან 30 მეტრიდან დარტყმულ ბურთს ვერ აიღებს? ასე რომ, თასს „დინამო“ ტაქტიკის გამო კი არა, ცუდი მინდვრის გამო გამოეთიშა. არ მინდა იმის დავიწყებაც, რომ ჩვენ შევთავაზეთ მეტოქეს „პაიჭაძეზე“ თამაში, როგორც ვიცი, „ლოკომოტივის“ ფეხბურთელებსაც ასე სურდათ, მაგრამ შეხვედრა მაინც ცუდ მინდორზე გავიმართეს.

**— პირველ წრეში „დინამომ“ თხუთმეტი შეხვედრა ჩაატარა, შეხვდა თხუთმეტ მეტოქეს, მათგან ვის გამოყოფდით?**

— ორი-სამი გუნდია გამოსაყოფი — „ბათუმი“, „ტორპედო“, „ლოკომოტივი“. ამათში კი მაინც „ბათუმს“ გამოვარჩევ — ზღვისპირელებს შემადგენლობაც შეთამაშებული ჰყავთ, სტაბილურობაც არ აკლიათ და მჯერა, იტყვიან თავიანთ სიტყვას.

**— პირველი წრის საუკეთესო, ანაც შედარებით ცუდ თამაშებზე ხომ არ გვეტყოდით რაიმეს?**

— მსგავსი დაბალი დონის ჩემპიონატში კარგ ან ცუდ თამაშებზე საუბარი არ მიმაჩნია მიზანშეწონილად. აი, წრის ბოლო მატჩი მოვუგეთ „კოლხეთს“ 6:1 და როგორ შემიძლია ვთქვა, რომ ცუდი თამაში იყო, მაგრამ ახლა მეორე მხარესაც შევხედოთ — იყო კი მეტოქე სათანადო კლასის, რათა მასთან მოგებაზე გავიხაროთ? ამიტომაც ვიკავებ თავს.

დასასრულს კი ერთიც მინდა გითხრათ — საერთოდ, „დინამო“ სხვა გუნდებთან შედარებით მძიმე მდგომარეობაშია. არა, ფინანსებს არ ვგულისხმობ. საქმე ფსიქოლოგიურ ტვირთშია — „დინამომ“ აუცილებლად ყველგან უნდა მოიგოს, სხვები კი გაცილებით იოლ დღეში არიან მის წინააღმდეგ თამაშისას, მოიგებენ ან ფრეს ითამაშებენ, ხომ კარგი, წააგებენ და ამას არავინ ჩაუთვლით ტრაგედიად. არადა, არ უნდა იყოს ასე მერწმუნეთ, „დინამოსთვის“ არანაკლებ ცუდია, როცა წლების მანძილზე არ უჩნდება ღირსეული მეტოქე ფეხბურთელები არხეინობას ეჩვევიან, მოედანზე სათანადოდ განწყობილნი ვერ გადიან და ევროპულ დონეზეც ამიტომ გვიჭირს თამაში. ის პირობები, რაც „დინამოს“ გააჩნია, სხვებსაც უნდა ჰქონდეთ. ეს კონკურენციას შეუწყობს ხელს, კონკურენცია კი ეროვნული ჩემპიონატის სიძლიერის აუცილებელი წინაპირობაა.

მე მჯერა, რომ მერაბ ჟორდანიას მოსვლით ბევრი რამ შეიცვლება (იცვლება კიდეც) ქართულ ფეხბურთში. საჭიროა, გვერდში ამოვუდგეთ ამ კაცს.

აბა, მითხარით, რატომ უნდა იყოს ტრაგედია „დინამოს“ რომელიმე წაგება და რატომ არ თვლიან კატასტროფად სხვა რომელიმე კლუბის მარცხს? თუ ყველას არა, ერთ-ორ გუნდს მაინც ხომ არანაკლებ შემადგენლობა გააჩნია... აი, ეს მინდოდა, მეთქვა.

ძალიან ძნელი ბედი დაჰყვა „დინამოს“.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

პირველ წრეში „დინამოს“ საუკეთესო ფეხბურთელად კლუბის და ჩემპიონატის ბომბარდირი მიხეილ აშვეთია ვცანით. 18 წლის აშვეთიამ თავის პირველ, სრულ ჩემპიონატში 36 გოლი გაიტანა. მას შემდეგ ჩვენი ფეხბურთის დონე თუ დაეცა, თორემ არ ამაღლებულა და გოლის ალღოთი დაჯილდოებული თავდამსხმელისთვის 14 მატჩში 13 გოლი ცოტა ხომ არაა? — ასეთი იყო პირველი კითხვაც:

## მიხეილ აშვეთია: ლიდერობა კარგია და ცუდიც

— გეთანხმები. ასეთ ჩემპიონატში ცოტაა. ეს ტრავმის ბრალია, დასაწყისში რომ მაწუხებდა და ფორმიდან ამომაგდო. ფეხი ორ თვეს მტკიოდა და მხოლოდ „ბილბაოსთან“ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო მატჩების წინ მომირჩა. ბოლო შეხვედრაც გამოვტოვე ფოთის „კოლხეთთან“.

**— მართლა „არასაწარმოო ტრავმის“ გამო?**

— არა. სიცხე მქონდა და გარისკვა არ ღირდა.

**— შევთანხმდით, რომ ცოტა გაიტანე. ეს იმის ბრალიც ხომ არაა, რომ „დინამოში“ ხშირად კარში დარტყმას ბოლო პასს ამჯობინებ?**

— გოლის გატანას არასდროს დავხარბებულვარ, თუ პარტნიორი უფრო ხელსაყრელ, ნაღდ საგოლე სიტუაციაშია, გარისკვას ბურთის დათმობას ვამჯობინებ. ასე იყო შარშანაც, როცა ლევან ხომერიკი ბომბარდირობისთვის იბრძოდა და სხვათა მსგავსად, მეც ვეხმარებოდი.

**— „ტორპედოში“ თამაშისას პასზე ნაკლებად ფიქრობდი, ერთთავად გატანას ცდილობდი და ეს ხშირადაც გამოგდიოდა...**

— ქუთაისში თამაში ჩემზე იყო აწყობილი. მოვალეც მეტად ვიყავი, გამეტანა, რადგან გუნდის ლიდერად ვითვლებოდი. „დინამო“ კი უფრო კოლექტიური გუნდია...

**— ვერ დაგეთანხმები. უბრალოდ, ჩემპიონს მეტი ინდივიდუალისტი ჰყავს.**

— უფრო სწორად ასეა, ბევრ დინამოლა „დინამოა“. თუმცა, ერთიცაა — განსაზღვრული დონეზე მეტად „დინამოში“ ფეხბურთელი თამაშს ველარ უმატებს.

**— პენალტის დარტყმას თუ აპირებდი „ლოკომოტივთან“, თასის მერვედფინალში თერთმეტმეტრიანების სერიით რომ წააგეთ.**

— კი, მეხუთედ მე უნდა დამერტყა.

**— და, ალბათ, ვერც შენ გაიტანდი. 3-4-ჯერ გაგცუდებია...**

— დინამოელები პენალტს ცუდად ვურტყამთ. „ლოკომოტივი“ კი ორი კვირა სწორედ საამისოდ ემზადებოდა. ვარჯიშისას ჩვენც გაგვაქვს, მაგრამ თამაშის დროს დარტყმა სხვაა, ფსიქოლოგიურადაც უნდა იყო მზად. თუ გახსოვს, პენალტი ვერც მერაბ მეგრელაძეს გაჰქონდა და არც ურტყამდა.

**— თასისთვის ბრძოლას ჩამოსცილდით, ჩემპიონატში კი მდევარ „ტორპედოს“ 4 ქულა გაშორებთ. პირველ წრეში მეტის მიღწევა არ შეგეძლოთ?**

— შეგვეძლო, თასის მატჩების ჩათვლით 5 ფრე ვითამაშეთ და აქედან ოთხში, ორ-ორი ქულა ტყუილად გავფლანგეთ პირველ ადგილზე რომ ვართ, მაინც კარგია, თუმცა მეტისთვის უნდა მიგვეღწია.

**— „ტორპედოსთან“ გოლის შემდეგ თქვენც და ქუთაისელებიც უგულოდ ირჯებოდით.**

— ამ თამაშზე თქვეს, ჩაწყობილი იყოო. და, არ მინდა, ისე გამომივიდეს, თითქოს ამ



მიხეილ აშვეთია (№9) მცველს დაუსხლტა და გოლამდე რაღა დარჩა

ელს შეუძლია გატანა და აქედან გამომდინარე, ჩემი წილიც შემცირდა.

**— თუმცა მნიშვნელოვანი, საჭირო გოლები სხვებზე ხშირად მაინც შენ გაგაქვს. თუნდაც პირველი ბურთი, რომლის შემდეგაც მთელი გუნდი უფრო თავისუფლად თამაშობს.**

— ვინმემ ხომ უნდა გაიტანოს.

**— და მაინც, „ალანიადან“ მიხეილ აშვეთია შეცვლილი დაუბრუნდა საქართველოს ჩემპიონატს. მანამდე მეტოქის მოტყუებას არც ცდილობდი და ნაკლებადაც გამოგდიოდა.**

— ფეხბურთელი უნდა ეცადოს, რაც აკლია, ის შეიძინოს. რის ნიჭსაც ღმერთი მოგანიჭებს, არ დაჰკარგავ. „ალანიაში“ შეტევისას ორი თავდამსხმელით ვთამაშობდით, დაცვისას კი უკან დახევა და მერე ბურთიანად წინ დაბრუნება მევალებოდა. „დინამოშიც“ ხშირად ასეა, მარცხენა ფრთას ვეხმარები. ხდება ხოლმე, კონტრშეტევისას წინ წასვლას ველარ ვასწრებ. რაც შეეხება მეტოქის მოტყუებას, ამის ცოდნა აუცილებელია, რის სანწავლადაც საქართველოში საუკეთესო სკომოსაზრებას ვაბათილებდე, მაგრამ რაკი მკითხე, მაინც უნდა ვთქვა: ტორპედოელებს მაშინ ფინანსურად უჭირდათ და სათანადოდ მომზადებულნი ვერ ჩამოვიდნენ თბილისში, ჩვენც არ ვიყავით ძალაზე და... ცუდი კია, პირველი წრის ცენტრალური მატჩი ფაქტობრივად ერთტაიმიანი რომ გამოვიდა, მაგრამ მეტოქე არ გვიტევდა, 1:0 ხელს გვაძლევდა და სიფრთხილე ვამჯობინეთ.

**— საქართველოში სამ გუნდში გითამაშია. ჯერ „სამგურალში“, მერე „ტორპედოში“ და ახლა „დინამოში“ ხარ. რა სხვაობაა?**

— ქუთაისში თავის წარმოჩენას მეტად ვცდილობდი. „დინამოში“ კი... ყველა ძლიერი აქაა თავმოყრილი, ყველას უპრობლემოდ რო უგებ, ვერ გაიზრდები. გუნდი რომ წრეს წაუგებლად ჩაამთავრებს, ერთი შეხედვით მისთვის კარგია, მაგრამ ეს ჩემპიონატის დაბალ დონეზე მეტყველებს. სანამ „დინამოს“ ფინანსურად ძლიერი მეტოქე არ გამოუჩნდება, ყველა კარგი მოთამაშე „დინამოში“ მოხვდება და ჩემპიონატს არ ეშველება.

**ვახტანგ გზირძაძე**

# ჩემპიონობა 20 წლის წინ განმეორდა



1978 წლის თებერვალი. სეზონის წინ პიონერთა სასახლის დარბაზში გამართულ შეხვედრაზე თბილისის დინამოელები ჩემპიონობას დაგვპირდნენ

ოცი წლის წინ, 1978 წლის ნოემბერში, საქართველოში დიდი ზეიმი იყო: ასრულდა არა მხოლოდ ფეხბურთის გულშემატკივართა, არამედ მთელი საქართველოს დიდი ხნის ოცნება — თბილისის „დინამო“ მეორედ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. ამას დასჭირდა ზუსტად 14 წელი: პირველად ხომ ტაშკენტის „ოქროს მატჩი“, მოსკოვის „ტორპედოს“ დამარცხება და 1964 წლის ჩემპიონობა იყო.

ოცი წლის წინანდელი სიხარული კი აღმოცენდა ზუსტად ისეთი სავალალო მდგომარეობიდან, როგორიც დღესაა შექმნილი ჩვენს ფეხბურთში.

მახსენდება 1974 წელი. მაშინ მოსკოვში, საკავშირო კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში ვხელმძღვანელობდით სპორტის სექტორს და საზოგადოებრივ საწყისებზე არჩეული ვიყავი საკავშირო ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილედ. მაშინ ბევრს ვცდილობდი რითაც შემეძლო, დავხმარებოდი ჩემს ქართველ კოლეგებს, მაგრამ ასეთი დახმარებით საქმე წინ ვერ მიდიოდა. სულ მალე რესპუბლიკის მთავარ გუნდს, თბილისის „დინამოს“ უმაღლესი ლიგის დატოვების საფრთხე დაემუქრა და როცა რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ ადგილობრივი რეზერვები ამოწურა, მე მომიწვიეს სპორტის ხელმძღვანელის პოსტზე საქართველოს სპორტკომიტეტში. ჩემი უპირველესი მიზანი იყო გადამერჩინა გუნდი, განმეახლებინა 11 წლის წინ მიტოვებული თბილისის „დინამოს“ სტადიონის მშენებლობა, რათა რესპუბლიკის პირველ გუნდს ყველასთვის მოუხერხებელ „ლოკომოტივის“ სტადიონზე არ ეთამაშა. მილიონიანი ქალაქი და ობიექტურობით, ფეხბურთში ჩახედულობით ცნობილი მისი მკვიდრნი ღირსნი იყვნენ, ჰქონოდათ საუკეთესო სტადიონი. მაგრამ კარგ სტადიონზე კარგ გუნდსაც უნდა ეთამაშა. ვიცოდი, რომ „დინამოში“ იყვნენ ძალიან ძლიერი, ნიჭიერი მოთამაშეები, მაგრამ გუნდი სპორტის მაშინდელი ხელმძღვანელობის უნიათობის გამო ვერ აღწევდა ისეთ შედეგებს, მას და მის ქომაგებს რომ ეკადრებოდათ. სწორედ ამიტომ, ჩემი დაჟინებული თხოვნით მოსკოვიდან ჩამოვიყვანეთ მიხეილ იაკუშინი, მხოლოდ მას თუ შეეძლო მოეხდინა სასწაული — დაეტოვებინა „დინამო“ უმაღლეს ლიგაში. ასეც მოხდა. მისი უაღრესად პროფესიული საქმიანობის წყალობით გუნდი უმაღლეს ლიგაში შევინარჩუნეთ. ამის შემდეგ „დინამოში“ განვითარდა ისეთი მოვლენები, რომლებმაც აიძულა მიხეილ იაკუშინი, კვლავ, უკვე მესამედ ერთი და იგივე მოტივით დაეტოვებინა საქართველო, დაეწერა განცხადება გუნდიდან წასვლის შესახებ. როდესაც დავრწმუნდით, რომ იგი ვეღარ გაუძღვებოდა გუნდს, შეგვექმნა მეტად რთული პრობლემა — გუნდის მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე დასანიშნად მოგვეძებნა ახალი ყაიდის სპეციალისტი, ისეთი, რომელიც შეძლებდა ჩემს მიერ მოსკოვიდან ჩამოტანილი ფეხბურთის განვითარების საგანგებო პროგრამის განხორციელებას. ამ პროგრამას 16 წლის მანძილზე საკავშირო ფიზკულტურის კვლევითი ინსტიტუტი ჩემი დავალებით და თხოვნით ამუშავებდა ესპანური და იტალიური საფეხბურთო კლუბების გამოცდილების გათვალისწინებით. დასახელებულ კანდიდატებთან გასაუბრებისას ჩემზე ყველაზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა ნოდარ ახალკაცმა. მაშინ მას არ ჰქონდა უმაღლესი ლიგის გუნდებთან მუშაობის გამოცდილება და სწორედ ამიტომ მის კანდიდატურას მხარს არ უჭერდნენ ფეხბურთის სპეციალისტები და მთავრობის წარმომადგენლები. ერთადერთი, ვინც ამ საქმეში მხარი დამიჭირა, ცენტრალური კომიტეტის მაშინდელი პირველი მდივანი ედუარდ შევარდნაძე იყო. მეც არ დავაყოვნე და მთავარ მწვრთნელად დავამტკიცე ნოდარ ახალკაცი, გუნდის უფროსად ნიაზ ძიაპშპა, მწვრთნელად სლავა მეტრეველი და სერგო კუტივაძე, მწვრთნელად სპეციალურ ფიზიკურ მომზადებაში (პირველად შემოვიღეთ) საქართველოში ცნობილი მძლეოსნობის სპეციალისტი აკაკი ხუციშვილი. სპორტკომიტეტის კოლეგიის სხდომაზე მივიღეთ საქართველოში ფეხბურთის განვითარების პროგრამა. მოგვიანებით მიხეილ იაკუშინს მივანიჭეთ საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება.

სწორედ ის ახალი, პროგრესული სისტემა და მეთოდები, რომლებიც ნოდარ ახალკაცს გადავეცი, დაედო საფუძვლად „დინამოს“ მწვრთნელების, ფეხბურთის სამმართველოს, „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს, ფეხბურთის ფედერაციისა და სპორტკომიტეტის ერთობლივ საქმიანობას. ჩვენ შევძელით, ყველა ეს ორგანიზაცია შეგვეკრა ერთ დიდ ძალად, რომელსაც ყოველდღიურად პირადად ვუდექი სათავეში და რომელსაც უნდა გაეკეთებინა ყველაფერი ქართული ფეხბურთის გასაძლიერებლად, დაწყებული რეზერვიდან, ოსტატთა გუნდებით დამთავრებული. ყველა წამოწყებაში, ყველა წვრილმანის გადაწყვეტაში ჩვენთან ერთად იყვნენ ედუარდ შევარდნაძე, თენგიზ მენთეშაშვილი და ოთარ ჩერქეზია, მთელი რესპუბლიკა, რაიონებისა და ქალაქების ხელმძღვანელები, მინისტრები, დიდ საწარმოთა და კოლმეურნეობების თავკაცები, კულტურის მუშაკები და შინაგან საქმეთა სამინისტრო. არ იყო საკითხი, რომელიც არ გადაწყვეტილა. შედეგმაც არ დააყოვნა. 1976 წელს ქართული სპორტის ისტორიაში პირველად მოვიპოვეთ საბჭოთა კავშირის თასი, გაზაფხულისა და შემოდგომის საკავშირო ჩემპიონატებში კი ბრინჯაოს მედლების ორი კომპლექტი. 1977 წელს „დინამო“ საბჭოთა კავშირის ვიცე-ჩემპიონი გახდა. მახსენდება 1978 წლის თებერვალი. სეზონის დაწყების წინ გუნდი მოვიწვიეთ თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის „სარკეებიან“ დარბაზში, სადაც ითქვა, რომ გუნდი უნდა გამხდარიყო ქვეყნის ჩემპიონი. მახსოვს, როგორი ენთუზიაზმით შეხვდა გუნდის ყოველი წევრი ამ წამოწყებას. ვიტალი დარასელიამ, მანუჩარ მაჩაიძემ, რამაზ შენგელიამ, ალექსანდრე ჩივაძემ, დავით ყიფიანმა, ვლადიმერ გუცაევმა, რევაზ ჩელებაძემ, ოთარ გაბელიამ და სხვებმა ფიცი დადეს, რომ ძალას არ დაიშურებდნენ ამ მიზნის განსახორციელებლად. ამ დროს გუნდის უფროსად, ნიაზ ძიაპშპას ნაცვლად, დავნიშნეთ საერთაშორისო საფეხბურთო სკოლის მოსკოვის ფილიალის კურსდამთავრებული, ცნობილი ფეხბურთელი კახი ასათიანი, რომელმაც განსაკუთრებული როლი ითამაშა გუნდის ფსიქოლოგიურ და მორალურ მომზადებაში, მოთამაშეების ეროვნული სულისკვეთების აღზრდის საქმეში.

ჩვენს მიერ დასახული გეგმა ითვალისწინებდა პირველ წრეში 18 ქულის მოგროვებას და სალიდერო პოზიციის შექმნას, რაც ბრწყინვალედ შესრულდა. მოვაგროვეთ არა 18, არამედ 23 ქულა, გავხდით ჩემპიონატის ლიდერები, დამაჯერებლად მოვუგეთ ისეთ ძლიერ გუნდებს, როგორებიც იყვნენ მოსკოვის „სპარტაკი“, ცსკა, კიევის „დინამო“, „ზენიტი“, ორივე წრეში ფრედ დავასრულეთ თამაში ჩვენს ტრადიციულ „ზღუდესთან“ მოსკოვის „დინამოსთან“, დიდი ანგარიშით 4:1 მოვუგეთ „ზარიას“, 3:0 „ფახთაქორს“, მეორე წრეში მოვაგროვეთ 19 ქულა და 42 ქულით მეორედ გავხდით საბჭოთა კავშირის ჩემპიონები.

განუმეორებელი იყო 1978 წლის ნოემბრის ის დღე, როცა მთელი თბილისი, მთელი საქართველო ქუჩებში გამოეფინა. ხალხი ერთმანეთს ულოცავდა გამარჯვებას, იყო ხვევნა-კოცნა. ეს იყო ჩვენი ერის ერთიანობის, ერთსულოვნების ბუნებრივი გამოვლენა. სპორტი ხომ ჩვენი ხალხისთვის სულიერი მოთხოვნილებაა. იგი ყოველთვის იყო და იქნება ცხოველი ინტერესის საგანი, ახალგაზრდობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის უმძლავრესი საშუალება და მსოფლიოში ერის სახელოვნად წარმოჩენის ერთ-ერთი გზა.

ეს ყველაფერი ფაქტია, ისტორიაა. ისტორიაა ისიც, რომ ურთიერთშეთანხმებული, ყოველდღიური სწორი მუშაობით შევძელით მოგვეპოვებინა 1979 წელს საბჭოთა კავშირის თასი, ხალხთა სპარტაკიადის ვერცხლის მედლები, 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიური თამაშების სამი ბრინჯაოს მედალი, 1981 წელს კი თასების მფლობელთა თასი.

მიუხედავად იმისა, რომ ახალ, დემოკრატიულ საქართველოში ფეხბურთის ფედერაციას მიეცა საშუალება, აღარ ყოფილიყო დამოკიდებული საკავშირო ფედერაციაზე და ფეხბურთის სამმართველოზე, მან ვერ, ან არ გააკეთა ის, რაც პირველ რიგში იყო გასაკეთებელი. იმის ნაცვლად, რომ გამოეყენებინათ საკმაოდ მდიდარი მატერიალური ბაზა, როგორც ამას აკეთებენ ჩვენსავით პატარა ქვეყნები, ისინი წავიდნენ სხვა გზით, რომელსაც „ფულის გაკეთება“ ჰქვია. როგორც ახლა ვიგებთ არაერთი კომისიის მასალებიდან, მილიონობით დოლარი, განკუთვნილი ფეხბურთის განსავითარებლად, გაფლანგულა ფედერაციის ყოფილი ზოგიერთი ხელმძღვანელის მიერ, რაც მათი უგულობისა და უკონტროლობის ბრალია.

ამჟამად უკვე ყველას მობეზრდა ფეხბურთის ფედერაციის ძველი შემადგენლობის მანკიერი სტილით მუშაობა, მისი კარჩაკეტილობა, არაპროფესიონალიზმი, უნიათობა, ჟურნალისტებთან კინკლაობა, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტთან დაპირისპირება, ულიმღამო ეროვნული ჩემპიონატი, კლუბებისა და ეროვნული გუნდის წარუმატებელი თამაშები, რამაც ქართული ფეხბურთი ჩიხში შეიყვანა. დაცარიელდა ტრიბუნები, უცხოეთში გაიყიდნენ პერსპექტიული ფეხბურთელები. საზღვარგარეთ სამუშაოდ წავიდნენ ნიჭიერი მწვრთნელები, მოიშალა მატერიალური ბაზა, გახშირდა მიკერძოებული მსაჯობა, იმძლავრა კორუფციამ, განადგურდა ფეხბურთელების მომზადების ცენტრები (განსაკუთრებით რაიონებში), დაივიწყეს ჩვენი საამაყო ფეხბურთელების — შოთა შავგულიძის, ბორის პაიჭაძის, მიხეილ ბერძენიშვილის, ბასა ლოლობერიძის, ავთანდილ ჭკუასელის, მიხეილ მესხის და სხვათა საფლავები. ჩვენი ფეხბურთის გრანდი სლავა მეტრეველი ისე გარდაიცვალა, რომ ქვეყნის პრეზიდენტის მიერ დანიშნული და შეპირებული ფულადი დახმარება — 70 ლარი ვერ მიიღო, დანარჩენები დღემდე ელოდებიან. ასეთი გულქვა დამოკიდებულება იშვიათია.

ჩვენი კოლექტიკური საქმიანობის გამოცდილება იმიტომ გაგიზიარეთ, რომ კიდევ ერთხელ შემეხსენებინა საზოგადოებისთვის: ფეხბურთს სჭირდება სახელმწიფოებრივი მიდგომა, დაწყებული ქვეყნის პრეზიდენტიდან, დამთავრებული რიგითი გულშემატკივრით. სხვანაირად საქმეს არ ეშველება და ვერც ფეხბურთის ფედერაციის ახალი პრეზიდენტი და განახლებული შემადგენლობა გახდებიან რამეს. დარწმუნებული ვარ, ჩვენი გუნდები ყველა პრესტიჟულ გათამაშებაში, ევროტურნირებზე, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე, ოლიმპიურ თამაშებზე და სხვა ტურნირებზე პირველსავე ეტაპზე დატოვებენ სარბიელს.

ყველამ უნდა იცოდეს, რომ ფეხბურთში და სპორტში შედეგები თავისთავად არ მოდის — არც გუშინ, არც დღეს, არც ხვალ — ეს არის ერთგული, პატიოსანი ადამიანების სწორი, დაუღალავი, ხანგრძლივი, მაღალპროფესიული საქმიანობის შედეგი. მწვრთნელების, სპორტსმენების, სპორტის სპეციალისტების, მეცნიერებისა და მედიცინის მუშაკთა თავდადებული გარჯის ნაყოფი, გამაგრებული ქვეყნის ხელმძღვანელების ხელშეწყობითა და დახმარებით.

დავით პერტენავა

*საქართველოს სპორტკომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე, პარლამენტის განათლების, მეცნიერების, კულტურის საკონსულტაციო საბჭოს წევრი*



1978 წლის ნოემბერი. სეზონის შემდეგ სპორტის სასახლეში დინამოელებს ჩემპიონობას მიულოცეთ

Ayety TV

მრავალარხიანი საკაბელო ტელევიზია

პირველი სთავაზობს თბილისის მოსახლეობას საახალწლო საჩუქარს

პირველ 500 აბონენტს ვთავაზობთ მონტაჟისა და 2 თვის საბონენტო გადასახადის წინასაახალწლო ტარიფებს

| | | | |
|---|---|---|---|
| უნივერსალური პაკეტი | 50 ლარი | 76-ის ნაცვლად | (12 არხი) |
| სტანდარტული პაკეტი | 65 ლარი | 90-ის ნაცვლად | (14 არხი) |
| პრემიალური პაკეტი | 70 ლარი | 106-ის ნაცვლად | (20 არხი) |
| ელიტარული პაკეტი | 75 ლარი | 120-ის ნაცვლად | (22 არხი) |

გაუკეთეთ თქვენს ოჯახს საახალწლო საჩუქარი ამ ფასად

93 47 33 ☎ 92 12 66

ესპანურ პრესაში მეტად საყურადღებო ინფორმაციამ გაიელვა — „ბარსელონას“ ხელმძღვანელობამ სახელგანთქმულ იტალიელ სპეციალისტ ფაბიო კაპელოსთან კონტრაქტი გააფორმა, რომელიც ძალაში 1999 წლის 31 ივლისს შევა.

კატალონიური კლუბის ამჟამინდელ თავკაცს, ჰოლანდიელ ლუის ვან გაალს ესპანეთში დიდხანს გაჩერება რომ არ ეწერა, მიმდინარე სეზონის „შეხურებისასაც“ ნათელი იყო. ამსტერდამის „აიაქსის“ ყოფილი დამრიგებლის მდგომარეობა ბარსელონაში არც შარშან გახლდათ მყარი — მისი კლუბი ჩემპიონთა ლიგის გათამაშების ჯგუფურ ტურნირში საზიზღრად გამოვიდა და ბოლო ადგილზე მოექცა, მაგრამ შემდეგ ასე თუ ისე მდგომარეობა გამოსწორდა, „ბარსელონა“ ესპანეთის ჩემპიონიც გახდა და თასის მფლობელიც, თანაც უკან მოსისხლე მტერი, მადრიდის „რეალი“ ჩამოიტოვა და ვან გაალმაც უმეტესწილად ამის ხარჯზე შეინარჩუნა ადგილი.

# ბარსელონამ ვერ გაუძლო

## კაპელო კატალონიაში მიდის



კაპელომ გეზი „ბარსელონისკენ“ აიღო

წლეულს კატალონიელებმა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირი კვლავ ვერ გადალახეს. ამას დაემატა ისიც, რომ ვან გაალის შეგირდებმა ქვეყნის სუპერთასისთვის გამართულ ორრაუნდიან ბრძოლაში „მალიორკასთან“ ორივე შეხვედრა დათმეს (1:2,0:1), შემდეგ კი პრიმერა დივიზიონშიც „ჩააგდეს“ რამდენიმე პრინციპული მატჩი, რომელთაგან უკანასკნელი მშობლიურ „კამპ ნოუზე“ გაიმართა და კლუბის საუკუნოვანი იუბილეს აღმნიშვნელ ზეიმს დაემთხვა. „ბარსელონამ“ მადრიდის „ატლეტიკოსთან“ ძალიან ცუდად ითამაშა, 0:1 წააგო და კატალონიელ ქომაგებს საკუთარი იუბილეც დაუშხამა. ეს უკანასკნელნიც მიხვდნენ, რომ საქმე კარგად ვერ არის და ჯერ სტადიონზე, მერე კი ბარსელონას ქუჩებში უცენზურო გამოთქმებით გადატვირთული შეძახილებით მატჩის დროს აშკარად განერვიულებული და შეწითლებული ლუისის „იქიდან წათრევა“ მოითხოვეს.

ახლა ფაბიო კაპელოზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა.

პირველ რიგში ის უნდა აღინიშნოს, რომ პრესაში გავრცელებული ზემოაღნიშნულ ცნობას „ბარსელონას“ ბანაკიდან არავინ გამოხმაურებია და ამ ფაქტის კომენტირებისგან ყველამ თავი შეიკავა.

კაპელომ სახელი „მილანში“ მუშაობისას გაითქვა. კლუბში, რომელიც ფეხბურთის სპეციალისტებმა ერთხმად აღიარეს ყველა დროის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდად. თუმცა კაპელოს „მილანისთვის“ არც წაგება იყო უცხო ხილი და მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი და დასამახსოვრებელი იტალიელებმა ჩემპიონთა ლიგის ფინალურ მატჩში ამსტერდამის „აიაქსისგან“ იწვნიეს 1995 წელს. იმ „აიაქსისგან“, რომელსაც მაშინ სწორედ ლუის ვან გაალი წვრთნიდა. მართლაც პარადოქსია.

კაპელოს ესპანეთშიც უმუშავია, თანაც იქ გატარებული ერთი სეზონი მისი და მადრიდის „რეალის“ ტრიუმფით აღინიშნა — კაპელოს დამოძღვრილი „სამეფო კლუბი“ მართლაც მეფურად თამაშობდა, სამკვდრო-სასიცოცხლო პაექრობაში ბრწყინვალე ფორმაში მყოფ რონალდოიან „ბარსელონას“ აჯობა და ესპანეთის ჩემპიონის ტიტულიც ღირსეულად დაისაკუთრა.

შემდეგ კაპელომ მოულოდნელად დატოვა მადრიდი, ქალაქი, სადაც იგი გმირად შერაცხეს და მის არყოფნაში გაუბედურებულ „მილანს“ დაუბრუნდა, თუმცა წლეულს, მაისში ეს გუნდიც დატოვა და დარჩა ფეხბურთის გარეშე.

ჰოდა, აღმოჩნდა, რომ ფეხბურთი, დიდი ფეხბურთი ფაბიო კაპელოს გარეშე ვერ ძლებს.



რას იზამს ლუის ვან გაალი?

იმავე ესპანურ პრესას დავესესხებით და გეტყვით — კაპელო „ბარსელონასთან“ სამწლიანი ხელშეკრულების გაფორმებას აპირებს და ამ ხნის განმავლობაში ხელფასის სახით ერთი მილიარდ ხუთასი მილიონ პესეტას ანუ, გასაგებ ენაზე რომ ვთქვათ, 10,64 მილიონ დოლარს მიიღებს.

სილამაზის ემოციურად შემქმნელმა, ფეთქებადმა და მილიონობით გულშემატკივრისთვის საყვარელმა „ბარსელონამ“ ცივსისხლიან ვან გაალს ვერ გაუძლო.

**დავით ძოწენიძე**

# იმედი უკვდავია

ისევ აბდულა ოჯალანი, ისევ თურქეთისა და იტალიის ხელისუფლებათა შორის გაურესებული დამოკიდებულება, ისევ პოლიტიკა და ისევ ფეხბურთი.

ახლა, ადრე რამდენჯერმე თქმულს აღარ გავიმეორებთ — ოთხშაბათს შეხვედრა შედგა და ამით უეფამ ერთი დიდი პრობლემა გადააგორა. ჩემპიონთა ლიგის B ჯგუფში მეხუთე ტური დამთავრდა. დასრულდა ჩვეულებრივად, ყოველგვარი გართულებების გარეშე.

— ბოდიშს გიხდით რომ ვერ მოვიგეთ. ძალიან გვინდოდა გამარჯვება, ეს ყველა ფეხბურთელის და მთელი თურქეთის სურვილი იყო, მაგრამ ვერ შევძელით. გვინდოდა, ლიგის მეოთხედფინალს ახლავე მივსალმებოდით, მაგრამ არ გამოვიდა. სამწუხაროა, ძალიან სამწუხარო — „გალათასარაის“ მწვრთნელი ფატიჰ თერიმი ჟურნალისტებთან საუბრისას კლუბის გულშემატკივრებს თავდაჭერილობისთვის მადლობას უხდიდა. ქომაგებზე მართლაც ბევრი რამ იყო დამოკიდებული...

„იუვენტუსის“ ხელმძღვანელები და ფეხბურთელები ადრევე აცხადებდნენ, რომ სტამბოლში მატჩამდე რამდენიმე საათით ადრე ჩაფრინდებოდნენ და თურქეთის დედაქალაქს შეხვედრის დასრულებისთანავე დატოვებდნენ. იტალიელებს შურისძიების სურვილით შეპყრობილი მასპინძლებისა ძლიერ ეშინოდათ.

— თურქეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ უსაფრთხოება აღგვითქვა. შეხვედრა სტამბოლში დათქმულ დროს, 2 დეკემბერს, ჩატარდება — უეფას წარმომადგენელმა ეს მატჩის წინა დღეს, სამშაბათს, პირველ დეკემბერს განაცხადა.

თურქებს ძალიან სურდათ, „იუვენტუსის“ მასპინძლობა. ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტრომ უსაფრთხოების მაქსიმალური ზომები მიიღო — 30 ათასიან სტადიონზე ათი ათასი წესრიგის დამცველი მიავლინა. საშუალოდ ორ ქომაგს ერთი პოლიციელი უთვალთვალებდა. გარდა ამისა, „სნაიპერები“ სტადიონის სახურავზე გამწესეს; ერთი სიტყვით, მობილიზება დიდი იყო.

გართულება არც მომხდარა. მატჩმა ყოველგვარი ექსცესების გარეშე ჩაიარა. თურქ გულშემატკივრებს კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული, რომ მათი უსაქციელობა უპირველეს ყოვლისა „გალათასარაის“ და მთელ თურქულ ფეხბურთს მოუტანდა ზიანს და არა „იუვენტუსს“.

ყველაფრის მიუხედავად შეხვედრა ძალიან დაძაბულად წარიმართა. პოლიტიკის კვალი მინდორზე აშკარად ჩანდა. თუმცა მარტო პოლიტიკა არაფერ შუაშია — წაფორთხილების შემთხვევაში ორივე კლუბი აუნაზღაურებელ დანაკარგებს განიცდიდა. მასპინძლებს, ისევე როგორც სტუმრებს, მოგება ეწადათ.

შეხვედრა ფრედ დასრულდა — 1:1.

მატჩის დასასრულამდე 14 წუთით ადრე შეცვლაზე შესულმა ნიკოლა ამორუზომ ზინედინ ზიდანის ჩაწოდებული ბურთი ერთი, შეხებით ტაფარელის კარში შეაგდო. ბურთი მეკარესა და კარის ძელს შორის გაძვრა. მანამდე ბობოქარი თურქი ქომაგები შედარებით გაჩუმდნენ, მაგრამ გულშემატკივრობა არ შეუწყვეტიათ.

... მსაჯმა ჟილ ვესიემ შეხვედრას სამი წუთი დაამატა. უკვე მესამედ ინიშნება „იუვენტუსის“ კარში ერთი და იმავე კუთხიდან ჯარიმა. პირველმა ორმა თურქებს არაფერი მოუტანა, მესამედ კი მოხდა ის, რაზეც იმ წუთებში მასპინძლები სულით და გულით ოცნებობდნენ — რუმინელი გეორგ ჰაჯის ჩაწოდებული ბურთის მოგერიება ტურინელთა მცველმა იგორ ტუდორმა სცადა, მოწინააღმდეგეს დაასწრო კიდეც, მაგრამ ბურთი უხერხულად დაუგდო სუატ ქაიას, მან კი კარიდან გასულ მიქელანჯელო რამპულას დაასწრო და თავით გოლი, ძალიან მნიშვნელოვანი გოლი გაიტანა.

ძალიან დაძაბული, მაგრამ საცქერლად არაფრით გამორჩეული შეხვედრა 1:1 დასრულდა.

— თუ მეოთხედფინალში გასვლა გვსურს, აუცილებლად უნდა დავამარცხოთ „როზენბორგი“, ბილბაოში კი „გალათასარაიმ“ უეჭველად უნდა წააგოს — განუცხადა ჟურნალისტებს იტალიელთა მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ და ავტობუსში შევიდა.

ჩემპიონთა ლიგის ბოლო სამი წლის ფინალისტმა სტამბოლის მატჩის დასრულებიდან ერთ საათში დატოვა.

წინ ლიგის ბოლო, მეექვსე ტურია. B ჯგუფში ყველაფერი სწორედ მაშინ გაირკვევა.

-შერისხული აბდულა ოჯალანი კი თურქებმა ჯერჯერობით მაინც ვერ მიიღეს. შესაძლოა იტალიამ იგი მოსკოვს (რუსეთს) გადასცეს. მოტივი — ოჯალანი იტალიაში რუსეთიდან ჩავიდა.

**ლაშა გოდუაძე**



REUTERS სტამბოლიდან

ფილიპო ინძაგი ათათურქის აეროპორტში

# ვინ გავა მეოთხედფინალში?

„გალათასარაისა“ და „იუვენტუსის“ მატჩის შემდეგ ჩემპიონთა ლიგაში დარჩა ერთი ტური, რომელიც F ჯგუფის ლიდერის „კაიზერსლაუტერნის“ მსგავსად მეოთხედფინალში გასულ კიდევ შვიდ გუნდს გამოავლენს.

ბუნებრივია, არაა გამორიცხული, რომ საბოლოო ცხრილებში გუნდების გარკვეულმა ნაწილმა თანაბარი ქულები დააგროვოს. ასეთ შემთხვევას უეფას კანონთა მეოთხე სტატიის მეექვსე პარაგრაფი ითვალისწინებს:

1. უპირატესობა მიენიჭება გუნდს, რომელიც მოდავესთან ურთიერთშეხვედრებში მეტ ქულას დააგროვებს.
2. უპირატესობა მიენიჭება გუნდს, რომელსაც მოდავესთან ურთიერთშეხვედრებში გატანილ და გაშვებულ გოლთა უკეთესი სხვაობა ექნება.
3. უპირატესობა მიენიჭება გუნდს, რომელმაც მოდავეს სტუმრად მეტი გოლი გაუტანა.
4. უპირატესობა მიენიჭება გუნდს, რომელსაც ცხრილში, ყველა მატჩის ჯამში, გატანილ და გაშვებულ გოლთა უკეთესი სხვაობა ექნება.
5. უპირატესობა მიენიჭება გუნდს, რომელსაც ცხრილში, ყველა მატჩის ჯამში, მეტი გოლი ექნება გატანილი.
6. უპირატესობა მიენიჭება გუნდს, რომლის ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციასაც სეზონის დასაწყიში მეტი სარეიტინგო კოეფიციენტი ჰქონდა.

მოგეხსენებათ, რვა მეოთხედფინალისტიდან ექვსი ჯგუფის გამარჯვებული იქნება, ხოლო ორი, მეორე ადგილებზე გასულთა შორის საუკეთესო.

მეორეთა შორის საუკეთესოებს უეფას კანონთა მეოთხე სტატიის მეშვიდე პარაგრაფი განსაზღვრავს:

1. უპირატესობა მიენიჭება გუნდს, რომელიც თავის ჯგუფში ყველაზე მეტ ქულას დააგროვებს.
2. უპირატესობა მიენიჭება გუ-დს, რომელსაც ცხრილში, ყველა მატჩის ჯამში გატანილ და გაშვებულ გოლთა უკეთესი სხვაობა ექნება.
3. უპირატესობა მიენიჭება გუნდს, რომელმაც ცხრილში, ყველა მატჩის ჯამში მეტი გოლი ექნება გატანილი.
4. უპირატესობა მიენიჭება გუნდს, რომელსაც სტუმრად ჩატარებულ შეხვედრებში მეტი გოლი ექნება გატანილი.
5. უპირატესობა მიენიჭება გუნდს, რომლის ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციასაც სეზონის დასაწყიში მეტი სარეიტინგო კოეფიციენტი ჰქონდა.
6. უპირატესობა მიენიჭება გუნდს, რომელსაც სეზონის დასაწყისში საკლუბო რეიტინგში მეტი ქულა ჰქონდა.

მეოთხედფინალის კენჭისყრა 1998 წლის 16 დეკემბერს, ოთხშაბათს, ჟენევის სასტუმრო „ინტერკონტინენტალში“ ცენტრალური ევროპის დროით 12 საათზე ანუ საქართველოს დროით 15 საათზე გაიმართება, კენჭისყრისას იხელმძღვანელებენ ასეთი პრინციპებით:

ა) ერთი და იმავე ჯგუფიდან გასული გუნდები ერთმანეთს არ შეხვდებიან;

ბ) მეორე ადგილით გასული ორი გუნდი ერთმანეთს არ შეხვდება;

გ) მეორე ადგილზე გასული გუნდები პირველ მეოთხედფინალურ შეხვედრას შინ ჩაატარებენ;

დ) ერთი და იმავე ქვეყნის გუნდების შეხვედრა ნებადართულია.

# ის საზიზღარი გამხდარა




ოტო რეჰაგელი

ოტო რეჰაგელი, ბუნდესლიგის ისტორიაში ერთ-ერთი უბრწყინვალესი მწვრთნელი, კაცი, რომელსაც ახალგაზრდა კოლეგები ბაძავენ, მეგობრებსა და თაყვანისმცემლებს კარგავს.

დღეს, როდესაც „კაიზერსლაუტერნმა“ ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალში ღირსეულად გაიკვალა გზა, 60 წლის რეჰაგელს სწორედ მისი ყოფილი მეხოტბენი აკრიტიკებენ.

მის ასაკში ხალხი წესითა და რიგით ბრძენდება, ის კი პირიქით, გაავებულია. თანამშრომლების თქმით, ბოლოხანს, მწვრთნელის ქცევას რაინდულს ვერაფრით უწოდებ.

ისინი საყვედურობენ, რომ რეჰაგელი სათადარიგოთა სკამის გარშემო შემაწუხებლად ბორგავს. წარამარა მოწინააღმდეგე ფეხბურთელების გაფრთხილებასა და გაძევებას მოითხოვს, შემდეგ კი სულ იმას ჩივის, გუნდი დამიჩაგრესო.

რეჰაგელს არასდროს უჭირდა თავისი აზრის პირდაპირ, ხმამაღლა გამოთქმა და ამჯერადაც ასე მოიქცა, უკმაყოფილოებს საპასუხოდ შეუღრინა, მაგრამ პასუხის პასუხად უკვე ოფიციალურ პირთა შენიშვნა მიიღო.

„არასდროს მინახავს რეჰაგელზე უტაქტო კაცი. ჩემი აზრით, მწვრთნელის მოწოდება მოედნის კიდესთან სირბილი და ყვითელი ბარათების მოთხოვნა არ უნდა იყოს“ — განაცხადა როსტოკის „ჰანზას“ თავკაცმა ევალდ ლინენმა კაიზერსლაუტერნში გამართული შეხვედრის მერე.

რეჰაგელმა სახელი ბრემენის „ვერდერში“ გაითქვა. მან გუნდი პროვინციული სიჩუმიდან ევროპულ ელიტაში გაიყვანა, რასაც 14 წელიწადი მოანდომა.

რეჰაგელის ხელში „ვერდერმა“ ორჯერ მოიპოვა ბუნდესლიგის ჩემპიონის ტიტული, ორჯერ ქვეყნის თასი მოიგო, 1992 წელს კი ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასს დაეპატრონა. ჩრდილო გერმანიის საპორტო ქალაქის გუნდი, გარდა ამისა, ორჯერ ვიცე ჩემპიონი გახდა და ორჯერაც თასის ფინალამდე მივიდა.

კაცმა, რომელიც თავს მწვრთნელს კი არა, ფეხბურთის მასწავლებელს უწოდებს, „ვერდერი“ 1995 წელს მიატოვა და მიუნხენის „ბაიერნში“ მივიდა.

„ბაიერნში“ რეჰაგელმა სრული სეზონიც ვერ გაძლო. მას დააბრალეს, სუპერკლუბის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებსო, მაგრამ 1996 წელს, მასწავლებელმა „კაიზერსლაუტერნს“ მიაშურა და ლამის მითიური პერსონაჟის სახელი აღიდგინა.

„კაიზერსლაუტერნი“, ეს სამხრეთდასავლური გუნდი იმხანად მეორე ბუნდესლიგაში იყო გავარდნილი. რეჰაგელმა იგი დაუყოვნებლივ ბუნდესლიგას დაუბრუნა, ხოლო გასულ სეზონში გერმანული ფეხბურთის ისტორიის ახალი ფურცელიც ჩაწერა — ახალაღზევებული კლუბი ხელადვე ჩემპიონი გახადა.

დღეს კი ბევრი კოლეგა მის საშინელ ქცევაზე მიუთითებს, ხოლო ზოგი მათგანი ბუნდესლიგის მწვრთნელთა კონფერენციის მოწვევასა და რეჰაგელის ზნეობაზე მსჯელობს მოითხოვს.

„მართლაც სერიოზული თემაა“ — ამბობს „შტუტგარტის“ ხელმძღვანელი ვინფრედ შეფერი — „დაუშვებელია, მწვრთნელები ფეხბურთელებს ჭკუას ვარიგებდეთ, შემდეგ კი თავად ვარღვევდეთ წესრიგს“.

ზემოთ ნახსენები ლინენი, „ჰანზას“ თავკაცი, კაიზერსლაუტერნის „ბეტცენბერგის“ სტადიონიდან შეწუხებული და შეურაცხყოფილი გავიდა. მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე კი, როდესაც რეჰაგელმა თავისი ახალგაზრდა ფეხბურთელების რაგინდარა საქციელის დაცვა დაიწყო, ლინენმა დარბაზი დატოვა.

„ველარ ავიტანე ჩემი კოლეგის ზღაპრების მოსმენა“ — თქვა ლინენმა მოგვიანებით.

ასეთ დღეში მარტო ლინენი არ გეგონოთ. სეზონის წინ შეფერი რეჰაგელს სერიოზულად წაეკიდა შეფერის მსგავსად მოიქცა ლევერკუზენელი კრისტოფ დაუმი, მათი გუნდების შეხვედრისას ყველაფერი საკუთარ თავზე რომ იწვნია.

საქმე ასე იყო: რეჰაგელმა დაიჩივლა. „ლევერკუზენის“ ბრაზილიელი ფეხბურთელი ზე რობერტო დაუსჯელი დატოვეს, ჩემი პასკალ ოჯიგვე კი ზუსტად იმავე დანაშაულისთვის მოედნიდან გააძევესო.

„პატივს მაშინ გცემდით, როდესაც მეტოქეზე ძვირის თქმა არ გიყვარდათ“ — უთხრა შეხვედრის დამთავრების შემდეგ, პრესკონფერენციაზე მისულმა დაუმმა გვერდით მჯდომ რეჰაგელს.

„კაიზერსლაუტრენისა“ და „ბოხუმის“ საგა, კი ნამდვილად საგანგებო თემაა.

სექტემბერში, „კაიზერსლაუტერნისა“ და „ბოხუმის“ მატჩში რეჰაგელმა მოედანზე მეოთხე ისეთი უცხოელი შეიყვანა, რომელიც ევროკავშირში შემავალი ქვეყნის მოქალაქე არ არის. კანონით მხოლოდ სამ არაევროკავშირელს აქვს ერთდროულად მოედანზე ყოფნის უფლება.

„ბოხუმმა“ 3:2 მოიგო, მაგრამ რომ ეჩივლა, უთუოდ 3:0-ს მიანიჭებდნენ. მოგვიანებით, როდესაც გაირკვა, რომ ბოხუმელთა მეკარეს თომას ერნსტს აკრძალული წამალი ჰქონდა დალეული, „კაიზერსლაუტერნმა“ დაუყოვნებლივ აფრინა საფეხბურთო კავშირში პროტესტის ქაღალდი.

„ბოხუმის“ შეფებმა განაცხადეს, რომ ერნსტი სისხლის მიმოქცევას უჩივის და მკურნალობს, ამიტომაც მის ორგანიზმში საფეხბურთო მედიცინისთვის უცხო წამლის აღმოჩენა ძალიან ლოგიკური იყო, მაგრამ ეს იმდენად მთავარი არ არის, ბოხუმელები „კაიზერსლაუტერნის“ შეფის საქციელმა გააოცა. მათ ხომ პატივი სცეს მეტოქეს და არ იჩივლეს, რომ რეჰაგელმა ერთდროულად სამი „უცხო კაცი“ ათამაშა.

მაგრამ რეჰაგელი არას დაგიდევდათ. გაღმაც კი შეუტია „ბოხუმის“ მწვრთნელს.

„ტოპმიოლერი თამაშის მერე პირველი შევარდა მსაჯთა ოთახში და განაცხადა, რომ შეცვლებისას შემეშალა. რა უფლება აქვს ამის მერე, პატიოსნებაზე რომ მელაპარაკება?! შეცდომას რომ ვუშვებდი მაშინ მიეთითებინა ჩემთვის“ — განაცხადა „კაიზერსლაუტერნის“ თავკაცმა.

რეჰაგელის რისხვა ლინენსაც დაატყდა თავს: „ლინენი უნამუსოდ მომექცა. ნაცვლად იმისა, რომ პრესკონფერენციაზე პირში ეთქვა, ესა და ეს მაღიზიანებდაო, კუთხეში გადგა და რამდენიმე ჟურნალისტს ეჭორავა ჩემზე“.

ლინენის ნათქვამზე, თამაშის მერე რეჰაგელმა ხელიც კი არ ჩამომართვაო, მასწავლებელმა განაცხადა, თუ ეს ასე მნიშვნელოვანია, შემდეგი ჩამოსვლისას სადგურზე დავხვდები და თავად მივაცილებ, სადაც სურს.

დიახ, რეჰაგელი შეცდომებს თითქმის არასდროს აღიარებს და არც ფეხბურთიდან აპირებს წასვლას:

„რაიმონდ გუტალსი „მარსელს“ რომ წვრთნიდა, 72 წლისა იყო. მაშინ მან ჩემპიონთა თასის ფინალში „მილანს“ მოუგო და ჯილდო აღმართა. აი, ვინ არის სამაგალითო კაცი“.

**ენდრიუ გრეი**
**როიტერი**

# აფრიკელებს ძალიან უნდათ

მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის მასპინძლობის უფლების მოსაპოვებლად გერმანიასა და ინგლისს შორის დიდი დავა რომაა, ახალი ამბავი არ გახლავთ. არაა გამორიცხული მსოფლიოს ჩემპიონატი ზემოაღნიშნულ წელს ევროპაში კი არა, სხვა კონტინენტზე გაიმართოს.

ტურნირის მასპინძლობის სურვილი გერმანიის და ინგლისის გარდა ადრე გამოთქვეს ბრაზილიამ, ეგვიპტემ, განამ, არგენტინამ და სამხრეთი აფრიკამ.

გუშინ, ხუთშაბათს კანდიდატთა რაოდენობა კვლავ გაიზარდა — აფრიკის კიდევ ერთმა ქვეყანამ მაროკომ ოფიციალური განცხადება შეიტანა მსოფლიო ფეხბურთის მმართველ ორგანიზაცია ფიფაში, რომ 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობა სურს. სხვათა შორის მაროკო 1994 და 1998 წლების მსოფლიოს ჩემპიონატების მასპინძლობის უფლების მოსაპოვებლადაც იბრძოდა, მაგრამ მაშინ ჯერ აშშ-სთან დამარცხდა, მერე კი საფრანგეთთან. რა იქნება ახლა არავინ იცის.

ფიფაში მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის სურვილისშესახებ განაცხადის შეტანის ვადა გაისად, 1 აპრილს იწურება.

მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის მასპინძელ ქვეყანას ფიფა 2000 წლის მარტში დაასახელებს.

## ინგლისი

### პირველი დივიზიონი

**ქუინზ პარკი 1:1 იფსვიჩი**

1:0 გალენი (57), 1:1 ჰოლანდი (90)

**ნორვიჩი 3:1 გრიმსბი**

1:0 ადამსი (11), 2:0 რობერტსი (80), 2:1 სმიტი (83), 3:1 ბილემი (84)

### ლიგის თასის ნახევარფინალის კენჭისყრა

**სანდერლენდი — ლესტერი**

**ტოტენჰემი — უიმბლდონი**

პირველი მატჩები 25 იანვარს გაიმართება, საპასუხო კი 15 თებერვალს


სარბიელი

სამუშაოდ იწვევს

სპორტისა და ინგლისური ენის მცოდნე ქალებსა და ვაჟებს

დაგვირეკეთ: 39 48 29; 38 11 14 ან გვესტუმრეთ რედაქციაში: ალექსანდრე ყაზბეგის 42, I კორპუსი, IV სართული


## ჰოლანდია

გამოტოვებული მატჩები. ალკმაარი — როდა 1:0, კამბური — უტრეხტი 1:1, ნაიმეგენი — სპარტა 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფეიენოორდი | 14 | 11 | 2 | 1 | 34:13 | 35 |
| აიაქსი | 16 | 9 | 4 | 3 | 34:14 | 31 |
| ჰერენვენი | 16 | 9 | 4 | 3 | 27:18 | 31 |
| ვიტესი | 15 | 9 | 2 | 4 | 28:19 | 29 |
| ტვენტე | 15 | 8 | 4 | 3 | 26:17 | 28 |
| როდა | 16 | 8 | 3 | 5 | 25:19 | 27 |
| ნაიმეგენი | 15 | 7 | 5 | 3 | 27:21 | 26 |
| ეინდჰოვენი | 16 | 6 | 6 | 4 | 37:28 | 24 |
| ალკმაარი | 16 | 5 | 8 | 3 | 22:23 | 23 |
| ტილბურგი | 16 | 6 | 4 | 6 | 27:29 | 22 |
| უტრეხტი | 16 | 5 | 4 | 7 | 28:29 | 19 |
| მაასტრიხტი | 16 | 5 | 2 | 9 | 18:27 | 17 |
| გრააფსხაპი | 16 | 3 | 8 | 5 | 17:26 | 17 |
| კამბური | 17 | 3 | 6 | 8 | 17:31 | 15 |
| სპარტა | 16 | 3 | 3 | 10 | 16:31 | 12 |
| ბრედა | 13 | 2 | 4 | 7 | 15:21 | 10 |
| სიტარდი | 16 | 2 | 4 | 10 | 13:30 | 10 |
| ვალვაიკი | 15 | 1 | 3 | 11 | 16:31 | 6 |


ქირავდება

1-ოთახიანი კეთილმოწყობილი ბინა

ქავთარაძის ქუჩაზე

☎ 93 15 72


## ფეხბურთის რუკასთან



**არგენტინელი** მცველი მაურისიო ტარიკო „იფსვიჩ თაუნიდან“ „ტოტენჰემ ჰოთსფურში“ გადავიდა. მის სანაცვლოდ პრემიერლიგური კლუბისგან ინგლისის პირველ დივიზიონში მოასპარეზე „იფსვიჩმა“ 1,75 მილიონი გირვანქა (2,9 მილიონი დოლარი) მიიღო. მოლაპარაკებები ამ ორ გუნდს შორის ერთი თვის განმავლობაში შეჩერებული იყო, ვინაიდან არგენტინელს კოჭის ტრავმა აწუხებდა. ტარიკო „ტოტენჰემის“ თავკაცის ჯორჯ გრემის პირველი შენაძენია ამ სამუშაოზე დანიშვნის შემდეგ.

**გერმანული** „შალკეს“ კაპიტანი ოლაფ ტონი უახლოეს დღეებში მენისკის ოპერაციას გაიკეთებს და სულ ცოტა, მიმდინარე სეზონის დასრულებამდე გამოაკლდება თავისიანებს. „არის საშიშროება, რომ ტონი სეზონის ბოლომდე ველარ ითამაშებს, მაგრამ მან რომ ახლა ოპერაცია არ გაიკეთოს, შეიძლება ფეხბურთის თამაში ველარასდროს შეძლოს“ — აღნიშნა გერმანელ ჟურნალისტებთან საუბრისას 1997 წლის უეფას თასის მფლობელი გუნდის ამჟამინდელმა თავკაცმა ჰუუბ სტივენსმა, ხოლო „შალკეს“ მენეჯერმა რუდი ასაუერმა განაცხადა, რომ იგი გაფაციცებით ეძებს ტონის შემცვლელს და რამდენიმე კანდიდატურა უკვე შეარჩია. დღესდღეობით „შალკე“ ბუნდესლიგის გათამაშებაში მისთვის უჩვეულო, მე-16 ადგილზე იმყოფება.

**შოტლანდიის** ჩემპიონმა გლაზგოს „სელტიკმა“ საბოლოოდ დაასრულა მოლაპარაკება ავსტრალიის ეროვნული გუნდის წევრ მარკო ვიდუკასთან. ამ ფეხბურთელის სანაცვლოდ, რომლისადმი ინტერესი გლაზგოურმა კლუბმა ჯერ კიდევ სექტემბერში გამოხატა, ზაგრების „კროაცია“ 3 მილიონ გირვანქას (4,98 მილიონი დოლარი) მიიღებს. კონტრაქტზე ხელის მოწერის შემდეგ „სელტიკის“ დირექტორმა ფერგიუს მაკკენმა ასეთი რამ თქვა: „ვიდუკას შოტლანდიაში გადმობარგება ასე იმიტომ გაიწელა, რომ ხორვატიულ გუნდს მისი ჩემპიონთა ლიგის შეხვედრებში გამოყენება სურდა. გარდა ამისა, მარკო არაევროკავშირის ქვეყნიდან არის და მისთვის სამუშაო ვიზის გაკეთებაც სირთულეებთან იყო დაკავშირებული“. ავსტრალიელმა თავდამსხმელმა ახალ კლუბთან ოთხწლიანი ხელშეკრულება გააფორმა და ჟურნალისტებსაც გაესაუბრა: „ყველამ კარგად იცოდა, რომ ძალიან მინდოდა, კარიერა „სელტიკში“ გამეგრძელებინა. მიხარია, რომ დღეს შოტლანდიაში ვიმყოფები“.

**გერმანიის** ბუნდესლიგაში მოასპარეზე „ნიურნბერგის“ მთავარი მწვრთნელის თანამდებობა დატოვა ვილი რეიმანმა, მეუღლის ჯანმრთელობის მკვეთრი გაუარესების გამო. „ამ გადაწყვეტილების მიღება ჩემთვის ძალიან რთული იყო, რადგან გუნდს უჭირს, მაგრამ სხვა გზა არ მაქვს, მეუღლე გამიხდა ავად და სულ მასზე ვფიქრობ. ასეთ დროს კი,- როდესაც კლუბის თავკაცი მის წარმატებაზე კი არა, სხვა რაღაცეებზე ფიქრობს, მისი გუნდში დარჩენა არასწორად მიმაჩნია“ — აღნიშნა რეიმანმა. „ნიურნბერგს“, რომელიც ახლა ბუნდესლიგაში მე-15 ადგილზეა, დროებით რეიმანის თანაშემწე ტომას ბრუნერი ჩაუდგება სათავეში.

**ბრაზილიელი** თავდამსხმელი ლეანდრო მაჩადო ლისაბონის „სპორტინგმა“ დროებით ესპანურ „ტენერიფეს“ ათხოვა. ლეანდრო, რომელიც ადრეც, 1996-97 წლებშიც, თამაშობდა ესპანეთში, კერძოდ „ვალენსიაში“, ახალ კლუბში მიმდინარე სეზონის ბოლომდე დარჩება.

**გერმანიის** მეოთხე დივიზიონის კლუბმა, „ბონერმა“ გადაწყვიტა მჭიდრო კონტაქტები დაამყაროს კუბის ეროვნულ გუნდთან. „ვფიქრობ, უახლოეს მომავალში ყველაფერზე შევთანხმდებით და რამდენიმე კუბელ ფეხბურთელსაც დავიმატებთ. ამას წინათ ვნახე ვიდეოფირი, სადაც კუბისა და ბრაზილიის ნაკრებების შეხვედრა იყო ჩაწერილი და კუბელთა თამაშით საკმაოდ მოვიხიბლე. თუ საქმეები კარგად აეწყო, მაშინ ჩვენი ახალი მეგობრები მალე გერმანიას ეწვევიან, აქ ივარჯიშებენ, იცხოვრებენ და ამხანაგურ მატჩებსაც გამართავენ“ — აღნიშნა „ბონერის“ მთავარმა მწვრთნელმა რაინერ ტომასმა, ვინც კლუბის თავმჯდომარე ჰანს ვიოლთან ერთად მომავალ კვირაში კუბას აპირებს გამგზავრებას მოლაპარაკებების დასასრულებლად.

**ბრაზილიელმა** ნახევარმცველმა ჟუნინიომ უარყო ხმები იმის შესახებ, თითქოსდა იგი ინგლისურ „მიდლსბროში“ აპირებდეს დაბრუნებას, სადაც ორი წლის განმავლობაში თამაშობდა, სანამ მადრიდის „ატლეტიკოსთან“ გააფორმებდა ხელშეკრულებას. ესპანურ პრესაში ჟუნინიოს მადრიდიდან წასვლის შესახებ მას შემდეგ გავრცელდა ცნობები, რაც ბრაზილიელი ბოლო ტურში „კამპ ნოუზე“ „ბარსელონასთან“ პრინციპულ მატჩში „ატლეტიკოს“ იტალიელმა დამრიგებელმა არიგო საკიმ ძირითად შემადგენლობაში არ დააყენა. გაზეთებში ისიც დაიწერა, რომ ბრაზილიელი გამთამაშებლისადმი ინტერესი „მიდლსბროს“ გარდა პრემიერლიგის ერთპიროვნულმა ლიდერმა ბირმინგემის „ასტონ ვილამ“ და თასთა თასის მფლობელმა ლონდონის „ჩელსიმ“ გამოთქვეს. მაგრამ 25 წლის ჟუნინიო ყველაფერს უარყოფს: „პირადად არავინ შემხმიანებია და ასე რომც მომხდარიყო, მიუხედავად მათდამი პატივისცემისა, უარით გავისტუმრებდი. დღესდღეობით მხოლოდ „ატლეტიკოზე“ და მის ძირითადში ადგილის დამკვიდრებაზე ვფიქრობ და ამისთვის ბევრსაც ვვარჯიშობ. რაც შეეხება „ბარსელონასთან“ შეხვედრაში ჩემს არყოფნას, ყოველთვის მსიამოვნებს ასეთ დიდ მატჩებში მონაწილეობა და ამიტომაც საკის გადაწყვეტილებამ ცოტა არ იყოს გამაკვირვა და გამანაწყენა კიდეც“.

**სამხრეთ** აფრიკის ფეხბურთის ფედერაციის უფროსობამ ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე ტროტ მოლოტოს კანდიდატურა დაამტკიცა. 42 წლის მოლოტოს ამ ნაკრებთან მუშაობის გამოცდილება უკვე გააჩნია — იგი საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე აფრიკელთა ყოფილი თავკაცის, ფრანგი ფილიპ ტრუსიეს თანაშემწე გახლდათ. ამ უკანასკნელის წასვლის შემდეგ მოლოტო დროებით ასრულებდა ნაკრების მთავარი მწვრთნელის მოვალეობას და გუნდი აფრიკის თასის გათამაშებისთვისაც მოამზადა. ფედერაციის ჩინოვნიკთა თქმით, ხელშეკრულება მოლოტოსთან 2000 წლის მარტამდე გაფორმდა.

**გერმანული** „შტუტგარტის“, რომელსაც ბუნდესლიგის გათამაშების ბოლო ექვს ტურში არ გაუმარჯვია, ამჟამად მე-10 ადგილზე იმყოფება და გერმანიის თასის მეოთხედფინალშიც სამარცხვინოდ წააგო მიუნხენის „ბაიერნთან“ 0:3, თავკაც ვინფრიდ შეფერს თურმე თავისივე ფეხბურთელები აუჯანყდნენ და მის თანამდებობიდან დაუყოვნებლივ გადაყენებას ითხოვენ. ყველაზე მეტად „შტუტგარტის“ მთავარი მეგოლე ფრედი ბობიჩი აქტიურობს, რომელიც „ბაიერნთან“ მატჩში შეფერმა მინდორზე მხოლოდ 57-ე წუთზე შეიყვანა — „ასე შეიძლება 18 წლის ბიჭს მოექცეთ, არავითარ შემთხვევაში ფრედი ბობიჩს“ — მიმართა მწვრთნელს 27 წლის ბობიჩმა. თავად შეფერი კი მშვიდად არის და ოპონენტთა უხეშ მიმართვებს აუღელვებლად პასუხობს: „ყველამ თავისი საქმე აკეთოს, თანაც ისე, როგორც მოეთხოვება. დღესდღეობით „შტუტგარტის“ მწვრთნელი მე ვარ და წასვლას არსადაც არ ვაპირებ. ასე რომ, ვისაც წარმატებაზე ფიქრი სერიოზულად სურს, ჩემს მითითებებს უნდა დაემორჩილოს და პრესასა და ტელევიზიის ჟურნალისტებთან ლაყბობაში ენერგია არ დახარჯოს“.

**ჰოლანდიის** ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა, „ალკმაარის“ მწვრთნელმა ვიმ ვან ჰანეგემმა განაცხადა, რომ შესაძლოა სეზონის ბოლოს კლუბი დატოვოს. ნარინჯისფერთა 70-იანი წლების ნაკრების მოთამაშემ ამის მიზეზად კლუბის ხელმძღვანელებთან კონტრაქტის თაობაზე ვერ შეთანხმება დაასახელა. ვან ჰანეგემს წლიურ გასამრჯელოდ 690 ათასი დოლარი მოუთხოვია, მაგრამ მას არ დასთანხმებიან. „ალკმაარის“ წარმომადგენელთა თქმით მწვრთნელს ბევრი მოუნდა.

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. მე-16 ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 4 დეკემბერი | | | |
| ნიურნბერგი — ჰანზა | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ბოხუმი — ბაიერნი | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| 5 დეკემბერი | | | |
| ლევერკუზენი — ვოლფსბურგი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| აინტრახტი — შალკე | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ჰერტა — ფრაიბურგი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| დუისბურგი — კაიზერსლაუტერნი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| შტუტგარტი — ჰამბურგი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| მიონხენგლადბახი — ვერდერი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 6 დეკემბერი | | | |
| მიუნხენ 1860 — დორტმუნდი | 2,3 | 2,9 | 2,8 |

### გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. მე-17 ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 4 დეკემბერი | | | |
| კარლსრუე — უნტერჰახინგი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ბერლინი — მაინცი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ურდინგენი — კოტბუსი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 6 დეკემბერი | | | |
| დიუსელდორფი — ობერჰაუზენი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ფიურტი — ულმი | 2,4 | 2,7 | 2,8 |
| ვატენშაიდი — ჰანოვერი | 2,1 | 2,7 | 3,4 |
| ფორტუნა — გიუტერსლოო | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| კიკერსი — ზანქტ პაული | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 7 დეკემბერი | | | |
| არმინია — კიოლნი | 1,7 | 3,0 | 4,7 |

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. მე-16 ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 5 დეკემბერი | | | |
| ასტონ ვილა — მანჩესტერი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ბლექბერნი — ჩარლტონი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| დერბი — არსენალი | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| ევერტონი — ჩელსი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| ლიდსი — ვესტ ჰემი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| ლესტერი — საუთჰემპტონი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ტოტენჰემი — ლივერპული | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| უიმბლდონი — ქოვენთრი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 6 დეკემბერი | | | |
| მიდლსბრო — ნიუკასლი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 7 დეკემბერი | | | |
| შეფილდ უენსდეი — ნოტინგემი | 1,7 | 3,0 | 4,7 |

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. 22-ე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 5 დეკემბერი | | | |
| ბრისტოლი — შეფილდ იუნაიტედი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| ბერი — ვესტ ბრომვიჩი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| ჰადერსფილდი — კრისტალ პალასი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| იფსვიჩი — ბირმინგემი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| ოქსფორდი — ბრედფორდი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| პორტსმუთი — ქრიუ | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| ქუინზ პარკი — პორტ ვეილი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| სანდერლენდი — სტოკპორტი | 1,35 | 3,6 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| სვინდონი — ნორვიჩი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ტრანმერი — გრიმსბი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| უოტფორდი — ბარნსლი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ვულვერჰემპტონი — ბოლტონი | 2,0 | 2,8 | 3,6 |

### საფრანგეთის ჩემპიონატი. მე-17 ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 4 დეკემბერი | | | |
| სოშო — ლორიანი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ლანსი — სტრასბური | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| პსჟ — ტულუზი | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ნანტი — ბასტია | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| მონპელიე — ლე ავრი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| მეცი — რენი | 2,0 | 2,8 | 3,5 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია A. მე-12 ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 5 დეკემბერი | | | |
| ფიორენტინა — ბოლონია | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| რომა — პერუჯა | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 2,0 | 2,9 | 2,5 |
| სამპდორია — პარმა | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| 6 დეკემბერი | | | |
| კალიარი — ვენეცია | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| იუვენტუსი — ლაციო | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| მილანი — უდინეზე | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| პიაჩენცა — ემპოლი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| სალერნიტანა — ბარი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| ვიჩენცა — ინტერი | 3,6 | 2,9 | 1,9 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია B. მე-13 ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 5 დეკემბერი | | | |
| ნაპოლი — ტორინო | 2,0 | 2,7 | 3,6 |
| 6 დეკემბერი | | | |
| ბრეშა — ჯენოა | 1,8 | 2,7 | 4,7 |
| კრემონეზე — ატალანტა | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| ლეჩე — მონცა | 1,6 | 2,8 | 6,5 |
| ლუკეზე — ტერნანა | 1,9 | 2,7 | 4,0 |
| რავენა — პესკარა | 2,2 | 2,7 | 3,2 |
| რეჯანა — ფ. ანდრია | 1,6 | 2,8 | 6,5 |
| რეჯინა — კიევო | 1,7 | 2,8 | 5,3 |
| ტრევიზო — კოზენცა | 1,35 | 3,6 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,4 |
| ვერონა — ჩეზენა | 1,25 | 4,2 | 9,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,0 | 2,8 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. I დივიზიონი. მე-13 ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 5 დეკემბერი | | | |
| დეპორტივო — ბარსელონა | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| ატლეტიკო — ბილბაო | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| მალიორკა — ბეტისი | 1,6 | 2,8 | 6,5 |
| სოსიედადი — ესტრემადურა | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| ესპანიოლი — რეალი | 3,5 | 2,8 | 2,0 |
| სალამარკა — სელტა | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 6 დეკემბერი | | | |
| ვილიარეალი — ვალიადოლიდი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| ტენერიფე — სარაგოსა | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| ოვიედო — რასინგი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| ალავესი — ვალენსია | 2,8 | 2,9 | 2,3 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი. მე-15 ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 5 დეკემბერი | | | |
| ორენსე — მალიორკა B | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| რეკრეატივო — ლას პალმასი | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| 6 დეკემბერი | | | |
| ერკულესი — ბარსელონა B | 1,5 | 3,6 | 5,0 |
| ოსასუნა — ალბასეტე | 1,5 | 3,3 | 6,5 |
| ბადახოსი — ტოლედო | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| ლეგანესი — ეიბარი (15.00) | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| მერიდა — სპორტინგი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| სევილია — ატლეტიკო B | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| კომპოსტელა — რაიო ვალეკანო (15.00) | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ნუმანსია — ლოგრონიესი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| მალაგა — ლეიდა | 1,8 | 2,9 | 4,2 |

### პორტუგალიის ჩემპიონატი. მე-14 ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 4 დეკემბერი | | | |
| ბენფიკა — სეტუბალი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| სალგეირუში — სპორტინგი | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| 5 დეკემბერი | | | |
| პორტუ — შავეში | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,5 |
| 6 დეკემბერი | | | |
| ლეირია — ამადორა | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| მარიტიმუ — კამპომაიორენსე | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ბოავიშტა — რიუ ავე | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| გიმარაეში — ფარენსე | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| ალვერკა — ბეირა მარი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 7 დეკემბერი | | | |
| ბრაგა — აკადემიკა | 1,6 | 2,9 | 6,0 |

### ჰოლანდიის ჩემპიონატი. მე-17 ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 5 დეკემბერი | | | |
| როდა — ჰერენვენი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| აიაქსი — მაასტრიხტი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,6 |
| ალკმაარი — ტვენტე | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ბრედა — ეინდჰოვენი | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| სპარტა — კამბური | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| უტრეხტი — გრააფსხაპი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ფეიენოორდი — ნაიმეგენი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,5 |

### ბელგიის ჩემპიონატი. მე-17 ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 4 დეკემბერი | | | |
| ვესტერლო — ბრიუგე | 3,5 | 2,8 | 2,0 |
| 5 დეკემბერი | | | |
| ოსტენდე — აალსტი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| სტანდარდი — ლიერსი | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| გენტი — ლოკერენი | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| შარლერუა — ლომელი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ბევერენი — სენტ ტრუიდენი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| მუსკრონი — ეკერენი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 6 დეკემბერი | | | |
| გენკი — ჰარელბეკი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| კორტრაიკი — ანდერლეხტი | 5,0 | 3,2 | 1,6 |

### თურქეთის ჩემპიონატი. მე-15 ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 4 დეკემბერი | | | |
| ქოჯაელი — ფენერბაჰჩე | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 5 დეკემბერი | | | |
| ერზურუმი — ისთანბული (14.30 სთ) | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| ანკარაგიუჯიუ — გალათასარაი | 6,0 | 3,3 | 1,5 |
| 6 დეკემბერი | | | |
| ანთალია — ქარაბუქი (16.00 სთ) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| საქარია — დარდანელი (16.00 სთ) | 1,5 | 3,6 | 5,0 |
| ალთაი — ადანა (16.00 სთ) | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| გაზიანთეფი — სამსუნი (16.00 სთ) | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ბურსა — გენჩლერბირლიგი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ბეშიქთაში — ტრაბზონი | 1,7 | 3,0 | 4,7 |

### შოტლანდიის ჩემპიონატი. მე-17 ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 5 დეკემბერი | | | |
| დანდი იუნაიტედი — სენტ ჯონსტონი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| კილმარნოკი — აბერდინი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| მოზერველი — დანდი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| რეინჯერსი — დანფერმლაინი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,6 |
| 6 დეკემბერი | | | |
| ჰართსი — სელტიკი | 3,6 | 2,9 | 1,9 |

### ავსტრიის ჩემპიონატი. მე-20 ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 4 დეკემბერი | | | |
| შტურმი — ლინცერი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 5 დეკემბერი | | | |
| რიდი — აუსტრია | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| ზალცბურგი — ლუსტენაუ | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| შტაირი — ტიროლი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 6 დეკემბერი | | | |
| რაპიდი — გრაცერი | 1,8 | 3,0 | 4,0 |

### შვეიცარიის ჩემპიონატი. 21-ე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 4 დეკემბერი | | | |
| სიონი — ციურიხი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 5 დეკემბერი | | | |
| გრასჰოპერი — სენტ გალენი | 1,5 | 3,6 | 5,0 |
| 6 დეკემბერი | | | |
| არაუ — ლუცერნი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| იანგ ბოისი — ბაზელი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ლოზანა — ქსამაქსი | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| ლუგანო — სერვეტი | 4,2 | 2,9 | 1,8 |

### ჰოკეი. NHL

| | | | |
|---|---|---|---|
| 4 დეკემბერი | | | |
| ბუფალო — ფილადელფია | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ნიუ ჯერსი — მონრეალი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| ვაშინგტონი — აილენდერსი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| კაროლინა — პიტსბურგი | 2,1 | 4,4 | 1,9 |
| კოლორადო — სენტ ლუისი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ედმონტონი — ტამპა ბეი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| ვანკუვერი — დალასი | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| სან ხოსე — დეტროიტი | 2,7 | 4,4 | 1,6 |
| 5 დეკემბერი | | | |
| ბოსტონი — პიტსბურგი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| მონრეალი — ტორონტო | 2,1 | 4,4 | 1,9 |
| ოტავა — რეინჯერსი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| აილენდერსი — ნიუ ჯერსი | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| ფილადელფია — ვაშინგტონი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| ფლორიდა — კაროლინა | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| სენტ ლუისი — კოლორადო | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| ნეშვილი — ბუფალო | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| კალგარი — ფინიქსი | 2,7 | 4,4 | 1,6 |
| ლოს ანჯელესი — დეტროიტი | 2,7 | 4,4 | 1,6 |
| 6 დეკემბერი | | | |
| ჩიკაგო — ტამპა ბეი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| ედმონტონი — დალასი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ვანკუვერი — ფინიქსი | 2,4 | 4,4 | 1,7 |
| სან ხოსე — ანაჰაიმი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 7 დეკემბერი | | | |
| რეინჯერსი — ტორონტო | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| კალგარი — დალასი | 2,2 | 4,4 | 1,8 |

### ტურში გატანილი გოლები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| გერმანია (მე-16 ტური) | 25 და ნაკლები | 1,9 | 27 და მეტი | 1,9 |
| ინგლისი (მე-16 ტური) | 25 და ნაკლები | 1,9 | 27 და მეტი | 1,9 |
| იტალია (მე-12 ტური) | 22 და ნაკლები | 1,9 | 24 და მეტი | 1,9 |
| ესპანეთი (მე-13 ტური) | 25 და ნაკლები | 1,9 | 27 და მეტი | 1,9 |
| პორტუგალია (მე-14 ტური) | 23 და ნაკლები | 1,9 | 25 და მეტი | 1,9 |
| ბელგია (მე-17 ტური) | 26 და ნაკლები | 1,9 | 28 და მეტი | 1,9 |
| თურქეთი (მე-15 ტური) | 24 და ნაკლები | 1,9 | 26 და მეტი | 1,9 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

**751. კოტე მარდალეიშვილი.** რუსთავი. ექიმი. 70 წლის. მწვრთნელი: 1. რევაზ ძოძუაშვილი, 2. ანატოლი ნორაკიძე, 3. ანდრო ჟორდანია
ფეხბურთელი: 1. სერგო კოტრიკაძე, 2. რევაზ ძოძუაშვილი, 3. სლავა მეტრეველი, 4. მურთაზ ხურცილავა, 5. რამაზ შენგელია
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, თენგიზ სულაქველიძე, შოთა იამანიძე, ავთანდილ ღოღობერიძე, გიორგი სიჭინავა, სლავა მეტრეველი, ვლადიმერ ბარქაია, რამაზ შენგელია
**752. სულიკო შაბანოვი.** მარნეული. ექიმი 50 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. რევაზ ძოძუაშვილი, 3. შოთა ჭეიშვილი
ფეხბურთელი: 1. სლავა მეტრეველი, 2. სერგო კოტრიკაძე, 3. რევაზ ძოძუაშვილი, 4. გაიოზ ჯეჯელავა, 5. ვიტალი დარასელია
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, შოთა იამანიძე, ავთანდილ ღოღობერიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ზაურ კალოევი, სპარტაკ ჯეჯელავა
**753. ზურა ბაბაშელი.** რუსთავი. პედაგოგი. 29 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. რევაზ ძოძუაშვილი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. სლავა მეტრეველი, 2. მურთაზ ხურცილავა, 3. დავით ყიფიანი, 4. ბორის პაიჭაძე, 5. რევაზ ძოძუაშვილი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, თენგიზ სულაქველიძე, დავით ყიფიანი, შოთა იამანიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი
**754. ნინო კოკაია.** თბილისი. პედაგოგი. 39 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი. 2. ანატოლი ნორაკიძე, 3. ანდრო ჟორდანია
ფეხბურთელი: 1. რამაზ შენგელია, 2. ავთანდილ ღოღობერიძე, 3. სლავა მეტრეველი, 4. ბორის პაიჭაძე, 5. ვიტალი დარასელია
გუნდი: ოთარ გაბელია, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, შოთა ხინჩაგაშვილი, ბორის პაიჭაძე, ვიტალი დარასელია, ავთანდილ ღოღობერიძე, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი, დავით ყიფიანი, რამაზ შენგელია
**755. ჯამბული ქუტალაძე.** მწვრთნელი. 34 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. მიხეილ იაკუშინი, 3. გავრილ კაჩალინი
ფეხბურთელი: 1. მანუჩარ მაჩაიძე, 2. სლავა მეტრეველი, 3. შოთა იამანიძე, 4. ავთანდილ ღოღობერიძე, 5. შოთა ხინჩაგაშვილი
გუნდი: დავით გოგია, ნოდარ ხიზანიშვილი, მურთაზ ხურცილავა, ფირუზ კანთელაძე, გოჩა მაჩაიძე, სერგო კუტივაძე, მანუჩარ მაჩაიძე, გაიოზ ჯეჯელავა, ავთანდილ ღოღობერიძე, სლავა მეტრეველი, ვახტანგ ქორიძე
**756. ჯანგულ სტეფანია.** მძღოლი. 31 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. მიხეილ იაკუშინი, 3. გავრილ კაჩალინი
ფეხბურთელი: 1. მანუჩარ მაჩაიძე, 2. სლავა მეტრეველი, 3. შოთა იამანიძე, 4. ავთანდილ ღოღობერიძე, 5. შოთა ხინჩიგაშვილი
გუნდი: დავით გოგია, ნოდარ ხიზანიშვილი, მურთაზ ხურცილავა, ფირუზ კანთელაძე, გოჩა მაჩაიძე, სერგო კუტივაძე, მანუჩარ მაჩაიძე, გაიოზ ჯეჯელავა, ავთანდილ ღოღობერიძე, სლავა მეტრეველი, ვახტანგ ქორიძე
**757. არიკოში ერინარაძე.** ლანჩხუთი. მძღოლი. 30 წლის. მწვრთნელი: 1. გავრილ კაჩალინი, 2. მიხეილ იაკუშინი, 3. ანდრო ჟორდანია
ფეხბურთელი: 1. მანუჩარ მაჩაიძე, 2. სლავა მეტრეველი, 3. ავთანდილ ღოღობერიძე, 4. შოთა იამანიძე, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი: დავით გოგია, ნოდარ ხიზანიშვილი, ფირუზ კანთელაძე, შოთა ხინჩაგაშვილი, გოჩა მაჩაიძე, ვლადიმერ ბარქაია, მანუჩარ მაჩაიძე, ვახტანგ ქორიძე, სლავა მეტრეველი, ავთანდილ ღოღობერიძე, ბორის პაიჭაძე
**758. ხვიჩა სტეფანია.** ჟურნალისტი. 35 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. გავრილ კაჩალინი, 3. მიხეილ იაკუშინი
ფეხბურთელი: 1. მანუჩარ მაჩაიძე, 2. სლავა მეტრეველი, 3. ბორის პაიჭაძე, 4. შოთა იამანიძე, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი: დავით გოგია, ვლადიმერ ელოშვილი, ფირუზ კანთელაძე, მურთაზ ხურცილავა, გოჩა მაჩაიძე, სერგო კუტივაძე, მანუჩარ მაჩაიძე, სლავა მეტრეველი, გაიოზ ჯეჯელაჩა, ავთანდილ ღოღობერიძე, ბორის პაიჭაძე
**759. დათო ერინარაძე.** ლანჩხუთი. მეზღვაური. 34 წლის. მწვრთნელი: 1. მიხეილ იაკუშინი, 2. გავრილ კაჩალინი, 3. ანდრო ჟორდანია
ფეხბურთელი: 1. მანუჩარ მაჩაიძე, 2. სლავა მეტრეველი, 3. ბორის პაიჭაძე, 4. შოთა იამანიძე, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი: დავით გოგია, ვლადიმერ ელოშვილი, ფირუზ კანთელაძე, მურთაზ ხურცილავა, გოჩა მაჩაიძე, სერგო კუტივაძე, მანუჩარ მაჩაიძე, სლავა მეტრეველი, გაიოზ ჯეჯელავა, ავთანდილ ღოღობერიძე, ბორის პაიჭაძე
**760. თამაზ ბიჭაშვილი.** თბილისი. პოლიციელი. 50 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ანატოლი ნორაკიძე, 3. ნოდარ ახალკაცი
ფეხბურთელი: 1. მურთაზ ხურცილავა, 2. სლავა მეტრეველი, 3. მიხეილ მესხი, 4. ალექსანდრე ჩივაძე, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: ანზორ კავაზაშვილი, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გურამ ცხოვრებოვი, შოთა იამანიძე, მანუჩარ მაჩაიძე, დავით ყიფიანი, ვლადიმერ გუცაევი, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი
**761. თენგიზ გორდეზიანი.** თბილისი. თსუ-ს დოცენტი. 39 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანატოლი ნორაკიძე, 3. ანდრო ჟორდანია
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. მანუჩარ მაჩაიძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი
**762. ნიკოლოზ გვაზავა.** თბილისი. სტუდენტი. 23 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. სლავა მეტრეველი, 4. რამაზ შენგელია, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, გიორგი სიჭინავა, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ვიტალი დარასელია, დავით ყიფიანი, კახი ასათიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი
**763. გიორგი ქალანდარიშვილი.** თბილისი. საქონელმცოდნე. 21 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. დავით ყიფიანი, 3. ბორის პაიჭაძე, 4. შოთა იამანიძე, 5. ავთანდილ ღოღობერიძე
გუნდი: ოთარ გაბელია, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, რევაზ ძოძუაშვილი, გივი ჩოხელი, გიორგი ქინქლაძე, დავით ყიფიანი, ვიტალი დარასელია, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი, რამაზ შენგელია
**764. რომანოზ ფერაძე.** თბილისი. თსუ-ს დოცენტი (გეოლოგი). 56 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. მურთაზ ხურცილავა, 5. ალექსანდრე ჩივაძე
გუნდი: ანზრორ კავაზაშვილი, ვლადიმერ ელოშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, შოთა ხინჩაგაშვილი, გიორგი სიჭინავა, დავით ყიფიანი, ვიტალი დარასელია, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი
765. **ზაზა ქალანდარიშვილი.** თბილისი. ჰიდროგეოლოგი. 32 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანატოლი ნორაკიძე, 3. ანდრო ჟორდანია
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. დავით ყიფიანი, 3. მურთაზ ხურცილავა, 4. სლავა მეტრეველი, 5. ბორის პაიჭაძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გიორგი სიჭინავა, თემურ ქეცბაია, მანუჩარ მაჩაიძე, ვიტალი დარასელია, სლავა მეტრეველი, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი
**766. ბადრი მიქაუტაძე.** ქუთაისი. პედოგოგი. 50 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. უშანგი სალდაძე, 3. ნოდარ ახალკაცი
ფეხბურთელი: 1. სლავა მეტრეველი, 2. ავთანდილ ღოღობერიძე, 3. მიხეილ მესხი, 4. შოთა იამანიძე, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, ბორის სიჭინავა, მურთაზ ხურცილავა, ელვირ თორაძე, გივი ჩოხელი, გიორგი სიჭინავა, ავთანდილ ღოღობერიძე, შოთა იამანიძე, სლავა მეტრეველი, ზაურ კალოევი, მიხეილ მესხი
**767. დათო დათიაშვილი.** ქუთაისი. მოსწავლე. 15 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ვლადიმერ გუცაევი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. დავით ყიფიანი, 5. რამაზ შენგელია
გუნდი: ანზორ კავაზაშვილი, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, შოთა იამანიძე, მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი, დავით ყიფიანი, ვლადიმერ გუცაევი, ბორის პაიჭაძე, ვიტალი დარასელია, რამაზ შენგელია
**768. ლევან მოსიძე.** გარდაბანი. მოსწავლე. 17 წლის. მწვრთნელი: 1. ანატოლი ნორაკიძე, 2. რევაზ ძოძუაშვილი, 3. ნოდარ ახალკაცი
ფეხბურთელი: სლავა მეტრეველი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. ავთანდილ ღოღობერიძე, 4. კახი ცხადაძე, 5. მიხეილ მესხი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, გივი ჩოხელი, კახი ცხადაძე, ალექსანდრე ჩივაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ავთანდილ ღოღობერიძე, თენგიზ სულაქველიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი
**769. ნოდარ შველიძე.** გარდაბანი. ინჟინერი. 21 წლის. მწვრთნელი: 1. ანატოლი ნორაკიძე, 2. რევაზ ძოძუაშვილი, 3. ნოდარ ახალკაცი
ფეხბურთელი: 1. სლავა მეტრეველი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. ავთანდილ ღოღობერიძე, 4. მიხეილ მესხი, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, ავთანდილ ღოღობერიძე, დავით ყიფიანი, თენგიზ სულაქველიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი
**770. თემურ შველიძე.** გარდაბანი. ავტოინჟინერი. 54 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანატოლი ნორაკიძე, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. სლავა მეტრეველი, 2. მურთაზ ხურცილავა, 3. მიხეილ მესხი, 4. დავით ყიფიანი, 5. ავთანდილ ღოღობერიძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, ავთანდილ ღოღობერიძე, დავით ყიფიანი, თენგიზ სულაქველიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი
**771. ნუგეშა ნადარაია.** თბილისი. ექიმი. 70 წლის. მწვრთნელი: 1. ანატოლი ნორაკიძე, 2. რევაზ ძოძუაშვილი, 3. ნოდარ ახალკაცი
ფეხბურთელი: 1. სლავა მეტრეველი, 2. ავთანდილ ღოღობერიძე, 3. ბორის პაიჭაძე, 4. მიხეილ მესხი, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, შოთა იამანიძე, თენგიზ სულაქველიძე, ავთანდილ ღოღობერიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი
**772. ბერონტი მოსიძე.** გარდაბანი. პედაგოგი. 64 წლის. მწვრთნელი: 1. რევაზ ძოძუაშვილი, 2. ანატოლი ნორაკიძე, 3. ანდრო ჟორდანია
ფეხბურთელი: 1. სლავა მეტრეველი, 2. ავთანდილ ღოღობერიძე, 3. ბორის პაიჭაძე, 4. მიხეილ მესხი, 5. კახი ცხადაძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, გივი ჩოხელი, ალექსანდრე ჩივაძე, კახი ცხადაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ავთანდილ ღოღობერიძე, თენგიზ სულაქველიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი
**773. თამაზ სიკინჭილაშვილი.** გარდაბანი. პედაგოგი. 40 წლის. მწვრთნელი: 1. რევაზ ძოძუაშვილი, 2. ანატოლი ნორაკიძე, 3. გავრილ კაჩალინი
ფეხბურთელი: 1. სლავა მეტრეველი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. კახი ცხადაძე, 4. ავთანდილ ღოღობერიძე, 5. შოთა არველაძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, გივი ჩოხელი, კახი ცხადაძე, ალექსანდრე ჩივაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ავთანდილ ღოღობერიძე, თენგიზ სულაქველიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი
**774. მალვინა მსხვილიძე.** თბილისი. ტექნოლოგი. 44 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. რამაზ შენგელია, 2. მურთაზ ხურცილავა, 3. ავთანდილ ღოღობერიძე, 4. მიხეილ მესხი, 5. სლავა მეტრეველი
გუნდი: ოთარ გაბელია, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ბორის პაიჭაძე, ავთანდილ ღოღობერიძე, ვიტალი დარასელია, გივი ჩოხელი, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი, რამაზ შენგელია
**775. ბორის შეყილაძე.** რუსთავი. ხელოვნების მუშაკი. 49 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. სლავა მეტრეველი, 2. ავთანდილ ღოღობერიძე, 3. ბორის პაიჭაძე, 4. მიხეილ მესხი, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, თენგიზ სულაქველიძე, დავით ყიფიანი, ავთანდილ ღოღობერიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი
**776. ლორენტი ახობაძე.** რუსთავი. მეტალურგი. 44 წლის. მწვრთნელი: 1. ანატოლი ნორაკიძე, 2. რევაზ ძოძუაშვილი, 3. ნოდარ ახალკაცი
ფეხბურთელი: 1. სლავა მეტრეველი, 2. ავთანდილ ღოღობერიძე, 3. ბორის პაიჭაძე, 4. მიხეილ მესხი, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, გივი ჩოხელი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ავთანდილ ღოღობერიძე, თენგიზ სულაქველიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი
**777. რომეო ქვარელიშვილი.** რუსთავი. მასაჟისტი. 47 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანატოლი ნორაკიძე, 3. ანდრო ჟორდანია
ფეხბურთელი: 1. სლავა მეტრეველი, 2. მურთაზ ხურცილავა, 3. მიხეილ მესხი, 4. დავით ყიფიანი, 5. ავთანდილ ღოღობერიძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, გივი ჩოხელი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, რევაზ ძოძუაშვილი, შოთა იამანიძე, ავთანდილ ღოღობერიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, ავთანდილ ჭკუასელი
**778. რეზო ცენტერაძე.** რუსთავი. მშენებელი. 60 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანატოლი ნორაკიძე, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. სლავა მეტრეველი, 2. მურთაზ ხურცილავა, 3. მიხეილ მესხი, 4. დავით ყიფიანი, 5. ავთანდილ ღოღობერიძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, გივი ჩოხელი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, რევაზ ძოძუაშვილი, შოთა იამანიძე, ავთანდილ ღოღობერიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი
**779. გრიგოლ აბესაძე.** რუსთავი. პედაგოგი. 62 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანატოლი ნორაკიძე, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. სლავა მეტრეველი, 2. მურთაზ ხურცილავა, 3. მიხეილ მესხი, 4. დავით ყიფიანი, 5. ბორის პაიჭაძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, გივი ჩოხელი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, რევაზ ძოძუაშვილი, შოთა იამანიძე, გიორგი სიჭინავა, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი
**780. მაია დანელია.** რუსთავი. ინჟინერი. 25 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანატოლი ნორაკიძე, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. სლავა მეტრეველი, 2. მურთაზ ხურცილავა, 3. ბორის პაიჭაძე, 4. დავით ყიფიანი, 5. ავთანდილ ღოღობერიძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, გივი ჩოხელი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, რევაზ ძოძუაშვილი, შოთა იამანიძე, ავთანდილ ღოღობერიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, ავთანდილ ჭკუასელი

# საქართველოს ყველა დროის საუკეთესო

## ფეხბურთელი, მწვრთნელი, სიმბოლური ნაკრები

# სარბიელის მკითხველთა აზრით

ჩვენში ფეხბურთს გასული საუკუნის მიწურულიდან ანუ აგერ უკვე ერთი საუკუნეა თამაშობენ. ამ ხნის მანძილზე ბევრ დიდოსტატს უგორებია ტყავის ბურთი ფოთსა და თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში, სოხუმსა და ლანჩხუთში, ზუგდიდსა და გორში... ქართულ ფეხბურთს ბევრი ვარსკვლავი ჰყოლია.

„სარბიელის" გამოკითხვის მიზანია, ყველა თაობის გულშემატკივართა აზრთა შეჯამების საფუძველზე საახალწლოდ ქართულ ფეხბურთში რჩეულთაგან გამორჩეულები გამოავლინოს!

„სარბიელის" გამოკითხვაში ნებისმიერ მსურველს შეუძლია მონაწილეობა. ამისთვის უნდა შეავსოთ და გაზეთიდან ამოჭრილი ანკეტები (ან „სარბიელში" მოცემული ანკეტის ანალოგიურად შევსებული ჩვეულებრივი თეთრი ფურცელი: რვეულის, თაბახისა...) საფოსტო კონვერტში ჩადებული გამოგვიგზავნოთ რედაქციაში. გთხოვთ, ანკეტის შევსებისას მიუთითოთ სახელი, გვარი, სადაურობა (სად ცხოვრობთ), ასაკი, პროფესია. ყოველივე ეს „სარბიელში" დაიბეჭდება, თითოეულ მკითხველს საშუალება ექნება საკუთარი ვერსიაც იხილოს გაზეთში და საერთო სურათსაც უშუალოდ ადევნოს თვალი.

საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად უნდა დასახელდეს ხუთი კანდიდატი, რომელთაც ადგილების მიხედვით შესაბამისად 5, 4, 3, 2 და 1 ქულა დაერიცხებათ. საუკეთესო ქულების საერთო ჯამით გამოვლინდება.

იგივე პრინციპით დასახელდება № 1 მწვრთნელიც. მაგრამ ამ შემთხვევაში გამოკითხვის თითოეული მონაწილე მხოლოდ სამ კანდიდატს ასახელებს (ქულებიც შესაბამისად 3, 2 და 1 იქნება).

ნაკრების შესადგენად კი ყველა ანკეტაში 11 ფეხბურთელი უნდა დასახელდეს 1+4+3+3 პირობითი სქემით. სიმბოლური გუნდის საბოლოო ვარიანტი ფეხბურთელთა მიერ მიღებული ხმების რაოდენობით განისაზღვრება.

**„სარბიელის" რედაქციის მისამართი: თბილისი 77, ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.**

**საფოსტო მისამართი: თბილისი 79, საფოსტო ყუთი 208.**

✂ - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - -

**საქართველოს ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი**

1 ______
2 ______
3 ______
4 ______
5 ______

**საქართველოს ყველა დროის საუკეთესო მწვრთნელი**

1 ______
2 ______
3 ______

**საქართველოს ყველა დროის სიმბოლური ნაკრები**

1 ______
2 ______
3 ______
4 ______
5 ______
6 ______
7 ______
8 ______
9 ______
10 ______
11 ______

სახელი ------------
გვარი ------------
ასაკი ------------
პროფესია ------------
მისამართი ------------




REUTERS ფოტოები

ესტონეთი — ლიტვა. ბალტიურ — ექსსაბჭოური დუელი: ესტონელი აივარ კუუსმაა (5) ლიტველ არვიდას საბონისს გზას უღობავს

# კალათბურთი და მათემატიკა: ოთხი გუნდი უკვე ფინალშია

„ევრობასკეტ-99"-ის შესარჩევი ეტაპის მერვე ტურმა ის ოთხეული გამოავლინა, რომელიც საფრანგეთში, ფინალურ ეტაპზე ითამაშებს. კონტინენტის ჩემპიონ იუგოსლავიას და მასპინძელ საფრანგეთს ესპანეთი, ისრაელი, სლოვენია და რუსეთიც შეუერთდნენ.

თუ გავითვალისწინებთ, რომ თითოეული ჯგუფიდან პირველ-მეორე ადგილებზე გასულნი პირდაპირ საფრანგეთში ხვდებიან, შემდეგ კი C ჯგუფის ცხრილს ჩავხედავთ, მივხვდებით, რომ ესპანეთისა და ისრაელის დამწევის ალარავინაა. საკითხავია მხოლოდ ის, თუ რა თანმიმდევრობით დაიკავებენ ეს გუნდები ადგილებს. სავარაუდოა, რომ სიტუაცია აღარ შეიცვლება: ესპანეთი მასპინძლობს ისრაელს და ესტუმრება მაჩანჩალა დანიას. ესპანეთს პირველობისთვის ორი მარცხიც ეყოფა (თუნდაც ისრაელმა ორივე მოიგოს), თუკი ისრაელთან 6 ქულაზე ნაკლებით წააგებს.

ესპანეთი ერთადერთი გუნდია, რომელიც შესარჩევ ეტაპზე ჯერ არ დამარცხებულა. საფრანგეთის საგზური მან წინა ტურში გაინაღდა, ხოლო ისრაელმა ეს უფლება ახლა, დანიის ძლევით მოიპოვა. მოულოდნელად, დანიამ დიდი ბრძოლა გაუმართა ფავორიტს და ერთი ხანობა უგებდა კიდეც, მაგრამ საბოლოოდ ოდედ კატაშის გარეშე (ფეხი ტკივა) დარჩენილ ებრაელებს დორონ შეფერმა უშველა.

როგორც უნდა ითამაშოს სლოვენიამ, მეორე ადგილზე ქვემოთ მაინც არ ჩამოვა. საქმე ის გახლავთ, რომ ექსიუგოსლაველებს ორ-ორჯერ ჰყავთ დამარცხებული გერმანიაც და საბერძნეთიც. თანაბარქულიანობის შემთხვევაში კი პირველ რიგში ურთიერთშეხვედრების შედეგს ენიჭება მნიშვნელობა. სლოვენიელთა რომელიმე მეტოქესთან თანაბარქულიანობა ნაკლებ სავარაუდოა, რადგან დარჩენილ შეხვედრებში ბულგარეთს (შინ) და ბელგიას (სტუმრად) ეთამაშებიან. მეორე ადგილისთვის კი გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება 24 თებერვლის საბერძნეთ-გერმანიას. გერმანიას ორქულიანი წაგებაც ხელს აძლევს, რადგან პირველ წრეში 74:71 სძლია ელინებს. ამათ თანაბარქულიანობას რომ ვამბობთ, ვგულისხმობთ, რომ ბოლო, მეათე ტურში გერმანია აჯობებს სლოვაკეთს, ხოლო საბერძნეთი — ბელგიას.

რუსებსაც ეშველათ. ამათ ისე კარგად აქვს საქმე, რომ ბოლო ტურში უნგრელებთან, ფაქტობრივად, სათადარიგო გუნდი ჩაიყვანეს და მაინც ერთი ქულით დამარცხდნენ. მიუხედავად ამისა, რუსეთს პირველიდან თუ არა, მეორე ადგილიდან ვერავინ დაძრავს: კონკურენტ მაკედონიას ორივე თამაში მოუგო, ხოლო უნგრეთთან პირად შეხვედრებში ბურთების დადებითი სხვაობა აქვს. ეს მათემატიკა რუსებს ერთ ვარიანტში შეიძლება დასჭირდეთ — თუკი ორივე დარჩენილ შეხვედრას წააგებენ, ხოლო მაკედონია ან უნგრეთი ორივეს მოიგებენ. ეს ორი უკანასკნელი ორ-ორ გამარჯვებას ვერაფრით მოიპოვებს, რადგან მეათე ტურში, 27 თებერვალს ერთმანეთს მაკედონიაში ხვდებიან.

ყველაზე გაურკვეველი ვითარება ყველაზე ძლიერ, D ჯგუფშია. ლიტვას არვიდას საბონისი რომ არ დახმარებოდა, შესაძლოა, საფრანგეთისკენ რბოლას ჩამოშორებულიყო კიდეც. ბალტიელთა ბედად, საბონისს უყვარს ლიტვა და კალათბურთი და ეს გუნდიც ფინალში გასვლის რეალურ შანსს ინარჩუნებს. ამისთვის ერთი რამაა საჭირო — 24 თებერვალს ხორვატიის დამარცხება. თუ ასე მოხდა, ლიტველები ხორვატებს გაუსწრებენ (იმედია, ისლანდიასთან არ დამარცხდებიან). ბოსნიას კი იმავე ისლანდიის დამარცხებაღა უნდა და ესტონეთთან მატჩის შედეგის მიუხედავად „ევრობასკეტ-99"-ის ფინალში იქნება.

იტალიელთა ბოსნიელმა მწვრთნელმა ბოგდან ტანევიჩმა, რომ იტყვიან, თავად გამოუგონა საკუთარ თავს პრობლემები. ჯერ იყო და, ნაკრების ლიდერი კარლტონ მაიერსი გუნდიდან გააგდო — პატრიოტი არა ხარო. მერე წამყვან მოთამაშეთა ერთ წყებას პატარ-პატარა, უმნიშვნელო ტრავმების მორჩენის საშუალება მისცა და... ერთ კვირაში სამიდან ორი თამაში წააგო. ამით ჯგუფის ლიდერობა თურქებმა დაიბევეს, რომლებსაც საფრანგეთში მოსახვედრად ორივე თამაშის წაგებაც შეუძლიათ (ოღონდ, ჩეხეთთან შვიდი ქულით ნაკლები სხვაობით). მეორე ადგილის შანსი ჩეხებსაც გაუჩნდათ, მაგრამ ნაკლებსავარაუდოა, მათ თურქები და შვედები დაამარცხონ, ხოლო იტალია იმავე თურქეთთან და საქართველოსთან დამარცხდეს.

რაო, საქართველო?! არა, იტალია ან პირველზე გავა, ან — მეორეზე, რადგან აუცილებლად დაამარცხებს საქართველოს. ევროპა-აზიის გზაგასაყარზე ჩაკარგული ამ უბედური ქვეყნის საკალათბურთო ნაკრებს წაგება ხომ ყველაზე კარგად გამოსდის. ჰოდა, რაღა იტალიასთან უღალატებენ ტრადიციას.

ბოლოს იმასაც მოგახსენებთ, თუ როგორ შეაფასა ერთ-ერთმა ევროპულმა სააგენტომ თურქეთ-საქართველოს გუშინწინდელი მატჩი: „თურქებს ასე იოლად, ალბათ, არასოდეს გაუმარჯვიათ. რა უნდა თქვა მატჩზე, რომელიც 43-ქულიანი სხვაობით მთავრდება? რაღა საჭიროა კომენტარი?"

**კახა ხურციძე**

## A ჯგუფი

### ბულგარეთი 83:105 საბერძნეთი

ბულგარეთი: ბალევი (11), დ. დიმიტროვი (16), ხ. დიმიტროვი (3), მინჩევი (13), ნატოვი (10), პეტროვი (8), რავუცოვი (4), სტოიკოვი (18)

საბერძნეთი: ალვერტისი (25), ბუდურისი, ეკონომუ (16), კაკიუზისი (10), კორონიოსი (15), ლიადელისი (6), პაპანიკოლაუ (11), რენციასი (9), სიგალასი (9), ცაკალიდისი (4)

### სლოვენია 80:57 სლოვაკეთი

სლოვენია: ბეჩიროვიჩი (5), დანეუ (9), დუშჩაკი (2), იაგოდნიკი (6), იურკოვიჩი (2), კრალევიჩი (6), მაკრისი (ნესტეროვიჩი) (12), ტოვორნიკი (11), ტუშეკი (13), ზდოვცი (14)

სლოვაკეთი: ბოპუნიცკი (6), იაკაბოვიჩი (2), ლაკო, ლოვიკი (5), მ. მიხალიკი, ი. მიხალიკი (18), მიჩუდა (18), სნოპკო, სვიტეკი (8)

### გერმანია 79:70 ბელგია

გერმანია: არიგბაბუ (10), ბოგოევიჩი (8), ფემერლინგი (4), მუში (4), ნეესი (11), ნოვიცკი (18), ნიურნბერგერი (5), როდლი (6), ტერდენჯე, ტომიჩი (13)

ბელგია: კლეიმანსი (5), დე სევერი, დიუპონი (2), გუტალსი (15), ჰერმანი (9), ჟომინი (11), სტასი (14), სტრიულენსი (11), ვან დორპე, ვან ჰაელე (3)

## B ჯგუფი

### პოლონეთი 91:64 რუმინეთი

პოლონეთი: ბაჩიკი (11), ხლებოვიცკი (4), იანკოვსკი (30), სიდორი, სუსკი, შჩესნიაკი (6), ვიეკიერა, ვილანგოვსკი (6), ვოიჩიკი (18), ზიელინსკი (16)

რუმინეთი: დ. ალეკუ (7), აპოსტოლი (6), ბიკოვი (5), ბურლაჩუ (6), ფომეტესკუ (3), იპიადინუ, ლაპუსტე (22), მოკანუ (8), ტენტერი (2), ტოადერი (5)

### უნგრეთი 60:59 რუსეთი

უნგრეთი: ბოროში (3), ციგლერი (12), დავიდი (24), გულიაში (6), ჰალმი (9), კალმანი (2), მერესი, მესაროში, ოროსი, შიტკუ (4)

რუსეთი: დომანი, გუტოროვი (10), კურაშოვი (9), მიხაილოვი (11), მორგუნოვი (3), ნოსოვი (2), ზ. პაშუტინი (6), პეტრენკო (10), ვედიშევი (2), იუდინი (6)

### მაკედონია 75:63 პორტუგალია

მაკედონია: ბლაჟევსკი (8), ბოჩევსკი (11), გეჩევსკი (7), ილიევსკი (5), კნიაზევი, კურტოვიკი (3), მიხაილოვსკი (4), ნაუმოსკი (20), სტანკოვიკი (5), სტეფანოვი (12)

პორტუგალია: ანტუნეში (10), აზევედუ (3), ბენტუ (5), ბრიტუ (7), დე სოუზა (10), დიასი (4), მაჩადო (5), ოლივეირა (11), პაისი (8)

## C ჯგუფი

### უკრაინა 66:60 ინგლისი

უკრაინა: ბაზელევსკი (13), იაილო, ლოხმანჩუკი (10), მედვედენკო, მურზინი (15), ოკუნსკი (8), ვოლკოვი (13), ევსტრატენკო (7)

ინგლისი: ამაეჩი (15), ბეტსი, ბაკნელი (8), კარტერი (2), ჩუნგი (4), ჰანსელი (6), ჰერიმენი (13), ჰიუგინსი (12), ვილიამსი

### ბელარუსი 79:93 ესპანეთი

ბელარუსი: ბოიდაკოვი (14), შარკო (6), კორშუკი (2), კული (11), კუზმინი (7), კრივონოსი (16), ლაშკევიჩი, მისიუტჩენკო (4), პინტიკოვი (15), სვეტნიკი (4)

ესპანეთი: ფ. ანგულო (3), კორალესი (19), დე ლა ფუენტე (8), დე მიგელი (3), დუენიასი (7), ერეროსი (17), ლოპესი (1), პარაისო (9), რეიესი (17), რომერო (9)

### ისრაელი 67:63 დანია

ისრაელი: კოენი, გუდესი (5), პენფელდი (6), კაცი, მუხტარი (2), საფარი (6), შეფერი (19), შელეფი (16), შტეინჰაუერი (13), თორჯემანი

დანია: ანდერსენი (11), ბიერეგაარდი (2), ჰაუგე (8), ჰიორტი (5), იენსენი (7), იერიხოვი (2), ლარსენი (24), ჰ. პედერსენი, ტ. პედერსენი (4), სიორენსენი

## ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

2 დეკემბერი

EURO BASKET 99

| A ჯგუფი | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სლოვენია | ● | 75:71 | 79:66 | 27.02 | 72:61 | 80:57 | 7 | 1 | 648:556 | 15 |
| 2 | გერმანია | 76:91 | ● | 74:71 | 76:73 | 79:70 | 27.02 | 6 | 2 | 599:577 | 14 |
| 3 | საბერძნეთი | 76:79 | 24.02 | ● | 92:62 | 77:56 | 79:72 | 5 | 3 | 642:578 | 13 |
| 4 | ბულგარეთი | 79:71 | 61:83 | 83:105 | ● | 86:82 | 86:70 | 3 | 5 | 605:672 | 11 |
| 5 | ბელგია | 24.02 | 70:72 | 27.02 | 93:75 | ● | 75:68 | 2 | 6 | 583:617 | 10 |
| 6 | სლოვაკეთი | 70:101 | 66:68 | 73:76 | 24.02 | 88:76 | ● | 1 | 7 | 564:641 | 9 |

| B ჯგუფი | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | რუსეთი | ● | 87:78 | 116:73 | 24.02 | 108:60 | 115:45 | 7 | 1 | 752:556 | 15 |
| 2 | უნგრეთი | 60:59 | ● | 49:68 | 78:68 | 85:69 | 86:56 | 6 | 2 | 577:521 | 14 |
| 3 | მაკედონია | 89:94 | 27.02 | ● | 79:72 | 75:63 | 80:52 | 6 | 2 | 612:560 | 14 |
| 4 | პოლონეთი | 75:82 | 60:69 | 50:61 | ● | 27.02 | 91:64 | 3 | 5 | 583:584 | 11 |
| 5 | პორტუგალია | 76:91 | 24.02 | 64:87 | 81:86 | ● | 81:64 | 2 | 6 | 565:666 | 10 |
| 6 | რუმინეთი | 27.02 | 54:72 | 24.02 | 70:81 | 70:71 | ● | 0 | 8 | 475:677 | 8 |

| C ჯგუფი | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ესპანეთი | ● | 24.02 | 80:51 | 74:58 | 101:53 | 86:57 | 8 | 0 | 676:501 | 16 |
| 2 | ისრაელი | 61:67 | ● | 77:70 | 27.02 | 95:64 | 67:63 | 6 | 2 | 607:541 | 14 |
| 3 | უკრაინა | 66:83 | 62:65 | ● | 66:60 | 27.02 | 66:67 | 3 | 5 | 571:565 | 11 |
| 4 | ინგლისი | 76:92 | 68:82 | 61:88 | ● | 24.02 | 87:70 | 3 | 5 | 542:591 | 11 |
| 5 | ბელარუსი | 79:93 | 71:65 | 72:102 | 55:60 | ● | 66:60 | 3 | 5 | 529:634 | 11 |
| 6 | დანია | 27.02 | 76:95 | 24.02 | 64:72 | 58:69 | ● | 1 | 7 | 515:608 | 9 |

| D ჯგუფი | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბოსნია | ● | 57:87 | 74:67 | 68:60 | 27.02 | 109:84 | 7 | 1 | 621:594 | 15 |
| 2 | ლიტვა | 66:69 | ● | 24.02 | 80:61 | 87:77 | 96:71 | 6 | 2 | 659:524 | 14 |
| 3 | ხორვატია | 64:67 | 72:64 | ● | 27.02 | 88:63 | 111:77 | 6 | 2 | 645:562 | 14 |
| 4 | ჰოლანდია | 76:81 | 57:88 | 67:79 | ● | 24.02 | 77:65 | 3 | 5 | 584:634 | 11 |
| 5 | ესტონეთი | 90:96 | 60:91 | 76:82 | 90:99 | ● | 88:79 | 2 | 6 | 644:701 | 10 |
| 6 | ისლანდია | 24.02 | 27.02 | 74:82 | 83:87 | 79:100 | ● | 0 | 8 | 612:750 | 8 |

| E ჯგუფი | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | თურქეთი | ● | 64:72 | 27.02 | 65:48 | 78:65 | 103:60 | 7 | 1 | 634:523 | 15 |
| 2 | იტალია | 24.02 | ● | 84:60 | 92:81 | 96:84 | 90:43 | 6 | 2 | 650:541 | 14 |
| 3 | ჩეხეთი | 67:74 | 63:79 | ● | 24.02 | 77:69 | 81:74 | 5 | 3 | 588:601 | 13 |
| 4 | შვედეთი | 64:90 | 82:75 | 93:97 | ● | 87:82 | 89:85 | 4 | 4 | 626:645 | 12 |
| 5 | ლატვია | 74:84 | 64:62 | 60:73 | 27.02 | ● | 99:63 | 2 | 6 | 597:620 | 10 |
| 6 | საქართველო | 73:76 | 27.02 | 68:70 | 59:82 | 24.02 | ● | 0 | 8 | 525:690 | 8 |

## D ჯგუფი

### ბოსნია 68:60 ჰოლანდია

ბოსნია: ალიჰოჯიჩი (15), ბეკირი (7), ფირიჩი (13), ლერიჩი (3), მარკოვიჩი (25), მირკოვიჩი, მუეძინოვიჩი (5)

ჰოლანდია: ბენეში (10), დე ფუგდი (1), დე ფრისი (3), ჰაინენი, ჰიუიბენსი (11), კრიგერი (8), ნაჰარი (4), ვან დერ ბროკი (2), ვან დერ სლუისი (16), ვან რაინი (5)

### ესტონეთი 60:91 ლიტვა

ესტონეთი: კივინუკი (4), კრიისა (2), კულამი (2), კუუსმაა (6), ლიივაკი (5), მიუურსეპი (9), ნოორმეტსი (4), პარნი (9), პეპკა (11), რუმა (8)

ლიტვა: ადომაიტისი, ეინიკისი (4), გედრაიტისი (2), იასიკევიჩიუსი (6), მასიულისი (6), მასკოლიუნასი (3), საბონისი (18), შტომბერგასი (26), ე. ჟუკაუსკასი (4), მ. ჟუკაუსკასი (22)

### ხორვატია 111:77 ისლანდია

ხორვატია: ბაგარიჩი, გირიჩეკი (21), გრგატი (13), კრსტიჩი (19), მრშიჩი (26), რუჟიჩი (14), სტოიჩი (2), სუბოტიჩი (9), ვუიჩიჩი (3), ზადრავეცი (4)

ისლანდია: არნარსონი (16), ბრაგასონი (13), ე. ჰარდარსონი (21), ჰ. ჰარდარსონი (2), ჰაუკსონი (9), კრისტინსონი, ოლაფსონი, ორლიგსონი (15), რაგნარსონი (1), სტეფანსონი

## E ჯგუფი

### ლატვია 60:73 ჩეხეთი

ლატვია: ბაგატსკისი (2), ბერნატსი (9), ლაკსა (19), ლიეპა, რ. მიგლინიეკსი (3), შტელმახერსი (7), ვალეიკო (5), ვეკვაგარსი (6) ვიტოლსი (2), ზეიდაკსი (7)

ჩეხეთი: ბეჩკა (5), ჩუდეკი (4), ოკაჩი (13), სტანეკი (5), შტუხლი (6), ტრემლი (16), ვაჰალა (3), პ. ველში (4), ზიდეკი (17)

### შვედეთი 82:75 იტალია

შვედეთი: აულანდერი (7), ბერგსტრიომი, ბლომი (9), გერკე (19), ჰაკანსონი (10), ჰ. ლარსონი (11), ო. ლარსონი (12), სალსტრიომი (8), სტიუმერი (6)

იტალია: აბიო (13), ბასილე (11), კიაჩიგი (14), დე პოლი (7), დილგლაი, გალანდა (9), მარკონატო, მენეგინი (18), მიანი (3)

### თურქეთი 103:60 საქართველო

თურქეთი: ბეშოქი (12), დალი (8), ენე (3), ერდენაი (15), ქუთლუაი (17), ოქური (4), სარიჯა, თუნჩერი (9), თურქჯანი (19), თურქოღლუ (16)

საქართველო: ბოისა (4), ჩხეიძე (18), გაგნიძე, ჯაფარიძე (14), ჟღენტი (5), მაისურაძე (2), გ. ნაცვლიშვილი, ვ. ნაცვლიშვილი (6), ოთიურიძე (11)

ჭიდაობა



გოგა ჩანადირიშვილის ფოტო

ამ ცოტა ხნის წინ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ ლერი ხაბელოვი დაინიშნა. სხვა შემთხვევაში ამ ფაქტით ეგებ არც დავინტერესებულიყავით, მაგრამ როცა საქმე ახლო წარსულის ცნობილ ფალავანს, ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონს, ევროპის არაერთგზისა და მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონს ეხება, ეს მუდამ და ყველას ინტერესს იწვევს. ამიტომაც, ჩვენი აზრით, ლერი ხაბელოვთან შეხვედრა „სარბიელის“ მკითხველსაც უთუოდ დააინტერესებდა. თავდაპირველად ბატონი ლერის მოვალეობით დავინტერესდით და ჩვენი საუბარიც ამით დაიწყო

# ლერი ხაბელოვი: კარგი რაცაა, ჩვენც ვიცით, მაგრამ ფული?

— ჩემს ხელში გადმოვიდა სპორტის ყველა ის სახეობა, რომლებსაც ჩემი ყოფილი კოლეგა ვალერი ჩოლარია კურატორობდა. ამჟამად ჩემთანაა ოლიმპიურ სახეობათა 70 პროცენტი, მათ შორის ჭიდაობაც, საიდანაც ყველაზე მეტად ველით მედლებს სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე. ყურადღებას ძირითადად იმ სახეობებზე ვამახვილებთ, რომლებშიც წარმატების იმედი გვაქვს.

**— ხალიჩიდან წასვლის შემდეგ არ ჩანდით, ამიტომ თქვენი ამ თანამდებობაზე დანიშვნა ცოტა მოულოდნელიც იყო, თუმცა მანამდე „სარბიელისთვის“ არ დაგიმალავთ, რომ ქართულ სპორტში დაბრუნებას აპირებდით...**

— ეს მართლაც ვუთხარი „სარბიელს“. რაც შეეხება ჩემს დანიშვნას, მე ბავშვობიდანვე დავუკავშირდი სპორტს და არასოდეს განვდგომივარ მას, ხალიჩიდან წასვლის შემდეგაც კი. სპორტში და განსაკუთრებით ჭიდაობის ფედერაციაში ჩემი ახლობლები მუშაობენ. შემიძლია ვთქვა, რომ აქ „უკანა კარიდან“ არ მოვსულვარ. თანაც, ჩემი დანიშვნა ქვეყნის პრეზიდენტის ბრძანებით მოხდა.

**—. პრეზიდენტმა ქართველებსა და ოსებს შორის შუამავლის როლიც ხომ არ დაგაკისრათ?**

— დაიხ, ასეცაა! ეტყობა, ამასაც გულისხმობს ჩემი დანიშვნა.

**— ალბათ, დამეთანხმებით, რომ აუწყობელი მექანიზმი ჩაიბარეთ. მზად ხართ მის სამართავად?**

— გეთანხმებით, რომ ეს მართლაც აუწყობელი მექანიზმია. კარგად მოგეხსენებათ ქვეყანაში და კერძოდ სპორტში შექმნილი ვითარება. სპორტი, ფაქტობრივად, ინგრევა. იგი უფსკრულის პირასაა. თუ სასწრაფოდ არ ჩაერია მთავრობა და არ გადავარჩინეთ, აუცილებლად დაიღუპება. საამისოდ ყველა უნდა გაისარჯოს, ვისაც ეს ევალება. ზოგიერთ დიდ ქვეყანაში სპორტის რომელიმე პოპულარული და ალიარებული სახეობა საერთოდ არაა განვითარებული, მაგრამ არსებულს უვლიან. ჰოდა, ჩვენც მოვუაროთ.

**— მაგრამ იმ ქვეყნებში სახელმწიფო პოლიტიკა მუშაობს სპორტის სასარგებლოდ, ჩვენთან კი...**

— ქვეყნის პრეზიდენტი ცდილობს სპორტის გადარჩენას, მაგრამ სახსრები არაა. ფაქტობრივად, ომის შემდგომი პერიოდია. ქვეყანამ ომები გადაიტანა, დაინგრა და ხელახლა ასაშენებელია. ასეთ პირობებში ძნელია ლაპარაკი კარგ ცხოვრებაზე. მით უფრო, სპორტში.

**— ეგ ყველაფერი მართალია, მაგრამ სპორტის ნაკლებად დაბეგვრა ხომ შეიძლება.**

— ეს მართლაც იოლად მოსაგვარებელია, თუმც დღემდე რატომღაც არ მოხერხდა. სპორტი უნდა გათავისუფლდეს, ნაწილობრივ მაინც, გადასახადებისგან. საერთოდ, ამ მხრივ მთლიანად ქვეყანაში უნდა შეიცვალოს მდგომარეობა. ცოტა ხნის წინ ძიუდოისტებისთვის გვჩუქს ტატამი და მისი შემოტანისას იმდენ პრობლემას წავაწყდით, იმდენად ძვირი ჯდებოდა მისი შემოტანა, რომ ჰუმანიტარულ ტვირთად გავაფორმეთ და ისე მივიღეთ. არადა, ტატამის დანიშნულება ერთადერთი — საჭიდაოა. მას სხვაგან ვერ გამოიყენებ. საგადასახადო შეღავათები სპორტზე მართლაც უნდა ვრცელდებოდეს. ეს ძალიან შეგვეშველებოდა.

**— როგორც ახალი მოადგილე, აპირებთ თუ არა რაიმე სიახლის შეტანას დეპარტამენტის მუშაობაში და პრიორიტეტს რას მიანიჭებდით?**

— ჩვენ სახელმწიფო ბიუჯეტზე ვართ დამოკიდებული. წლეულს 4 მილიონ 200 ათასი ლარით დაგვაფინანსეს. ლაპარაკია, რომ საგაისოდაც ამდენსავე თანხას გამოგვიყოფენ. არ ვიცი, გაგვეზრდება თუ არა დაფინანსება, მაგრამ ეს თუ არ მოხერხდა, მაშინ, ლარის ინფლაციიდან გამომდინარე, სპორტსმენთა მზადების პროგრამები განახევრდება. მათი უცხოეთში გამგზავრებისთვის ხომ ვალუტაა საჭირო... უბედურება ისიცაა, რომ წლევანდელი თანხა სრულად არც მიგვიღია.

**— როგორ გგონიათ, გაგეზრდებათ დაფინანსება?**

— ამაზე კი საუბრობენ, მაგრამ ყველაფერი ახალ ფინანსთა მინისტრზეა დამოკიდებული. ერთიც მინდა ვთქვა — საქართველოში ბევრი სპორტის სახეობაა დანერგილი, პატარა ქვეყნისთვის იქნებ საჭიროზე მეტიც. ჩვენ ტრადიციულ, ძლიერ, პერსპექტიულ სახეობებზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება. პირველ რიგში ჭიდაობაზე.

**— დიფერენცირების პრინციპი ჩვენს პირობებში ეგებ გამართლებულიცაა, მაგრამ ზოგჯერ ნაკლებპოპულარული სახეობებიც „გაისვრიან“ ხოლმე. ასე ხომ არ ხდება, რომ ამ უკანასკნელებზე ყურადღების მოდუნებით მათ ხელოვნურად ვაკნინებთ?**

— ძალიან კარგია ყველა სახეობის განვითარება, მაგრამ ფინანსურად არაა ამის შესაძლებლობა. ისე კი ზოგიერთ სახეობაში მართლაც თითო-ოროლა, მაგრამ ძლიერი სპორტსმენი დაგვრჩა. სამაგალითოდ ბატუტისტ რუსიკო ხოფერიას დავასახელებ, რომლისგანაც ოლიმპიურ თამაშებზე მედალს ველით. ასეთი საიმედო სპორტსმენები შემოგვრჩნენ მძლეოსნობაში, კრივში... ახლა ოლიმპიადისწინა პერიოდია და ჩვენი ყურადღებაც აქეთაა მიმართული. მომავალი წელი უმნიშვნელოვანესია, რადგან სპორტსმენებმა ოლიმპიური ლიცენზიები უნდა მოიპოვონ და საფუძველი ჩაუყარონ ოლიმპიურ წარმატებებს. ის ერთეულები კი შეიძლება ინდივიდუალურად დაფინანსდნენ.

**— ბატონო ლერი, ახლა იქნებ თქვენი სპორტიდან წასვლის შემდგომ პერიოდზე ვისაუბროთ... როცა არ ჩანდით, იმ პერიოდში რას საქმიანობდით?**

— მაშინ ბიზნესში ვიყავი.

**— საქართველოში თუ მის გარეთ?**

— საქართველოსთან უშუალო კავშირში. კონტაქტები აქაურობასთან არასოდეს გამიწყვეტია.

**— საბოლოოდ წამოხვედით ბიზნესიდან თუ ცალი ფეხით იქ დარჩით?**

— ბიზნესზე მხოლოდ კონტროლის უფლება დავიტოვე. იქ დარჩა ხალხი, ვინც ამას ჩემზე უკეთ გააკეთებს.

**— თქვენთვის რომელია უმთავრესი — ბიზნესმენობა თუ სახელმწიფო მოხელეობა?**

— რა თქმა უნდა, სახელმწიფო მოხელეობა.

**— ბიზნესში თქვენი თუნდაც მეთვალყურედ დარჩენით მინდობილი საქმე ხომ არ დაზარალდება?**

— შემიძლია გადაჭრით გითხრათ, რომ მას არაფერი დააკლდება.

**— ქართულ სპორტს უფულობის გარდა მიგრაციაც ანგრევს, იგიც ხომ ეკონომიკური სიდუხჭირის ბრალია...**

— ოლიმპიურმა კომიტეტმა ჩვენ ყველა ცნობილ მოქმედ სპორტსმენს გაუფორმა ხელშეკრულება და ოლიმპიადამდე მათ არ დავკარგავთ. სამომავლოდ ეს გაკეთდა, წარსულს კი უკან ვერ დავაბრუნებთ.

**— მაგრამ ეს ხელშეკრულება უეჭველად ეფექტური უნდა იყოს. როცა ევროპის ჩემპიონი თუ პრიზიორი თვეობით დაგვიანებულ ხელფას-პრემიებს ეხვეწება სპორტის დეპარტამენტს, ეს მართლაც ყოველგვარ საზღვარს სცილდება. არ შეიძლება, სპორტსმენმა საკუთარი თავისა და ოჯახის რჩენა ვერ შეძლოს. სპორტის ხელმძღვანელობა თუ კისრულობს პასუხისმგებლობას სპორტსმენების ფინანსურ უზრუნველყოფაზე.**

— ოლიმპიური კომიტეტი იღებს ასეთ ვალდებულებას მათ წინაშე და ისინი კუთვნილს მიიღებენ. თავად სპორტსმენი ვიყავი და მშვენივრად მესმის მათი. დეპარტამენტი თავისი შესაძლებლობების ფარგლებში უხდის მათ გასამრჯელოს. ჩვენ ფინანსურად, როგორც მოგახსენეთ, ფინანსთა სამინისტროზე ვართ დამოკიდებული. ისინი ჩვენ გვპირდებიან, ჩვენ — სპორტსმენებს, მერე ამ თანხებს ვერ გვაძლევენ და სპორტსმენებთან პირშერცხვენილები გამოვდივართ.

**— ასე რომ არ მოხდეს, დეპარტამენტმა თავად უნდა ეძებოს დაფინანსების გზები.**

— სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ, ბატონმა კახი ასათიანმა უკვე დააყენა საკითხი ზემდგომ ინსტანციებში ლატარია „ტოტო-ლოტოს“ შესახებ. ფინანსთა სამინისტროში 100-მდე ლიცენზირებული ლატარიაა. მათგან გარკვეული პროცენტი სპორტისკენ კი მოდის, მაგრამ ეს ძალიან ცოტაა, გვინდა, „ტოტო-ლოტოზე“ მონოპოლია მოვიპოვოთ და მისი შემოსავლები ქართულ სპორტს მოხმარდეს. აქ იმხელა თანხებზეა საუბარი, რომ მთლიანად ეყოფა სპორტის დაფინანსებს. ლატარიის შემოსავლებით იტალიაში სპორტი თითქმის მთლიანად ფინანსდება. თუ ამისი უფლება მოგვცეს, ძალიან კარგი იქნება.

**— თუ დაფინანსება არ გამოსწორდა, მაშინ სიდნეიში წარმატების იმედი არც უნდა გვქონდეს?**

— როგორც ზემოთ გითხარით, ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ იმ სახეობებზე, რომლებშიც წარმატების მეტი შანსი გვაქვს. ისიც მართალია, რომ თუ დაფინანსება არ იქნება, მაშინ სიდნეიში იმასაც არ უნდა ველოდოთ, რასაც ატლანტაში მივაღწიეთ.

**ირაკლი თავაძე**


იყიდება ესპანური კედლის და იატაკის მოსაპირკეთებელი ფილები (მეტლახი, კაფელი) იაფად, შინ მიტანით.

მისამართი: ელიავას ბაზრობა, სანტექნიკის რიგი, ჯიხური № 179.

დილის 10-დან საღამოს 5 საათამდე.


ბატუტზე ხტომა

# უფულო იმედი

რუსუდან ხოფერია მსოფლიოს თასის მესამე და მეოთხე ეტაპებზე — დანიასა და საფრანგეთში უფულობის გამო შეიძლება ვერ გაემგზავროსო, გვითხრეს საქართველოს ტანვარჯიშის ფედერაციაში. არადა, ხოფერიამ პირველი ეტაპი ადრეულ გაზაფხულზე უკვე გააცდინა, რადგან მანამდე, ზამთარში ვარჯიშის საშუალება არ ჰქონდა. მეორე ეტაპზე რუსიკომ მეხუთე ადგილი დაიკავა და მსოფლიოს თასზე არცთუ უშანსოდაა, ოღონდ ამ ორშიც აუცილებლად უნდა იასპარეზოს, რაკიდა საბოლოო შედეგებს სამი ეტაპის მიხედვით აჯამებენ.

ხოფერია, თბილისში მოსამზადებელი პირობების უქონლობის გამო, ბოლო ხანს დიდი ტურნირებისთვის გერმანიაში ემზადება. ამჯერადაც ასე უნდა მოქცეულიყო, მაგრამ საქართველოს სპორტის დეპარტამენტმა ვერ დააფინანსა. იმედები ჯერ ბოლომდე არ გადაწურულა, შანსები ორმოცდაათი-ორმოცდაათზეაო — ეიმედებათ ფედერაციაში.

არ ვიცით, საბოლოოდ რა მოხდება, მაგრამ ხოფერიასთვის ალბათ ნამდვილად ღირს თავის შეწუხება. იგი ხომ სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე ჩვენი ერთ-ერთი იმედია.

**ირაკლი თავაძე**

კრივი

# ევანდერი კბილებს ილესავს

მომავალი წლის 13 მარტს მძიმე წონის სამი ქამარი უნდა გათამაშდეს და ერთიანი ჩემპიონის ვინაობაც უნდა გაირკვეს. ამ ბრძოლის მონაწილენი ევანდერ ჰოლიფილდი და ლენოქს ლუისი იანვრიდან მზადებას დაიწყებენ. მანამდე კი ენის ვარჯიშობით და ერთმანეთის შეფასებით ერთობიან.

განსაკუთრებით აქტიურობს ჰოლიფილდი, რომელიც მედიას არწმუნებს, ლუისთან ბრძოლა ჩემთვის იოლი განავარდება უნდა იყოს, ვინაიდან მარად მზად მყოფი და გაუტეხელი დიდოსტატი ვარო.

ჰოლიფილდს მთავარი ჯილდოების ორი მესამედი უპყრია — ასოციაციისა (ვბა) და ფედერაციის (იბფ) ქამრები. ის 36 წლისაა და სამი-ოთხი წლის წინათ დიდი კრივისათვის ჩამოწერილ კაცად მიიჩნევდნენ.

თავის მხრივ, ლუისი საბჭოს (ვბა) ქამრის მფლობელია. გარეგნული იერით ის ჰოლიფილდზე ჯანიანიც ჩანს და 7,5 სანტიმეტრით მაღალი და 14 კილოგრამით მძიმეცაა. თან ლუისი სამი წლით უმცროსია. სადღეისოდ აშკარაა, რომ ლუისი უკეთესი დამრტყმელია, ვიდრე ჰოლიფილდი.

ჯერჯერობით ის არაფერს ამბობს მომავალ ბრძოლაზე, მხოლოდ საკუთარ მზადყოფნას აღნიშნავს ჩვეული ენაწყლიანობით: „როგორ ვემზადები? როგორც ნამცხვარი, რომელსაც ცეცხლს შეუნთებენ. ბრძოლისთვის ზუსტად რომ გამომცხვარი ვიქნები“.

მისი აზრით, ჰოლიფილდის წინააღმდეგ შემუშავებული ტაქტიკა სწორი უნდა იყოს. თუმცა, ამერიკელებს ლუისის ძალისა და გამარჯვების არ სჯერათ. იამაიკელი დედის მიერ ინგლისში შობილმა ლუისმა 1988 წელს კანადის სახელით მოიპოვა ოლიმპიური ოქრო. მისთვის მთელი მსოფლიო სამშობლოა და ამერიკელთა ურწმუნოებისა უკვირს: „ამ ბრძოლით უნდა დავამტკიცო, რომ ტყუილად მაკრიტიკებენ“.

ჰოლიფილდს კი არად უჩანს ლუისის წონა და სიმაღლე.

„წონას რა მნიშვნელობა აქვს?“ — უკვირს მას — „განა ბიზნესმენის წარმატებაზე მისი სიმსუქნით მსჯელობენ? მოკლედ ასეა: ლენოქს ლუისი ის ბიჭია, ჩემი წაქცევა რომ უნდა. მაგრამ მას ჯერ არ შეხვედრია ისეთი კაცი, კუთხეში რომ მიიმწყვდევდა. როცა მომინდება, მაშინ მოვარტყამ. ვნახოთ ერთი, რამდენს გაუძლებს“.

საკრივო მედია კი ჰოლიფილდისა და ლუისის უკანასკნელ ბრძოლებს იხსენებს. ჰოლიფილდი უშნოდ დაბაჯბაჯებდა ვონ ბინთან ჩხუბისას, ლუისს კი თითქოს ეძინა ხორვატ ჟელკო მაკროვიჩთან შეხვედრისას. ჩემპიონებმა ორივე შემთხვევაში იმარჯვეს, მაგრამ მოსაწონად არ უკრივიათ.

„კრივზე მწერალთა შეცდომა ისაა, რომ ისინი ბოლო ბრძოლით მსჯელობენ ჩემზე“, — განმარტა ჰოლიფილდმა და ყველას 13 მარტამდე მოთმენა ურჩია.

დიდი ბრძოლა კი მისი მომწყობის დონ კინგის სურვილით მსოფლიოს ქალებს ეძღვნება, პირველ რიგში კი დონის აზრით ამერიკის მომავალ პრეზიდენტს ჰილარი როდჰამ კლინტონს.

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**




REUTERS-ის ფოტო

ჰოლიფილდს ლუისი უკვე ნაცემი ჰგონია

ფეხბურთი

# ფეხბურთი სამხრეთისკენ წავიდა

მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატები ფეხბურთში სამხრეთ ამერიკაში გაიმართება. 2002 წლის ქალთა შეჯიბრებას ბრაზილია უმასპინძლებს, კაცთა პირველობას კი — არგენტინა.

არგენტინაში 1982 წელს ჩატარდა მსოფლიოს ჩემპიონატი. ამჯერად კი ამ ქვეყანამ იტალიელები და პორტუგალიელები დაჯაბნა მასპინძლობისათვის ჭიდილში. ბრაზილიელებმა, თავის მხრივ, იგივ იტალიელებს და გერმანელებს გადაუსწრეს.

მსოფლიო ფეხბურთის თავკაცმა რუბენ აკოსტამ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ სამხრეთ ამერიკაში ფეხბურთი სულ სხვაგვარად უყვართ და გადაწყვეტილებაც ამან განაპირობა. დიდი ფეხბურთი ლამობს ფულითა და გაქანებით პლაჟის ფეხბურთს გაუტოლდეს და ამიტომაც მიიწევს მის გულისგულში, სამხრეთ ამერიკაში.

ახლახანს, იაპონიაში დასრულებულ მსოფლიოს ჩემპიონატს მაყურებელთა სარეკორდო რაოდენობა დაესწრო, მაგრამ აკოსტამ თქვა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატებზე ალარასოდეს გაიმართება დღეში ოთხი თამაში, არამედ მხოლოდ ორი, რაც კიდევ უფრო გაზრდის მაყურებელთა რიცხვს.

# იტალია — შვედეთი
## უფულოები ჩემპიონების წინააღმდეგ

DAVIS CUP by NEC



ანდრეა გაუდენცი

# იტალია

### გზა ფინალამდე:

მერვედფინალი — დაამარცხა ინდოეთი 4:1 (გენუა)
მეოთხედფინალი — ზიმბაბვე 5:0 (პრატო)
ნახევარფინალი — აშშ 4:1 (მილუოკი)

### შემადგენლობა

*ანდრეა გაუდენცი*
25 წლის, 183 სმ, 80 კგ
კლასიფიკაცია — 44-ე მემარჯვენე

იტალიელთა პირველმა ჩოგანმა ფინალებში ექვსი მარცხის შემდეგ, წლეულს, როგორც იქნა, კარიერის პირველი ტიტული მიითვალა, მაგრამ ოქტომბრის დასაწყისში მხარზე ოპერაცია გაუკეთეს და მას შემდეგ ერთი მატჩიც არ ჩაუტარებია. თიხნარი მისი საყვარელი საფარია და ქვეყნის სახელით ასპარეზობისას გაათკეცებული მონდომებითაც ირჯება. დევისის თასზე 16 მოგება და 8 მარცხი ერიცხება.

*დიეგო ნარგიზო*
28 წლის, 188 სმ, 82 კგ
კლასიფიკაცია — 128-ე, ცაცია

მასპინძელთა საუკეთესო წყვილების მოთამაშე გაუდენცისთან ერთად შეხმატკბილებულ დუეტს ქმნის — წლეულს დევისის თასზე მათ ერთხელაც არ წაუგიათ. ნეაპოლელი დიეგო ბადესთან საუცხოოდ ირჯება, მაგრამ საკმაოდ მძლავრი მოწოდება გადამწყვეტ მომენტებში იარაღის ნაცვლად მთავარ სისუსტედ ექცევა-ხოლმე.

*დავიდე სანგვინეტი*
26 წლის, 188 სმ, 79 კგ
კლასიფიკაცია — 48-ე, მემარჯვენე

აშშ-ში გაზრდილი სანგვინეტი პროფესიონალურ სარბიელზე ძალიან გვიან, 22 წლის ასაკში გადაბარგდა და ბევრისთვის ახლაც უცნობი დარჩებოდა, წლევანდელ უიმბლდონზე მეოთხედფინალში რომ არ გაელწია. საუკეთესო შედეგებს სწრაფ საფარზე აღწევს, მაგრამ რატომღაც მაინც თიხნარის ოსტატად ითვლება. დევისის თასზე დებიუტი წელს ჰქონდა და მილუოკიში უმნიშვნელოვანეს მატჩში ტოდ მარტინი დაამარცხა.

*ჯანლუკა პოცი*
33 წლის, 180 სმ, 80 კგ
კლასიფიკაცია — 62-ე, ცაცია

საოცარია, მაგრამ იტალიელი ვეტერანი დევისის თასზე პირველად მხოლოდ აშშ-თან ნახევარფინალურ შეხვედრაში მიიწვიეს. წლეულს ბევრი ბობოლა გაამწარა (მათ შორის მარსელო რიოსიც), მაგრამ ერთეულებში, ალბათ, მაინც არ ათამაშებენ.

### სამოქალაქო ომი

ის, რომ იტალიელები წლეულს ფინალში ასპარეზობენ, პატარა სასწაულს არაფრით ჩამოუვარდება. შარშან ამ დროს მათ ბანაკში ნამდვილი ქაოსი სუფევდა: ნახევარფინალში შვედებთან შეხვედრის წინ გუნდის კაპიტანი ადრიანო პანატა გადადგა, ფედერაციის პრეზიდენტ პაოლო გალვანისთან მუშაობა აღარ შემიძლიაო. პანატას ჩოგბურთელებმაც დაუჭირეს მხარი და მომავალი მატჩის ბოიკოტით დაიმუქრნენ.

დავამ თანდათან პრესასა და ტელევიზიაში გადაინაცვლა, სულ უფრო მძაფრი ხასიათი მიიღო და ბოლოს და ბოლოს 20 წლის მანძილზე იტალიური ჩოგბურთის უცვლელ თავკაც გალვანისაც გადადგომა მოუხდა. სკანდინავიიდან ნაკრები დამარცხებული და გათიშული დაბრუნდა და აპენინელებსაც ძირეული ცვლილებების დრო დაუდგათ.

იტალიელთა ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ჩოგბურთელი პანატა ფედერაციაში დააბრუნეს, მისი ყოფილი მეწყვილე პაოლო ბერტოლუჩი გუნდის კაპიტნად დანიშნეს, ფედერაციის პრეზიდენტი კი ფრანჩესკო რიტი ბიტი გახდა. და აი, დევისის თასის ფინალში ბოლო ასპარეზობიდან 18 წლის შემდეგ იტალია ისევ გუნდური ჩოგბურთის უდიდესი ჯილდოს მოპოვების პირას აღმოჩნდა.

### ახალი პრობლემები

მაგრამ არ გეგონოთ, რომ იტალიის დევისის თასის გუნდს ამჟამად ტკბილი დროება უდგას. პირიქით, ფინალამდე რამდენიმე დღით ადრე ჩოგბურთელებსა და ფედერაციას შორის კიდევ უფრო დიდმა უფსკრულმა დაალო პირი.

მიზეზი, რაღა თქმა უნდა, ფულია, უფრო სწორად, მისი ნაკლებობა: ფედერაციამ ფინალში გამარჯვებისთვის ჩვენი მასშტაბებითაც კი არცთუ შთამბეჭდავი თანხა — 200 მილიონი ლირა (115 ათასი დოლარი) გამოყო, რომელიც გუნდის ოთხ წევრზე გაყოფის შემდეგ ჯილდოს ნაცვლად შეურაცხყოფას დაემსგავსება.

ამის შემდეგ რაღა გასაკვირია, თუ მილიონიან საპრიზოებზე დაჩვეული პროფესიონალები გაწბილებულნი დარჩნენ. მათ ადვოკატიც კი დაიქირავეს და ფედერაციის პრეზიდენტთან მოლაპარაკება სცადეს. რიკი ბიტიმ უსიამოვნო საუბარი საზღვარგარეთ გამგზავრებით აიცილა თავიდან და ისღა შემოთვალა, ფედერაციამ ასე გადაწყვიტა და თუ ჩოგბურთელებს თანხა ხელს არ აძლევთ, ეგ ჩემი პრობლემა არ არისო.

„ეს თანხა უბრალოდ სასაცილოა, ამაზე უარესი კი ის არის, თუ როგორ გვეპყრობიან. 200 მილიონ ლირაზე უარს ვაცხადებთ, მაგრამ რაკი პროფესიონალები ვართ და აქამდე მოსასვლელად ოფლი ბლომად გვიღვრია, ფინალში მაინც ვითამაშებთ — განაცხადა საუკეთესო იტალიელმა ჩოგბურთელმა, ანდრეა გაუდენციმ — ფედერაცია არ იმსახურებს ამ ფინალს, რადგან არც ჩვენთვის სათამაშოდ შეუწყვია ხელი და არც პირობების გაუმჯობესებაზე უზრუნია".

ერთადერთი რამ, რაზეც ამ გაწამაწიას არ უმოქმედია, იტალიელ ქომაგთა ენთუზიაზმიამილანური „ფორუმ დი ასაგო", სადაც საგანგებოდ ამ შეხვედრისთვის თიხნარის საფარი დააგეს, 11 ათას ადგილიანია, ორგანიზატორებს კი ასპარეზობის თითოეული დღისთვის 30 ათას შეკვეთაზე მეტი აქვთ მიღებული. ჩოგბურთელების წამხადრ ხასიათს კი ტემპერამენტულ იტალიელ გულშემატკივრობაზე უკეთ რა გამოასწორებს.

მასპინძლებსაც, შექმნილი სიტუაციის მიუხედავად, გამარჯვების იმედი არ დაუკარგავთ. „წყვილების შეხვედრაში არაფერი გვეშველება, მაგრამ გაუდენცის ორი და სანგვინეტის ერთი ქულით 3:2-ს მოვიგებთ" — მიაჩნია დარიო ტორომეოს „კარიერე დელო სპორტიდან". „შვედები თიხნარზე თამაშის ოსტატები არ არიან და თუ ამ უპირატესობას გამოვიყენებთ, აუცილებლად მოვიგებთ" — ეს „ლა რეპუბლიკელი" პაოლო როსის აზრია. თავად გუნდის კაპიტანი პაოლო ბერტოლუჩიც არ არის უიმედოდ: „თუ ობიექტურად ვიმსჯელებთ, შანსები 55:45-თანაა შვედების სასარგებლოდ, მაგრამ ეს დევისის თასის ფინალია და ჩემი ჩოგბურთელებისგან დიდ თავდადებას და პატარა სენსაციას ველი".

# შვედეთი

### გზა ფინალამდე

მერვედფინალი — დაამარცხა სლოვაკეთი 3:2 (ბრატისლავა)
მეოთხედფინალი — გერმანია 3:2 (ჰამბურგი)
ნახევარფინალი — ესპანეთი 4:1 (სტოკჰოლმი)

### შემადგენლობა

*მაგნუს გუსტაფსონი*
31 წლის, 186 სმ, 78 კგ
კლასიფიკაცია — 28-ე მემარჯვენე

ჩოგბურთისთვის უკვე გვარიანად მობერებული გუსტაფსონი თიხნარზე შვედების საუკეთესო მოთამაშეა და მსგავს საფარზე კაპიტანი კარლ-აქსელ ჰაგესკოგის უცვლელ პირველ არჩევანსაც წარმოადგენს: „გუსტენი (მაგნუსის მეტსახელია) ძველი „ვოლვოსავითაა" — დილის სუსხზე იქნებ ძნელად ამუშავდეს, თორემ როცა დაიქოქება, ბევრ „მერსედესსაც" გაუსწრებს".

*მაგნუს ნორმანი*
22 წლის, 188 სმ, 75 კგ
კლასიფიკაცია — 56-ე, მემარჯვენე

ნორმანმა სახელი შარშანდელ როლან გაროსზე დაიგდო, სადაც მეოთხედფინალამდე პიტ სამპრასსა და გრეგ რუზეცკის აჯობა. მეტად ნიჭიერ ჩოგბურთელს ერთი დიდი პრობლემა აწუხებს — გულის არითმია და ამის გამო გასული სეზონის ბოლოს ოპერაციის გაკეთებაც მოუხდა.

*იონას ბიორკმანი*
26 წლის, 184 სმ, 76 კგ
კლასიფიკაცია — 24-ე, მემარჯვენე

ბიორკმანი სეზონის დასაწყისში მსოფლიოს მეოთხე ჩოგანი გახლდათ, მაგრამ ტრავმებისა და ფორმის დაკარგვის გამო კლასიფიკაციაში მნიშვნელოვნად დაქვეითდა. თიხნარზე თამაში არ ეხერხება, ამიტომ, ალბათ, მხოლოდ წყვილებში დააყენებენ.

*ნიკლას კულტი*
27 წლის, 190 სმ, 78 კგ
კლასიფიკაცია — 176-ე, მემარჯვენე

გაუდენცის არ იყოს, თავის დროზე კულტიც მსოფლიოს უძლიერესი იუნიორი იყო, მაგრამ პროფესიონალურ სარბიელზე თვით იტალიელ კოლეგაზე ნაკლებადაც კი გამოიჩინა თავი. ბიორკმანთან ერთად შესანიშნავ წყვილს ქმნის, რომლის ხარჯზეც შვედებს ერთი ქულა თითქმის ყოველთვის გარანტირებული აქვთ.

### შვედური მოდელი

ბოლო ორ ათწლეულში, შვედეთი დევისის თასის უცვლელი ფავორიტია. 1981 წელს უმაღლესი ლიგის შემოღების შემდეგ სკანდინაველები 11-ჯერ ფინალში ასპარეზობდნენ, აქედან ხუთჯერ კი მთავარი ჯილდოც მოიპოვეს. ამ მაჩვენებლებით მათ თვით ამერიკელებიც ვერ შეედრებიან.

„ჩვენი წარმატების საწინდარი სიჯიუტე, გამძლეობა, გუნდური სულისკვეთება და გამარჯვებისკენ სწრაფვა — შვედური მენტალიტეტია — მიაჩნია გუნდის კაპიტან კარლ აქსელ ჰაგესკოგს — და კიდევ ის, რომ ორხელა ბექჰენდითაც კი ყოველთვის აგრესიულად ვთამაშობთ." ყველაფერი ეს და თავისი გუნდის უდიდესი გამოცდილება მიაჩნია ჰაგესკოგს იმ ფაქტორებად, რამაც იტალიელებთან შეხვედრაში მატჩის ბედი ჩრდილოელებისკენ უნდა გადახაროს და თასიც კიდევ ერთი წლით სტოკჰოლმში დატოვოს.

არადა, იტალიელების მსგავსად, პრობლემები არც შვედებს აკლიათ: — იონას ბიორკმანი იმ ჩოგბურთელის აჩრდილსღა ჰგავს, შარშან თავისიანებს ამერიკელებზე 5:0-ით გამარჯვებისკენ რომ გაუძღვა, ქვეყნის პირველ-მეორე ჩოგნებს — ტომას იოჰანსონსა და ტომას ენკვისტს ტრავმები აწუხებთ, ისევე, როგორც დევისის თასის ვეტერან მაგნუს ლარსონს. შედეგად, 1975 წლიდან პირველად, სეზონის ბოლოს საუკეთესოთა ათეულს არც ერთი შვედი აღარ შერჩენია.

### ბორგის მემკვიდრეები

თავიანთ მიღწევებს სკანდინაველები ლეგენდარულ ბიორნ ბორგს უმადლიან, რომელმაც თანამემამულეებს 1975 წელს პირველი ჩემპიონის ტიტული მოუტანა, ის ერთი და სხვა მრავალი: „მან გვიჩვენა, რომ მოგება პატარა ქვეყანასაც შეუძლია და ჩვენც მხოლოდ მუშაობის გაგრძელება გვმართებდა" — მიაჩნია ჰაგესკოგს.

ბორგის გაკვალული გზა მალე სხვა დიდმა ჩოგბურთელებმა — მატს ვილანდერმა, ანდერს იარიდმა და სტეფან ედბურგმა გაიარეს, საუკეთესოთა ათეულში ბარე ოცამდე მათი თანამემამულეც აღზევდა და დევისის თასის გუნდსაც რაღა გაუჭირდებოდა.

ჰაგესკოგის აზრით, ის ფაქტიც კი, რომ შვედეთი პატარა ქვეყანაა, ჩოგბურთისთვის უკეთესი გამოდგა — ტალანტების ძებნა ხომ ასე გაცილებით იოლია, მოთამაშეები კი ერთმანეთს უკეთ იცნობენ და შესანიშნავი ურთიერთობაც აქვთ: „იმისთვის, რომ კარგად ითამაშო, ჩოგბურთი სიამოვნებას უნდა განიჭებდეს. ამის მისაღწევად ჩვენ ჩოგბურთელებს შესანიშნავ პირობებს ვუქმნით, გუნდური სულის ჩამოსაყალიბებლად კი ძირითადად ერთად ვავარჯიშებთ. ამიტომ, როდესაც შეხვედრის დრო დგება, ისინი 110 პროცენტით იხარჯებიან."

**ავთანდილ სვანიძე**



# მარადიული არაფერია

2 დეკემბერი

**ედმონტონი — ფინიქსი 4:3**

1:0 1:2 2:1

1:0 მაკამონდი 18'12 (1); 1:1 სტეპლტონი 27'51 (2); 2:1 ფალუნი 28'40 (6); 2:2 დრეიკი 28'58 (4); 2:3 ტკაჩუკი 41'17 (13); 3:3 ბუკბერგერი 49'54 (3); 4:3 მიურეი 51'29 (7)

ამქვეყნად მუდმივი არაფერია და ჩემპიონატის მოულოდნელი ლიდერის, ფინიქსის მიერ დამყარებული ყველა საკლუბო რეკორდიც (14 წაუგებელი მატჩი ზედიზედ 17-ჯერ ორი შაიბაზე მეტი არ გაუშვიათ) 2 დეკემბერს ისტორიას ჩაბარდა. დარჩა მხოლოდ „კოიოტების" ჭეშმარიტად ოსტატური თამაში. არ გეგონოთ, ვაზვიადებდეთ. ეს სწორედ ის იშვიათი შემთხვევა იყო, როცა წაგებული უფრო იმსახურებს გამარჯვებას. საქმე სულაც არ არის ის, რომ სტუმრებმა 48-ჯერ დაარტყეს, მასპინძლებმა კი მხოლოდ 22-ჯერ. მთავარი „კოიოტების" შემტევი სული და მიზანსწრაფვა გახლდათ. განსაკუთრებით მათმა კაპიტანმა კეიტ ტკაჩუკმა (1+1) მოიწადინა და პირდაპირ აწიოკა მასპინძელთა დაცვა, მაგრამ მას, ისევე როგორც მთელ გუნდს, ედმონტონის მეკარე მიხაელ შტალენკოვმა ჩაუყარა გარჯა წყალში. 32 წლის გოლკიპერმა თავის ნჰლ-ურ კარიერაში მხოლოდ წელს, ედმონტონში გადასვლის შემდეგ ჩაატარა თავისი საუკეთესო მატჩი.

**კოლორადო — დეტროიტი 4:2**

1:1 1:1 2:0

1:0 ჰეიდუკი 7'16 (4); 1:1 ლიდსტრომი 12'37 (3); 1:2 აიზერმანი 20'50 (10); 2:2 საკიკი 28'28 (10); 3:2 დრური 42'51 (5); 4:2 კორბე 54'38 (3)

დეტროიტელები თავდაჯერებულობას ემსხვერპლნენ. კლუბის მოთამაშენი თავიანთ ბოლოდროინდელ ინტერვიუებში სულ იმას გაიძახოდნენ, ჩვენი სამწლიანი უდიდესი წინააღმდეგობის შემდეგ კოლორადო წლეულს ისე დასუსტდა, რომ ამიერიდან ჩვენი მთავარი მოწინააღმდეგე დალასი გახდაო (საინტერესოა, რომ დალასთან ორივე შეხვედრა წააგეს). „ზვავებმა" კი წარუმატებელი მატჩების შემდეგ ერთობ მოიწადინეს და მობილიზებულად ჩაატარეს შეხვედრა. განსაკუთრებით კლუბის ახალბედები გამოირჩეოდნენ. დებიუტანტებმა — მილან ჰეიდუკმა და კრის დრურიმ გოლები მიითვალეს, ხოლო ფილადელფიიდან გადმოსულმა, სულ ახლახან გამოჯანმრთელებულმა შონ პოდეინმა გადამწყვეტი მეორე შაიბა შეამზადა.

**სან ხოსე — დალასი 0:3**

0:3 0:0 0:0

0:1 საიდოფი 5'35 (7); 0:2 ჰრკაჩი 6'28 (2); 0:3 ჰრკაჩი 15'41 (3)

ამჯერად დალასელებმა თავიანთ მეტოქეთა ხერხს მიმართეს — ორი სწრაფი გოლით გადამწყვეტ უპირატესობას მიაღწიეს, ხოლო ... ცვაში სიმარჯვე „ვარსკვლავებს" არ ესწავლებათ. საბოლოოდ ედ ბელფორმა (26 მოგერიება), რომელმაც ორი წლის წინ დატოვა სან ხოსე და კალიფორნიელი მაყურებელი აქამდე სტვენით ხვდება, ზედიზედ მეორე შატაუტი მიითვალა და 42 „მშრალი" მატჩით მოქმედ მეკარეთა შორის პირველობაც ხვდა წილად. მას ერთით კოლორადოელი პატრიკ რუა ჩამოუვარდება.

**ტორონტო — ლოს ანჯელესი 3:1**

0:0 1:0 2:1

1:0 ბერეზინი 34'07 (6); 1:1 ციპლაკოვი 47'59 (6); 2:1 ბერეზინი 51'08 (7); 3:1 იუშკევიჩი 53'38 (4)

მიუხედავად იმისა, რომ სტუმრებმა უმცირესობაში გაიტანეს, აქამდე ლიგაში ყველაზე სუსტმა ტორონტოს რიცხვმრავლობის ბრიგადებმა მაღალი შეფასება დაიმსახურეს. კაპიტან მატს სუნდინის (3 პასი) მეთაურობით „ნეკერჩხლის ფოთლებმა" სამჯერვე რიცხვმრავლობაში შეაგდეს და ზედიზედ მეშვიდედ მოიგეს.

**აილენდერსი — რეინჯერსი 2:3**

1:1 0:1 1:1

1:0 რაიხელი 5'59 (6); 1:1 ნაბლი 14'30 (3); 1:2 ნედვედი 22'24 (2); 1:3 გრეცკი 44'10 (5); 2:3 ლაპოინტი 59'55 (7)

უეინ გრეცკიმ როგორც იქნა გაუტანა ტომი სალოს. აქამდე ამ კლუბების 9 დერბიში შვედი მეკარე გამოდიოდა გამარჯვებული „დიადთან" პაექრობაში. ეს გრეცკისთვის კარიერაში ყველაზე ხანგრძლივი წარუმატებლობაა.

**კაროლინა — მონრეალი 4:1**

0:0 2:1 2:0

1:0 ემერსონი 25'09 (6); 1:1 რივე 25'41 (2); 2:1 შეპარდი 35'41 (11); 3:1 პრიმო 41'08 (12); 4:1 ონეილი 58'21 (6)

კაროლინამ ზედიზედ მეოთხედ მოიგო, ხოლო მისმა ფორვარდმა დეიკ შეპარდმა კარიერაში მე-600 ქულა მიითვალა.

**ბუფალო — ფლორიდა 2:1**

0:0 2:1 0:0

1:0 პრიმო 22'31 (2); 1:1 უიტნი 25'34 (7); 2:1 უორდი 32'01 (10)




REUTERS

ტრიუმფალურად მავალ ფინიქსს ედმონტონელი მეკარე მიხაილ შტალენკოვი გადაეღობა

### სატურნირო ვითარება

| ჩრდილო-აღმოსავლეთი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ტორონტო | 25 | 14 | 2 | 9 | 77:69 | 30 |
| ბუფალო | 20 | 11 | 4 | 5 | 59:41 | 26 |
| ბოსტონი | 23 | 10 | 6 | 7 | 61:44 | 26 |
| ოტავა | 21 | 11 | 3 | 7 | 64:51 | 25 |
| მონრეალი | 23 | 8 | 2 | 13 | 53:69 | 18 |
| **ატლანტა** | | | | | | |
| ნიუ ჯერსი | 22 | 14 | 1 | 7 | 5849 | 29 |
| ფილადელფია | 22 | 11 | 4 | 7 | 62:48 | 26 |
| პიტსბურგი | 22 | 10 | 6 | 6 | 67:59 | 26 |
| რეინჯერსი | 24 | 8 | 7 | 9 | 63:64 | 23 |
| აილენდერსი | 24 | 10 | 0 | 14 | 61:67 | 20 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| კაროლინა | 25 | 12 | 3 | 10 | 66:58 | 27 |
| ფლორიდა | 23 | 8 | 5 | 10 | 55:62 | 21 |
| ვაშინგტონი | 22 | 7 | 3 | 12 | 49:66 | 17 |
| ტამპა | 22 | 6 | 2 | 14 | 48:83 | 14 |

| ცენტრი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეტროიტი | 22 | 13 | 0 | 9 | 75:54 | 26 |
| სენტ ლუისი | 20 | 9 | 5 | 6 | 57:47 | 24 |
| ნეშვილი | 23 | 9 | 1 | 13 | 54:71 | 19 |
| ჩიკაგო | 23 | 6 | 3 | 14 | 4882 | 15 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | |
| ფინიქსი | 19 | 14 | 2 | 3 | 56:30 | 30 |
| დალასი | 20 | 13 | 3 | 4 | 56:39 | 29 |
| ანაჰაიმი | 23 | 8 | 5 | 10 | 54:57 | 21 |
| ლოს ანჯელესი | 24 | 6 | 3 | 15 | 51:69 | 15 |
| სან ხოსე | 22 | 5 | 5 | 12 | 48:58 | 15 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | |
| ედმონტონი | 23 | 13 | 1 | 9 | 72:58 | 27 |
| კოლორადო | 22 | 9 | 2 | 11 | 57:64 | 20 |
| ვანკუვერი | 24 | 9 | 2 | 13 | 67:72 | 20 |
| კალგარი | 23 | 8 | 2 | 13 | 63:70 | 18 |

*ბომბარდირები: ლინდროსი (ფილადელფია) 33 (12+21); იაგრი (პიტსბურგი) 33 (7+26); ლეკლერი (ფილადელფია) 29(18+11); კარია (ანაჰაიმი) 29 (13+16); ფორსბერგი (კოლორადო) 28 (6+22); სტრაკა (პიტსბურგი) 27 (14+13); ხრისტიჩი (ბოსტონი) 26 (11+15); საკიკი (კოლორადო) და აიზერმანი (დეტროიტი) 26 (10+16); სუნდინი (ტორონტო) 26 (8+18); ამონტე (ჩიკაგო) 25 (18+7).*

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საფრანგეთი

XVII ტური

**მონაკო 3:0 ნანსი**

1:0 ტრეზეგე (35), 2:0 იკპება (45), 3:0 ტრეზერგე (48)

**ოსერი 1:1 მარსელი**

0:1 ბლანი (69), 1:1 კარნო (84პ)

**ლიონი 2:1 ბორდო**

1:0 კავეგლია (50), 2:0 დორასო (72), 2:1 ვილტორდი (81)

## ჰოლანდია

გამოტოვებული მატჩი

**სიტარდი 3:2 ვალვაიკი**

0:1 დე გრაფი (52), 0:2 ჰუუგენდორფი (82), 1:2, 2:2 ბოუმა (86, 89), 3:2 ჰამინგი (90)

## იტალია

მეოთხედფინალის პირველი მატჩი

**ლაციო 2:1 ინტერი**

1:0 სალასი (12პ), 1:1 ჯორკაეფი (31), 2:1 სალასი (46)

# მე მაინც უბრალო ვარ

ნლევანდელ ტურ დე ფრანსზე აგორებული დოპინგ-სკანდალი ჯერაც არ ჩამცხრალა.

ამ დღეებში დამლის პირას მდგარი გუნდის „ფესტინას„ სამი ფრანგი მრბოლი — რიშარ ვირანკი, მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი ლორან ბროშარი და პასკალ ერვი ქალაქ ლილის სასამართლოში გამოცხადდნენ, რათა გამომძიებელ პატრიკ კილისგან დოპინგ-ტესტების ოფიციალური შედეგები გაეგოთ. აღმოჩნდა, რომ ფესტინელთა უმეტესობა სტეროიდებს, ზრდის ჰორმონებსა და ამფიტამინებს იღებდა, ცხრავე მრბოლი კი — აკრძალულ პრეპარატ ერითროპეტინს (EPO)

ფესტინელთა დიდმა ნაწილმა თავისი დანაშაული ჯერ კიდევ ზაფხულში აღიარა, მამა აბრამის ბატკნობის მტკიცება კი მხოლოდ ორმა — ტურის ოთხზის „მთის მეფე" ვირანკმა და ერვმა გააგრძელეს. მიუხედავად იმისა, რომ ვირანკს ახლაც შეახსენეს, რომ ტესტი არ გაუვლია, ფრანგი მრბოლი მაინც არ იხევს უკან: „ყველა ბიოლოგიური პარამეტრი და ტესტი მოწმობს , რომ დოპინგი არ აღმოაჩნდა. მოხსენებაში გარკვევით წერია, რომ არც სტეროიდები მიმიღია, არც ზრდის ჰორმონები და არც სხვა რამ".

ვირანკს თურმე ბრალად EPO-ს გამოყენებას სდებენ, მაგრამ კანონით აკრძალული ჰემატოკრიტის დონე ამ შემთხვევაში 50 პროცენტს უნდა აღემატებოდეს, ფრანგს კი იგივე მაჩვენებელი ადამიანის ჩვეულებრივ მდგომარეობაზე (42-44%) მართალია მეტი, მაგრამ მაინც კანონით დასაშვებ, 49 პროცენტის ფარგლებში აღმოაჩნდა.

„არ ვიცი, ისინი რატომ არ იცვლიან შეხედულებას, მაგრამ მე უდანაშაულო ვარ, რასაც ტესტებიც ამტკიცებს, იმედია, ამ კოშმარს მალე მოეღება ბოლო" — განაცხადა ვირანკმა, რომელსაც საფრანგეთის ველოსპორტის ფედერაციის სასჯელის, სპორტიდან ექვსთვიანი მოკვეთის თავიდან აცილების იმედიც აქვს.

თუ „ფესტინადან" უდანაშაულობაზე მხოლოდ ვირანკი დებს თავს, კიდევ ერთი შერისხული გუნდის — TVM-ის ყველა მრბოლი უარყოფს ბრალდებას, არადა ტურის დროს ჩატარებული ტესტებისას მათ სისხლში მარტო დოპინგის კი არა, მარიხუანას კვალიც აღმოაჩინეს.

**ბახა არჯევანიძე**

# სადაური ესპანელია კოვალენკო?



ესპანელები პორტუგალიელებს მიწაზეც სჯობდნენ და ჰაერშიც

სკოტებთან განადგურების შემდეგ პორტუგალიას მსოფლიოს თასის დასკვნით ეტაპზე პირდაპირ მოსახვედრად ესპანეთი უნდა დაემარცხებინა. მიზნის მიღწევას მწვრთნელი პირველ მატჩში დასვენებული მორაგბეებით აპირებდა, ტაქტიკურადაც გამართულად ათამაშა შეგირდები, მაგრამ რას იფიქრებდა გაესპანელებული რუსი თუ მოუღებდა ბოლოს ნაქებ პორტუგალიელ ბიჭებს — ანდრეი კოვალენკომ ექვსიდან ექვსივე საჯარიმო გამოიყენა და უელსში თამაშის უფლება ახალ თანამემულეებს მოუპოვა, დარჩენილი სამი ქულა კი თანაგუნდელებს ნაღდმა ესპანელმა ფერნანდო დიასმა შესძინა 40 მეტრიდან დარტყმული არეკნით.

ისე პორტუგალიელთა თავკაცი მარცხს დიდად არ შეუწუხებია — 17:21 წავაგეთ, მეტით ხომ არა, ეს კი გადათამაშებაში წარმატების იმედს გვაძლევსო.



ლაციო — ინტერი 2:1. მილანელმა იური ჯორკაეფმა (№6) რომაელებს ანგარიში გაუთანაბრა, მაგრამ...

*მსოფლიო კრივის ორი ლეგენდა, ორი ძველი ჩემპიონი, ორი დიდი კაცი, ჯორჯ ფორმენი და ლარი ჰოლმსი ბევერლი ჰილსში ჩაფრინდნენ და ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს. პრესკონფერენცია ნაწილია იმ შოუსი იანვარში რომ უნდა გაიმართოს ჰიუსტონში. შოუს გვირგვინი კი ამ ორი დიდი ბეხრეკის ორთაბრძოლა იქნება.*



*ტაილანდის დედაქალაქ ბანგკოკში აზიის თამაშები გაიხსნა. სამეფო გვარდიელებმა თამაშების ტახტრევანი ჩამოატარეს. ტახტრევანზე აზიური შეჯიბრების დამლოცავი ლამპარია დაყანებული. ძველი წესის აღორძინების სურვილით ანთებულმა ტაილანდის ხელმწიფემ ხუმიბოლ ადულიდემ თავად აანთო წმინდა ლამპარი მზეს დამიზნებული ლინზის მეშვეობით. თამაშებში კი 41 ქვეყნის 6 ათასი სპორტსმენი მონაწილეობს.*




# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი** ზურაბ ფოცხვერია

**დირექტორი** გიორგი ოქრომჭედლიძე

**რედაქტორი** თამაზ მიგრიაული

**მთავარი რედაქტორის მოადგილე:** ილია ბაბუნაშვილი

**ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:** ვახტანგ ბზიკაძე

**ტექნიკური რედაქტორი** გურამ ხელაშვილი

**კალათბურთის განყოფილების გამგე:** მერაბ რატიშვილი

**ინფორმაციის განყოფილების გამგე:** სოსო კოტორეიშვილი

**ფეხბურთის რედაქცია.**

**ქართული ფეხბურთის განყოფილება:** კონსტანტინე გოგიშვილი, გიორგი ვაშაკიძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე

**უცხოური ფეხბურთის განყოფილება:** ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი

**კალათბურთის განყოფილება:** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, გაიოზ თალაკვაძე

**ინფორმაციის განყოფილება:** ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე

**კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე

**ფოტორეპორტიორები:** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე

**სტილისტები:** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

**კომპიუტერული ცენტრი:** ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ბელა ხატიაშვილი

**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29